

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო*

*Sub-department of Ajara Autonomous Republic Government-
Archives Administration*

ა რ ჩ ე ი ო ნ ი

A R C H E I O N

VII

თბილისი 2014 Tbilisi

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე: გურამ სალაძე

რედაქტორი: თამაზ ფუტკარაძე

სარედაქციო საბჭო:

თეონა იაშვილი (თბილისი), თენგიზ ცინცკილაძე, თენგიზ სალუკვაძე, ჯაბა ბერიძე, ელგუჯა გოგიბერიძე, ელგუჯა ჩაგანავა, მაია რურუა, ფრიდონ ქარდავა, ნატო ქიქავა, ოთარ გოგოლიშვილი (ბათუმი), მერაბ კეზევაძე (ქუთაისი), მარიანა პისკოვა, ნურიე მურატოვა (ბლაგოევგრადი, ბულგარეთი), მაკა ალბაგაჩიევა (სანქტ-პეტერბურგი, რუსეთი)

Editorial Board

Guram Saladze – chairman of editorial board

Tamaz Putkaradze - editor

Teona Iashvili (Tbilisi), **Tengiz Tsintsiskladze**, **Tengiz Salukvadze**, **Jaba Beridze**, **Elguja Gogiberidze**, **Elguja Chaganava**, **Maia Rurua**, **Fridon Kardava**, **Nato Kikava**, **Otar Gogolishvili** (Batumi), **Merab Kezevadze** (Kutaisi), **Mariana Piskova**, **Nurie Muratova** (Blagoevgrad, Bulgaria), **Maka Albagachieva** (Saint-Petersburg, Russia).

სარედაქციო საბჭო შესაძლოა ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ავტორების სტილი დაცულია

Editorial board may not always agree with authors opinions.

Authors' style is retained.

აჭარის საარქივო სამმართველო. ტელეფონი: 27 52 10

ვებ გვერდი - [www. archives-ajara.gov.ge](http://www.archives-ajara.gov.ge)

© აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო, 2012

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012

თბილისი, 0179, 0. ჰავაპაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ჟურნალი ეძღვნება საარქივო სამმართველოს 90 წლისთავს

სულითა და გულით მოგილოცავთ ერის დოკუმენტური მემკვიდრეობის - საარქივო სამმართველოს დაბადების 90 წლისთავს. ეს დიდი მოვლენაა სრულიად საქართველოს არქივისტების კულტურულ ცხოვრებაში. თქვენმა დაწესებულებამ ბევრი რამ გააკეთა საარქივო დოკუმენტების მოძიების, შენახვისა და დაცვისათვის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესწავლისა და წარმოჩენისათვის. ღირსეული მუშაკებიც გყავთ საარქივო სამმართველოს თანამშრომლების სახით. გისურვებთ წარმატებებს.

*არჩილ ხაბაძე
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე*

მიიღეთ ჩვენი მოლოცვა შესანიშნავი დაწესებულების - საარქივო სამმართველოს დაარსების 90 წლისთავთან დაკავშირებით. თქვენი დაწესებულება ჩვენთან ერთად დაიბადა, და გაიზარდა. იგი იცოცხლებს ჩვენთან ერთად და ჩვენს შემდეგაც. დარწმუნებული ვარ, აჭარის საარქივო სამმართველო წარმატებით გაართმევს თავს მის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას და დროის მოთხოვნების შესაბამისად კიდევ უფრო ფართოდ გაშლის ფრთებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. მოვიძიოთ, ვამდიდროთ, დავიცვათ დოკუმენტები, მოვეფეროთ და მოვუაროთ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის დოკუმენტურ მემკვიდრეობას.

*ავთანდილ ბერიძე,
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე*

აჭარის საარქივო სამმართველო 90 წლის იუბილეს ზეიმობს. საარქივო დოკუმენტების შენახვისა და დაცვისათვის წინა თაობის არქივისტებმა დიდი შრომა და ჯაფა გასწიეს. ეს ტრადიცია გრძელდება დღესაც. აჭარის საარქივო სამმართველოს ყველა თანამშრომელს, გამოცდილ მუშაკებს სულითა და გულით მოგილოცავთ დაარსების 90 წლისთავს და გისურვებთ წარმატებებს საარქივო საქმის განვითარებისა და სრულყოფის რთულ გზაზე.

*თეონა იაშვილი,
ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი*

აჭარის საარქივო დაწესებულების 90 წლისთავი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა. ათეული წლების იმპერიული რეჟიმის აშკარა თუ ფარული რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით ეროვნული არქივების დაარსება-აღორძინებაზე ოცნებაც კი შეუძლებელი იყო. დამოუკიდებლობის მოპოვებამ მრავალ ოცნებას შეასხა ფრთები. დაგვიბრუნა ისტორიული სამართლიანობის გამარჯვების რწმენა. ჩვენი სამშობლოსა და ერის დოკუმენტური მეხსიერება, წარსულისა და აწმყოს პირუთვნელი მატრიანე - აჭარის არქივი ჩადგა ერის, მომავალი მეცნიერების დაფრთიანება-დაკვალიანების სამსახურში. ჯერ კიდევ ბევრი შრომა და გარჯა გვმართებს იმისათვის, რათა საბოლოოდ დაგძლიოთ შორეული თუ ახლო წარსულის ბედუკუდმართობით თავსდატყეხილი სიძნელეები და აღვადგინოთ ის შესანიშნავი ტრადიციები, რომლებიც ოდითგანვე არსებობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო ცენტრებსა და დოკუმენტსაცავებში (დავთარხანებში).

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი საარქივო სამმართველოსა და მის შესანიშნავ კოლექტივს გილოცავთ ამ ღირსსახსოვარ თარიღს. მწამს, რომ საარქივო სამმართველოს მასზე დაკისრებული მისიის შესრულებაში ყურადღება და მხარდაჭერა არ მოაკლდება.

*აღიიშა ბაკურიძე,
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი*

ქვეყნის ისტორიის, მისი სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში ფასდაუდებელია აჭარის საარქივო სამმართველოს მნიშვნელობა. ამ დაწესებულებაში დაცული დოკუმენტების გამოვლენისა და შესწავლის საფუძველზე დაიწერა არაერთი მონოგრაფია, საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია. დღეს, აჭარის საარქივო სამმართველო თავისი დაბადების 90 წლისთავს ზეიმობს. მოგილოცავთ ამ შესანიშნავ დღესასწაულს და გილოცავთ შემდგომ წარმატებებს საარქივო საქმის განვითარების ურთულეს გზაზე.

*ამირან კახიძე,
ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი*

გილოცავთ საქართველოს უმშვენიერეს კუთხეში - აჭარაში საარქივო დაწესებულების დაარსების 90 წლის იუბილეს.

მარად ბათუმელთა მოყვარე

*ლია მელიქიშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი*

საარქივო სამმართველოს 90 წლის იუბილე ისეთი მნიშვნელოვანი თარიღია, რომელსაც მიესალმება ჩვენი ქვეყნის ყველა პატიოსანი მოქალაქე.

ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმს უხარია აჭარის საარქივო დაწესებულების საიუბილეო თარიღი, მიესალმება არქივისტებს, აღუთქვამს ყოველმხრივ მხარდაჭერას და იმედს გამოთქვამს, რომ აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი კვლავაც შეიტანს მნიშვნელოვან წვლილს საარქივო დოკუმენტების მოძიების, დაცვისა და ზოგადად საარქივო დარგის შემდგომი განვითარების საქმეში.

***ვოდერძი ტოტოჩავა,
ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის დირექტორი***

აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალურმა სახელმწიფო არქივმა უდიდესი როლი შეასრულა უძეირფასესი საუნჯის - ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირების, შენახვის, დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში. ერის ისტორიის ობიექტური შესწავლა ხომ შეუძლებელია თქვენს არქივში დაცული დოკუმენტების გარეშე.

საარქივო სამმართველოს ბედისწერამ დააკისრა კიდევ ერთი მთავარი მისია - კარი გაუღოს სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდებს, დააკვალიანოს და დააფრთიანოს ისინი. არქივმა ამ ამოცანასაც წარმატებით გაართვა თავი. მრავალმა ახალგაზრდამ დაიცვა საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია სწორედ საარქივო ფონდების გამოყენების საფუძველზე.

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია გულისთავად უდლოცავს საარქივო სამმართველოს ყველა თანამშრომელს 90 წლოვან იუბილეს. გისურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს საარქივო დარგის განვითარების რთულ გზაზე.

***დავით თედორაძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის
აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე***

მიყვარს არქივი, მიყვარს აჭარაში დაბადებული, გაზრდილი, დავაუკაცებელი ერის ისტორიის დოკუმენტური მეხსიერება, რომელიც უმძიმეს პირობებშიც კი ახერხებდა ფაქიზად შეენახა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მრავალჭირგამოვლილი ისტორიის ამსახველი საარქივო მასალები.

სწორედ, იმ გადარჩენილი და შემონახული ისტორიის შვილები ვართ ჩვენ! ამ შემონახულმა ისტორიამ გამოზარდა ჩვენი რეგიონის ისტორიკოსთა სახელოვანი პლეადა.

ბოლოდროინდელ ქარტეხილებს ვერ გადაურჩა აჭარის მთავარი საარქივო დაწესებულებაც, მაგრამ შეძლო დღემდე მოეტანა წინაპართა გარჯი-თა და რუდუნებით შეკრებილი და ნალოლიავები საარქივო დოკუმენტები. ეს დოკუმენტები კვლავაც დაეძებს გზებს მკვლევართა გულებისაკენ.

90 წლის იუბილეს მივულოცავ აჭარის არქივს და მის გამოცდილ მუშაკებს ვუსურვებ წარმატებებს შემოქმედებითი მუშაობის რთულ და საინტერესო გზაზე.

მარად თქვენი მოყვარე ვახტანგ ღლონტი.

მოგილოცავთ აჭარის საარქივო სამმართველოს დაბადებიდან 90 წლისთავს. ეს არის მნიშვნელოვანი თარიღი არა მარტო აჭარის, არამედ მთელი საქართველოს და ქართველი ერის ისტორიაში. ცხრა ათეული წელია თქვენი არქივი ერთგულად და სიყვარულით ემსახურება დოკუმენტების მოძიების, დაცვის, შენახვის, გამოვლენისა და შესწავლის რთულ და საპატიო საქმეს. მწამს, რომ იგი კვლავაც ერთგული იქნება საარქივო საქმისა და მეცნიერების განვითარების ეროვნული ტრადიციებისა. გვებრძოლა, რომ აჭარის საარქივო სამმართველოსთან გვაკავშირებს მჭიდრო საარქივო და სამეცნიერო კონტაქტები, რაც გაფორმებულია კიდევ მემორანდუმის სახით. მჯერა, რომ თქვენი არქივი კვლავაც შეასრულებს დიდ როლს საქართველო-უკრაინის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ამსახველი დოკუმენტების გამოვლენისა და შესწავლის საქმეში.

*ივანე ნიტოჩკო,
ოდესის (უკრაინა) სახელმწიფო არქივის დირექტორი*

სოფიის სახელმწიფო არქივის ყველა მუშაკი სიხარულით შეხვდა ცნობას აჭარის საარქივო სამმართველოს 90 წლის იუბილეს შესახებ. ჩვენ ხომ თქვენს არქივთან გვაკავშირებს მჭიდრო პირადი, საარქივო და სამეცნიერო ურთიერთობები, რაც კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენს არქივებს შორის ხელმოწერილმა მემორანდუმმა. სამწუხაროა, რომ ამჯერად ვერ ვახერხებთ ბათუმში ჩამოსვლას, რათა თქვენთან ერთად განვიცადოთ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული სიხარული.

სულითა და გულით გილოცავთ ამ ღირსსახესოვარ თარიღს და გისურვებთ შემდგომ წარმატებებს როგორც საარქივო საქმის განვითარების, ისე საქართველო-ბულგარეთის საარქივო და სამეცნიერო დაწესებულებების შემდგომი დაახლოების საქმეში.

*ნიკოლაი სტოიმენოვი,
სოფიის (ბულგარეთი) სახელმწიფო არქივის დირექტორი*

საარქივო სამმართველო -90

საარქივო საქმე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის უმნიშვნელოვანესი დარგია. იგი ემსახურება ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო და კულტურულ ინტერესებს, წინაპრების დოკუმენტური მემკვიდრეობის დაცვას. საარქივო საქმეს კულტურული ქვეყნები ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევენ, რადგან მას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო განვლილ დროთა მასალების დაგროვებისა და შესწავლის მხრივ, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც. არქივების საშუალებით სახელმწიფო ერკვევა არსებულ სამოქალაქო-უფლებრივ ურთიერთობასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:47).

ძველ საქართველოში დოკუმენტებს ინახავდნენ ეკლესიებში და სასახლის კარზე. მე-18 საუკუნეში იქმნება სპეციალური დაწესებულება - დავთარხანა.

XVI-XIX სს. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, საკუთრივ აჭარაში საარქივო საგანძურს ისტორიული ბედუკუდმართობის გამო მიაღდა მნიშვნელოვანი ზარალი. დოკუმენტების ნაწილი დაზიანდა ან დაიტაცეს. 1878 წ. 20 აგვისტოს ქუთაისში, თურქეთის კომისრებთან დადებული პირობების მიხედვით ბათუმისა და ბათუმის ოლქის შესახებ არსებული დოკუმენტები უნდა დარჩენილიყო ადგილზე და გადასცემოდა ახალ ხელისუფლებას, მაგრამ ეს პირობები დაირღვა. აჭარის საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ მათი დიდი ნაწილი თურქებმა გაიტაცეს, ნაწილი პეტერბურგში იგზავნებოდა, ადგილზე დარჩენილი დოკუმენტები კი ნადგურდებოდა და ნიავედებოდა, რადგან ვერ მოხერხდა დოკუმენტებისათვის შესაფერისი ფართის გამოჩენა. ქალაქის თავის ანდრონიკაშვილის მცდელობის მიუხედავად პრობლემა კვლავ მოუგვარებელი დარჩა. ბათუმის სამხედრო კომისრის ჟღენტის წერილიდან ირკვევა, რომ ბათუმის სამხედრო კომისარიატში შექმნილა დროებითი კომისია სამხედრო-ისტორიული მასალების შეგროვებისა და კლასიფიკაციისათვის. სამხედრო კომისარი ითხოვს მკაცრი ღონისძიებების გატარებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული დოკუმენტების „დატაცება და გაფუჭება“. ამ მიზნით აღრიცხვაზე უნდა აყვანათ არსებული დოკუმენტები და საუწყებო არქივები გადასულიყო დროებითი კომისიის განკარგულებაში.

საქართველოში საარქივო საქმის განვითარების ისტორიის საწყის თარიღად მიჩნეულია 1920 წლის 23 აპრილი, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების შესახებ. რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დირექტორად დაინიშნა დამფუძნებელი კრების წევრი პეტრე გელეიშვილი (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:47; სუიცა ფ.335 ან. საქ. 7, გვ.1). რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების შესახებ კანონის მიღება უადრესად დროული იყო, რადგან უპატრონობისა და დაუცველობის გამო საარქივო მასალის უდიდეს ნაწილს მოსაპოვა ემუქრებოდა. წითელი არმიის შემოსვლას მოჰყვა ზოგიერთი არქივის განადგურება, მაგ. კავკასიის ყოფილი საოლქო შტაბის არქივი. თვით ცენტრალური არქივის შენობაშიც ჯარისკაცების დგომისას ბევრი საარქივო დოკუმენტი საბოლოოდ გაქრა და განიავდა (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:47).

„საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს რეგომის 1921 წლის დეკრეტის საფუძველზე აჭარაში დაიწყო დოკუმენტების შეგროვება და დაცვა (თ. ფუტყარაძე, ნ. ქიქავა. „არხეიონი“ III, 2012: 3).

1922 წლის 10 იანვარს საქართველოს ცენტრალურმა არქივმა ბათუმში მოაწვდინა **სარგის კაკაბაძე**, რომელსაც, როგორც მისი წერილიდან ირკვევა სკამოდ უცნაური ვითარება დახვდა. აღმოჩნდა, ბათუმში 1921 წელს მოსკოვიდან ჩასულან **სიროტენკო და შაფირი**, რომლებიც თავის თავს კომინტერნის წარმომადგენლებს უწოდებდნენ (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:48). მათ შეუდგენიათ ადგილობრივი სამხედრო საისტორიო კომისია, რომლის თავმჯდომარედაც დაუნიშნავეთ **გიორგი ფურცელაძე**. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ: **ნაცვლიშვილი** (ციხის შტაბის სამხედრო მოხელე), **ქადეიშვილი** (საბინაო განყოფილების აგენტი) და **ცინცაძე** (დამსჯელი როტის კომენდანტი), უკანასკნელი კომისიის მდივნის მოვალეობასაც ასრულებდა (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:48). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთავარ საარქივო სამმართველოს არც ერთი ხელმძღვანელი პირი ბათუმში არ ჩასულა და მხოლოდ დეპეშებითა და წერილობითი მიმართვებით ცდილობდა საარქივო აპარატის ორგანიზებას. მიუხედავად ამისა, ამ კომისიის მუშაობას საკმარისი კარგი შედეგი მოჰყვა, რადგან არა ერთი საარქივო დოკუმენტი გადაურჩა გაბნევისა და განადგურებას. უფრო მეტიც, თითქმის მთლიანად შენარჩუნდა ქალაქის მიმართველობის, საბაჟოსა და სასამართლოს არქივები (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:48).

სამწუხაროდ, ყოფილ ჟანდარმთა სამმართველოს არქივი ორი სატვირთო მანქანით ბათუმის ადგილობრივი ჩეკას მითითებით 1921 წლის ზაფხულში გადაუტანიათ თბილისში, საქართველოს ჩეკაში. ბათუმის არქივის მდგომარეობის გაცნობის შემდეგ, **სარგის კაკაბაძემ** სამმართველოს რწმუნებულად **გიორგი ფურცელაძე** დატოვა, რადგან როგორც აღმოჩნდა „მას ამ საქმისთვის აქვს ინტერესი და სათანადო კულტუროსნობაც. ამხ. ფურცელაძის ჩვენი რწმუნებულად დანიშვნის შესახებ მე ვაცნობე ბათუმშივე აჭარისტანის განათლების კომისიას, რომელსაც ვსთხოვე მისი დაკმაყოფილება სათანადო ულუფით საარქივო სამმართველოსათვის დადგენილ ულუფათა რიცხვიდან“ (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:48; სუიცა ფ.335, ან.1, საქ.7 გვ.130).

1922 წლის აგვისტოში განათლების კომისარიატმა გამოსცა დეკრეტი **აკადემიური ცენტრის შექმნის შესახებ**, რომელშიც უნდა შესულიყო საარქივო განყოფილება. მალე აკადემიური ცენტრი გააუქმეს და საარქივო განყოფილების საქმე კელავ გაურკვეველი დარჩა. განათლების კოლეგიამ მიიღო დადგენილება აჭარის საარქივო განყოფილების შექმნის შესახებ, მაგრამ განათლების კომისარიატმა იგი არ დაამტკიცა, რადგანაც აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებით, საარქივო განყოფილების შექმნა საჭირო არ იყო (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:49). ყოველად აუხსნელი და გაუაზრებელი იყო უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მაშინ, როცა რსფსრ-ს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მიღებული ჰქონდა დეკრეტი („правда“ 25.11.1921), რომლის მიხედვითაც ყოველ საგუბერნიო და საოლქო აღმასკომთან უნდა დაარსებულიყო საარქივო ბიურო, რომელსაც დიდი უფლებები და მოვალეობები ექნებოდა. სწორედ ამის შესახებ წერდა გიორგი ფურცელაძე სარგის კაკაბაძეს: „რატომ ჩვენ საქართველოში ან და მით უმეტეს ბათუმში არ უნდა გვქონდეს საარქივო განყოფილება, სადაც მრავალი საისტორიო მა-

საღაა დაგროვილი. მხოლოდ საჭიროა ამის შესახებ თქვენ მიერ ახსნა-განმარტება, რათა ცენტრმა მიაქციოს ყურადღება, რომ არ ქონდეს ალაგი ისეთ გაუგებრობას, რომ ერთი კალმის გასმით, რომელიმე პიროვნებას შეეძლოს ასეთი დაუფასებელი კულტურული მასალა გარეთ გაყაროს და ხაზი გადაუსვას მის არსებობას“ (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:50).

1922 წლის ნოემბერში საქართველოს საარქივო სამმართველოს რწმუნებულის **გიორგი მიხეილის ძე ფურცელაძის** აქტიური მეცადინეობით, ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებითა და მხარდაჭერით **ჩამოყალიბდა აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბათუმის საარქივო განყოფილება**. გ. ფურცელაძე 1924 წლის აჯანყების შემდეგ დახვრეტილი იქნა. ამის შემდეგ ქ. კიევიდან საარქივო საქმის ხელმძღვანელად მოწვეული იქნა **ნიკოლოზ სპილიოტი** (შერვაშიძე ხ., „არხეიონი“ I, 2011:106).

1923 წლის 20 მარტს აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: „ყველა მასალა გადაეცეს განათლების სახალხო კომისარიატს და წინადადება მიეცეს მას, რათა ათი დღის განმავლობაში წარმოადგინოს დაწვრილებითი გეგმა ამ საკითხის მოსაგვარებლად და მისი საჭიროებისათვის საჭირო აპარატის შექმნის პროექტით“ (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:50; სუიცა, ფ.335, ან.1 საქ.11, გვ.32).

28 მარტს განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ განიხილა არქივის საკითხი და მიიღო **დადგენილება განკომთან საარქივო განყოფილების შექმნის შესახებ**. კოლეგიის დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინა სახალხო კომისართა საბჭოს. პლენუმმა განიხილა და დაადგინა: „**განათლების კომისარიატის კოლეგიის წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდეს და დაჩქარებით გატარდეს ცხოვრებაში**“ (სუიცა, ფ.335, ან.1 საქ.11, გვ.32).

1923 წლის 11 აპრილს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა განათლების კომისარიატის მიერ წარდგენილი პროექტი „არქივის ორგანიზაციისა და ცენტრალიზაციის შესახებ“ და დაადგინა: „**დაუყოვნებლივ დაწესდეს საარქივო სამმართველო განათლების სახალხო კომისარიატთან**“ (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:50). გადაწყდა, რომ შექმნილიყო აჭარის საარქივო სამმართველო ოთხი საშტატო ერთეულით: ცენტრალური საარქივო სამმართველოს გამგე, კლასიფიკატორი, არქივარიუსი და კურიერი (აჭარის არცხა, ფ. №2, აღწერა 1, ს. 14, ფურც. 121).

ჩვენის აზრით, სწორედ ეს დღე უნდა ჩაითვალოს აჭარაში საარქივო დაწესებულების დაბადების დღედ, თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სტატიაში „აჭარის არქივის შექმნის ისტორიიდან“ ავტორები ნ. მირიანაშვილი და მ. იტრიაშვილი აჭარის საარქივო დაწესებულების დაბადების თარიღად თვლიან 1921 წელს და არგუმენტად ასახელებენ დოკუმენტების ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში თავმოყრის მიზნით სამხედრო-ისტორიული ხასიათის დოკუმენტების შეგროვებისა და კლასიფიკაციის დაწყების თარიღს. ჩვენის აზრით, კი აჭარის საარქივო დაწესებულების შექმნა უკავშირდება აჭარის 1923 წ. 11 აპრილის დადგენილებას საარქივო სამმართველოს შექმნის შესახებ, რომლის შემდეგაც აღნიშნულმა დაწესებულებამ ოფიციალურად დაიწყო ფუნქციონირება. უკვე 1923 წელს შექმნილი აჭარისტანის განათლების კომისარიატთან არსებული საარქივო განყოფილება აერთიან-

ნებდა 72 ფონდს 11481 შესანახ ერთეულს („საქართველოს არქივები“ ცნობარი, გვ.70).

აჭარის ასსრ მაზრების ტერიტორიაზე არსებული ყოველგვარი საარქივო მასალის აღმოჩენის, შეგროვების, გადარჩევის და დაცვის მიზნით სამაზრო აღმასკომებთან 1926 წლის 19 დეკემბრიდან აჭარისტანის ცენტრალური არქივის გამგის ნ. სპილიოტის აქტიური მეცადინეობით და ხელისუფლების მხარდაჭერით, დაარსდა **სამაზრო საარქივო დაწესებულება**, რომელიც არსებობდა 1929 წლამდე (შერვაშიძე ხ., „არხეიონი“ I, 2011:106-107).

1930-1935 წლებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონულ აღმასკომებთან შემოღებული იქნა არქივარიუსის თანამდებობები, 1936 წლიდან აღმასკომებთან შეიქმნა საარქივო განყოფილებები, რაიონების სახელმწიფო არქივები. ბრძანების წიგნებიდან ირკვევა, რომ წარმოება-დაწესებულებებში უკვე 1937 წლიდან არსებობდა საუწყებო არქივები, ხოლო მოგვიანებით, რაიონებში და მსხვილ უწყებებში გაერთიანებული საუწყებო არქივები (შერვაშიძე ხ., „არხეიონი“ I, 2011:107).

1929 წლის იანვრიდან განსაკომის საარქივო განყოფილების ცენტრალური არქივი დაექვემდებარა აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. 1938 წლის ოქტომბრიდან საარქივო განყოფილება გადადის აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგეობაში, რომელიც ხელმძღვანელობს ცენტრალურ საქალაქო და რაიონულ სახელმწიფო არქივებს. ამის შემდეგ საარქივო საქმე რესპუბლიკაში განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა.

პირველ წლებში, საარქივო განყოფილების დაქვემდებარებაში კონცენტრირებულ იქნა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის, ბათუმის სათათბიროს, საპორტო ქალაქ ბათუმის პოლიციის სამმართველოს, ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს უფროსის თანაშემწის, ჩაქვის საუფლისწულო მამულის სამმართველოს და სხვა დაწესებულებათა მასალები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 აპრილის №296 დადგენილებით აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო განყოფილება გარდაიქმნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო განყოფილებად, ხოლო 1963 წლის 25 აგვისტოდან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს №547 დადგენილებით - აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოდ.



არქივის თანამშრომლები 1958 წელი

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ აჭარის საარქივო მმართველობითმა რგოლმა კვლავ განიცადა რეორგანიზაცია. კერძოდ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 29 ივნისის №109 დადგენილებით მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველო გარდაიქმნა სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანედ“ (აჭარის არ ც.ს.ა. ფ. რ-1041, აღწერა 1, ს. 1512, ფურც.1).



არქივის თანამშრომლები: ცენტრში: ელგუჯა ჩაგანავა, მარცხნივ: ციური ქათამაძე, თალიკო შევილაძე, მარჯვნივ: სერგო ტაბაღუა, ნატო ნადარეიშვილი. 1997 წ.

აჭარის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1995 წლის 7 სექტემბრის ბრძანებულებით შეიქმნა აჭარის არ საარქივო დეპარტამენტი, ხოლო 1996 წლის 23 იანვარის ბრძანებულებით იგი გარდაიქმნა სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტად.

აჭარის არ მთავრობის 2004 წლის №18 დადგენილებით შეიქმნა აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო (აჭარის არ ცსა, ფ. რ-1041, აღწერა 1, ს. 1701, ფურც.1-19).

1921 (1923) წლიდან დღემდე სხვადასხვა პერიოდში აჭარის საარქივო დაწესებულებას ხელმძღვანელობდნენ: გიორგი ფურცელაძე (1924 წლამდე), ნიკოლოზ სპილიოტი (1924-1931 წწ.), სერგო ყუფარაძე (1932-1937 წწ.), ოსმან ხალვაში (1937-1939 წწ.), ვასილ სოლომოტინი (1939-1941 წწ.), ალექსანდრე პროტოპოვი (1941-1942 წწ.), კასიანე ბაბილოძე (1942-1943 წწ.), გალინა ივანოვა (1943-1946 წწ.), ვლადიმერ ოდიშარია (1946-1947 წწ.), ტატიანა ნეფედოვა (1947-1961 წწ.), ლევან კალანდარიშვილი (1962-1963 წწ.), ნაზი ნოღაიდელი (1963-1989 წწ.), შალვა აბაშიძე (1989-2002 წწ.), ნუგზარ ზოსიძე (2002-2003 წწ.), მარიკა ჭელიძე (2003-2004 წწ.), იმედა ხაჯიშვილი (2004-2008 წწ.), ტარიელ აბულაძე (2008-2010 წწ.), კახაბერ სურგულაძე (2010-2011 წწ.), თენგიზ ცინცქილაძე (2011-2012 წწ.). ამჟამად საარქივო დაწესებულებას ხელმძღვანელობს გურამ სალაძე (მოადგილეები: თენგიზ სალუქვაძე, თენგიზ ცინცქი-

ლაძე, ჯაბა ბერიძე: აპარატის უფროსი ელგუჯა ჩაგანავა; ცენტრალური არქივის სამსახურის უფროსი ელგუჯა გოგიბერიძე, თანაშემწე (აუდიტი)-ზურაბ დარჩიძე).



ცენტრში: გურამ სალაძე, მარცხნივ: ელგუჯა ჩაგანავა, ზურაბ დარჩიძე, თენგიზ სალუქვაძე,

მარჯვნივ: ჯაბა ბერიძე, ელგუჯა გოგიბერიძე, თენგიზ ცინცქილაძე

თავისი არსებობის მანძილზე აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივს ასობით მკვლევარი, ასპირანტი, სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი მიუღია, რომელთა მუხლჩაუხრელი შრომით ბევრი მტვერწაყრილი დოკუმენტი გამოვლინდა და მოექცა სამეცნიერო ბრუნვაში. ამ თვალსაზრისით ფასდაუდებელია ისეთი მდიდარი ბიოგრაფიის მქონე მკვლევართა დეაწლი, როგორებიც არიან: ხარიტონ ახვლედიანი, პარმენ ცქვიტარია, პარმენ პატარაია, ვლადიმერ ქემხაძე, ოთარ თურმანიძე, ნოდარ ცეცხლაძე, სერგო დუმბაძე, შოთა ჯაფარიძე, ალექსანდრე ჩავლეიშვილი, ალექსანდრე ბაუჟაძე, მურად ჩავლეიშვილი, ვლადიმერ სიჭინავა, რამაზ სურმანიძე, ეთერ ცივაძე, მერი გოცირიძე, მარიკა ქურიძე, აბელ სურგულაძე, მალხაზ სიორიძე, მერაბ მეგრელიშვილი, ნუგზარ ჩხაიძე, ლევან კალანდარიშვილი, გრიგოლ ბაბილოძე, სულიკო არაქელოვი, შოთა ქურიძე, უჩა ოქროპირიძე, ოთარ გოგოლიშვილი, სერგო გერსამია, ნაზი ნოღაიდელი, გრიგოლ ჩაგანავა, სერგო ტაბაღუა, თეიმურაზ კომახიძე, ნანი გუგუჩავა, ნუგზარ ზოსიძე, რევაზ უზუნაძე, შოთა ცეცხლაძე, შოთა თოღაძე, ვახტანგ მაკარაძე, შალვა ვარშანიძე, იოსებ ბეჭირიშვილი, ირაკლი ბარამიძე, ფრიდონ სიხარულიძე, ჯემალ კარალიძე, ჯემალ მიქელაძე, იოსებ სანიკიძე, ხათუნა მანაგაძე, ინგა დიასამიძე, მერი დიასამიძე, ზაურ გოგიტიძე, ომარ მეგრელიშვილი, ვლადიმერ მამულაძე, ნატო ცეცხლაძე, ირინა მაზილკინა, თემურ უსტიაშვილი, ნინო შუშანი-

ძე, გიორგი მახარაშვილი, მერაბ ფუტყარაძე, ნოდარ ბასილაძე, ლაშა ას-
ლანიშვილი, ოლეგ ტეიფი, დავით ტუღუში, ირაკლი მანველიძე, გურამ ჩა-
განავა, ალექსანდრე ჯაყელი, ანზორ ციცხვაია, მათეას ჰელკმანსი (ჰოლან-
დია), მამია ბერძენიშვილი, არჩილ ვარშალომიძე, ლამარა ბოდუქვაძე, ერმი-
ლე მესხია, სიმონ გოგიტიძე, პირიმზე რურუა, თამაზ ბერაძე, ინეზა ზოიძე,
მაია ჭიჭილეთიშვილი, ნოდარ კახიძე, ალექსანდრე დაუშვილი, მარიანა პის-
კოვა, ნურიე მურატოვა, ანასტასია პაშოვა, მილენა ანგელოვა, ქრისტინე
პოპოვა (ბულგარეთი) და სხვები. დასახელებული და სხვა მკვლევარებმა,
წლების მანძილზე თავდაუზოგავი შრომის შედეგად მოიძიეს და გამოავლი-
ნეს უმნიშვნელოვანესი საარქივო დოკუმენტები, რომელთა საფუძველზე შე-
იქმნა ასობით საყურადღებო სამეცნიერო გამოკვლევა.

დღეისათვის, აჭარის საარქივო სამმართველო უმნიშვნელოვანესი
დოკუმენტსაცავი და სამეცნიერო დაწესებულებაა საქართველოში. მის შე-
მადგენლობაში შედის ხუთი მუნიციპალური არქივი, კერძოდ:

1. ქობულეთის ტერიტორიული არქივი (უფროსი - ნოდარ ზაქარიაძე,
თანამშრომლები - მზია კეკელიშვილი, ლია მჭავანაძე);



*ცენტრში: ნოდარი ზაქარიაძე (უფროსი), მარჯვნიდან: მზია კეკელიშვილი,
ლია მჭავანაძე.*

2. ხელვაჩაურის ტერიტორიული არქივი (უფროსი - ავთანდილ ლეონიძე,
თანამშრომლები - შორენა ფარტენაძე, თენგიზ პარმაქსიზიშვილი);



*ზის: ავთანდილ ლეონიძე (უფროსი),
მარჯვნიდან: თენგიზ პარმაქსიზიშვილი, შორენა ფარტენაძე.*

3. ქედის ტერიტორიული არქივი (უფროსი - ბადრი შერვაშიძე, თანამშრომლები - ირა ცინცაძე, შორენა ბაჯელიძე);




*ზის: შორენა ბაჯელიძე,
მარცხნიდან: ბადრი შერვაშიძე (უფროსი), ირა ცინცაძე*

4. შუახევის ტერიტორიული არქივი (უფროსი - კახა დავითაძე, თანამშრომლები - მარინა გოგიტიძე, ირაკლი დიასამიძე);



*მარცხნიდან: ირაკლი დიასამიძე, კახა დავითაძე (უფროსი),
მარინა გოგიტიძე*

5. ხულოს ტერიტორიული არქივი (უფროსი - თემურ ბერიძე, თანამშრომლები - თინათინ ქონიაძე, ლევან ბოლქვაძე).



მარცხნიდან: თემურ ბერიძე (უფროსი), ლევან ბოლქვაძე, თინათინ ქონიაძე.

საარქივო საქმის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის საქმეს ემსახურება სამმართველოს შემდეგი განყოფილებები:

1. საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, დოკუმენტების პუბლიკაციის და გამოყენების განყოფილება (განყოფილების უფროსი - თამაზ ფუტყარაძე; თანამშრომლები - ფრიდონ

ქარდავა, ნინო გოგიტიძე, მზია სურმანიძე, ციცი ცინცაძე, ნატო ქიქავა, ქეთევან იაკობაძე);



მარცხნიდან: ნინო გოგიტიძე, თამაზ ფუტკარაძე (განყოფილების უფროსი), მზია სურმანიძე, ფრიდონ ქარდავა, ნატო ქიქავა, ქეთევან იაკობაძე

2. დოკუმენტების რესტავრაციის და მიკროფილმირების განყოფილება (განყოფილების უფროსი - მზექალა გირიხიდი; თანამშრომლები - ნინო შავაძე, ნარგიზ გვარიშვილი, ინგა ფაცურეიშვილი);



მარცხნიდან: ინგა ფაცურეიშვილი, მზექალა გირიხიდი (განყოფილების უფროსი), ნინო შავაძე, ნარგიზ გვარიშვილი

3. ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობის და დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილება (განყოფილების უფროსი - ნაზი შარაშიძე; თანამშრომლები - ნატო ჟვანია, ნინო მარდალეიშვილი, ნონა გოგრაჭაძე, გულნარა ქათამაძე, ასლან აბაშიძე, ზაურ ქარცივაძე);



მარცხნიდან: გულნარა ქათამაძე, ნაზი შარაშიძე (განყოფილების უფროსი), ასლან აბაშიძე, ნინო მარდალეიშვილი, ნონა გოგრაჭაძე, ნატო ჟვანია.

4. ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის, ინფორმაციისა და გამოყენების განყოფილება (განყოფილების უფროსი - ეთერ ნათელაძე; თანამშრომლები - ნათია ბერიძე, იამზე ზოიძე, ცირა თავართქილაძე, ქეთევან მიქელაძე, ნინო ჯაბნიძე, ზეინაბ ასანიძე, სეველი კაკაბაძე, გუგული პატარიძე, დოდო შუშანიძე, უუჟუნა დუმბაძე, ნინო მიქელაძე, თამარ ნამგალაძე-ჯორბენაძე, მაია მეღაძე, ნაზი ნაგერვაძე, ეკა კაკაბაძე, მედეა გორგილაძე, ჯულიეტა პატარიძე, ინგა პატარიძე);



სხედან მარცხნიდან: ზეინაბ ასანიძე, ნინო მიქელაძე, სეველი კაკაბაძე, ცირა თავართქილაძე, თამარ ნამგალაძე-ჯორბენაძე. მეორე რიგში მარცხნიდან: იამზე ზოიძე, უუჟუნა დუმბაძე, ნაზი ნაგერვაძე, მედეა გორგილაძე, ეთერ ნათელაძე (განყოფილების უფროსი), გუგული პატარიძე, ინგა პატარიძე.

5. ეროვნული საარქივო ფონდის აღრიცხვის და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილება (განყოფილების უფროსი - მაია რურუა; თანამშრომლები - ნათია კუტალაძე, ჯილდა ვერულიძე, დოდო შუშანიძე);



მარცხნიდან: მაია რურუა (განყოფილების უფროსი), ნათია კუტალაძე, დოდო შუშანიძე

6. იურიდიული და საკადრო საქმეთა განყოფილება (განყოფილების უფროსი - ინგა ხალვაში, თანამშრომლები - ლუიზა კონცელიძე, მერი ცენტერაძე);




*ზის: ინგა ხალვაში (განყოფილების უფროსი),
მარცხნიდან: ლუიზა კონცელიძე, მერი ცენტერაძე*

7. სამეურნეო და ურბანულ საკითხთა განყოფილება (განყოფილების უფროსი - ავთანდილ ჩახვაძე, თანამშრომლები - ირმა ჯორბენაძე, გელა გუგუშვილი, გენადი კახაილიშვი, მურმან ბერიძე, ნათელა კირკიტაძე, სულხან კიკნაძე, მარინა ჯორბენაძე);



სხედან მარცხნიდან: სულხან კიკნაძე, გელა გუგუშვილი, ნათელა კირკიტაძე, ირმა ჯორბენაძე, მეორე რიგში, მარცხნიდან: მურმან ბერიძე, გენადი კახაილიშვი, მარინა ჯორბენაძე.

8. საფინანსო-საბუღალტრო განყოფილება (განყოფილების უფროსი - სიმონ რესულიძე, თანამშრომელი - იზა ბაუჟაძე);



სიმონ რესულიძე (განყოფილების უფროსი), იზა ბაუჟაძე

9. ცენტრალური აპარატი (უფროსი - ელგუჯა ჩაგანავა, თანამშრომლები - ეთერი მიქელაძე, მარინა კუცია, თენგიზ ირემაძე);



ცენტრში: ელგუჯა ჩაგანავა (ცენტრალური აპარატის უფროსი), მარცხნივ: მარინა კუცია. მარჯვნივ: ეთერი მიქელაძე, თენგიზ ირემაძე

10. კანცელარია (განყოფილების უფროსი - ლელა ხიტირი, თანამშრომლები - მარინა ბოლქვაძე, ეკა ღომთათიძე, ნათია ვერძაძე).



მარინა ბოლქვაძე, ეკა ღომთათიძე, ლელა ხიტირი (განყოფილების უფროსი), ნათია ვერძაძე.

საქართველოს ეროვნულმა არქივმა შეიმუშავა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საცავებში დაცული დოკუმენტების, კინო, ფონო, ფოტო, ვი-

დეო მასალების, რუკების, სამშენებლო პროექტების, ისტორიული მნიშვნელობის ძეგლების დიგიტალიზაციას. გატარდა ღონისძიებები აჭარის საარქივო სამმართველოშიც. შესაბამისად, შეტანილი იქნა ცვლილებები 2010 წლის 17 ივნისის N 22 დადგენილებაში და საარქივო სამმართველოში ჩამოყალიბდა **საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და დიგიტალიზაციის განყოფილება** (2012 წლის 10 აპრილის N 17 დადგენილება), რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა **მადონა ცხადაძე**. დღეისათვის განყოფილებაში დასაქმებულია 13 თანამშრომელი (დავით ხალვაში, ქეთევან ხალვაში, მზია ჯღარკავა, ირმა ჭყოიძე, დიანა ღლონტი, ნათია ბერიძე, ინგა ხუჭუა, ნაირა ქიქავა, მაია ბლადაძე, ხათუნა დიასამიძე, ნათია ჯაფარიძე, თამილა ხალვაში.



მარცხნიდან: ხათუნა დიასამიძე, ნათია ბერიძე, ინგა ხუჭუა, მაია ბლადაძე, დავით ხალვაში, ირმა ჭყოიძე, ქეთევან ხალვაში, მზია ჯღარკავა, ნათია ჯაფარიძე, ნაირა ქიქავა, მადონა ცხადაძე (განყოფილების უფროსი), ზის მარცხნივ: დიანა ღლონტი, მარჯვნივ ზის: თამილა ხალვაში

ეს განყოფილება ყველაზე ახალგაზრდა სტრუქტურული ერთეულია საარქივო სამმართველოში. ამიტომ მის შესახებ შედარებით ვრცლად ვისაუბრებთ.

განყოფილება მასზე დაკისრებულ საქმიანობას ახორციელებს USAID - ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი საქართველოში ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროგრამული ბიუჯეტირების პროექტს. ამ მიზნით 2013 წლის 3 სექტემბერს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოში შედგა შეხვედრა არქივის თანამშრომლებსა და საკონსულტაციო კომპანიის ექსპერტებს შორის. შეხვედრაზე განხილული იქნა 2014 წლის არქივის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი, რომლის განხორციელების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნებოდა საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა დაჩქარებულ ვადებში.

აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, განყოფილებამ მიზნად დაისახა ხშირი გამოყენებისაგან გაცრეცილი და დაზიანებული დოკუმენტების დაცვა, სარეზერვო ფონდის შექმნა და სწრაფი ინტერნეტმომსახურება. მცირე დროის მიუხედავად განყოფილებამ უკვე შეძლო მუდმივ შენახვას დაქვემდებარებული (გარდა პირადი ინფორმაციის შემცველი საიდუმლო დოკუმენტებისა) დოკუმენტების (რელიგიური, მმართველობითი და ა. შ.) 1188 საჭმეთა ერთეულის 11188 ფურცლის მაღალხარისხიანი, უსაფრთხო გადაღება-დასკანერება. ელექტრონული ფაილები თავს იყრის და ინახება არქივების საერთაშორისო საბჭოს (ICA) მიერ შემუშავებულ სპეციალურ პროგრამაში (ATOM) და სრულიად შეესაბამება აღწერის საერთაშორისო სტანდარტებს. თითოეულ დოკუმენტს თან ერთვის აღწერილობა, ტექნიკური მახასიათებლები (შექმნის თარიღი, ქაღალდის სახეობა და სხვ.) და მოკლე შინაარსი.

პროგრამა უზრუნველყოფს აღნიშნული მახასიათებლების მიხედვით დოკუმენტის მოძიებას უმოკლეს დროში. პერსპექტივაში, ნებისმიერ მოქალაქეს შესაძლებლობა ექნება სპეციალური საძიებო კატალოგის გამოყენებით სახლიდან გაუსვლელად მოიძიოს მისთვის საინტერესო დოკუმენტი, გაეცნოს მის აღწერილობას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სწრაფად და ხარისხიანად მიიღოს დოკუმენტების ციფრული ასლები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.



არქივის თანამშრომლები, 2014 წელი

როგორც ითქვა, აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ცსა) ჩამოყალიბდა ქალაქის მმართველობის არქივის ბაზაზე. იმ დროიდან მოყოლებული სისტემატურად იკრიბებოდა სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების, წარმოება-დაწესებულებების, უწყებების დოკუმენტური მასალები. „საარქივო აპარატის შექმნის გეგმა“ ითვალისწინებდა საარქივო დოკუმენტების თავმოყრას ერთ დაწესებულებაში (აცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 163). გააქტიურდა მანამდე არსებული დოკუმენტების მოძიების პროცესი. გადაწყდა „სხვადასხვა ადგილებში მყოფი არქივების ერთ არქივში მოგროვება“. დადგინდა, რომ „დაახლოებით ყველა ბათუმის დაწესებულებაში მყოფი არქივები იქნება წონით: ა) კომუნალურ მეურნეობაში - არანაკლებ 600 ფუთი; ბ) ცენტროსოიუზის სარდაფში - 500 ფუთი; გ) სახალხო ბანკის სარდაფში - 400 ფუთი; დ) მე-2 ქალ. საავადმყოფოში - 15 ფუთი; ე) ბათუმის საბაჟოში - 400 ფუთი; ე) მუშათა და გლეხთა ინსპექციაში - 50 ფუთი; ე) ბურუნტაბიის საწყობში - 100 ფუთი; სულ 2200 ფუთამდე. ამის გადატანას მოუწდება 40-45 - მდე ერთი ცხენი დროგი და ოთხი მუშა (7-8 დღე მუშაობა. დღეში 1 ლირა თითო მუშას), სულ არქივის გადატანას დაჭირდება 100 ლირამდე (აცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 163). გეგმა ითვალისწინებდა არქივისათვის „ერთ დიდ ოთახს საწყობისათვის არანაკლებ 15X15 არშ., ერთ პატარა ოთახს 5X5 არშ. კანცელარიისა და სამუშაოებისათვის“, ასევე 4-იარუსიან თაროებს, რომელთა საერთო სიგრძე უნდა ყოფილიყო არანაკლებ 100 მეტრი (აცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 163).

ქალაქის სამმართველოს საარქივო მასალა პირველად განთავსდა **კომუნალური მეურნეობის** შენობის (ყოფილი გამგეობის შენობა) ერთ ოთახში. ამავე შენობაში იყო **საბუნებისმეტყველო მუზეუმი**, რომელიც **მამაშვილ გომენების თაოსნობით შექმნილა** (სუიცა ფ.335, ან.1, საქ.7 გვ.129). თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მალე ბათუმის არქივში გარკვეული სირთულეები შეიქმნა, რაც კარგად ჩანს გ. ფურცელაძის საარქივო სამმართველოს გამგისადმი მიწერილ მოხსენებით ბარათში (სუიცა, ფ.335, ან.1, საქ.11, გვ.23). საქმე იმაში გახლდათ, რომ ბათუმში 1921 წელს საცხოვრებლად ჩამოვიდა რუსი სკულპტორი სტეფან ერზია (ნეფიოდოვი). იმავე წლის სექტემბერში აჭარის ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით არქივისთვის განკუთვნილი შენობა უნდა გადაეცათ ერზიასთვის, ხოლო საარქივო დოკუმენტაცია უნდა განეთავსებინათ იმავე შენობის სხვენში, რასაც გიორგი ფურცელაძის პროტესტი მოჰყა. ამის შემდეგ ბათუმის კომუნალური მეურნეობის გამგე პეცოვის ბრძანებით არქივი ჩაიტანეს ქვედა სარდაფში, რომელიც ნესტიანი იყო და საარქივო დოკუმენტების შესანახად არ გამოდგებოდა. „ასე რომ მთელი საარქივო საქმეები უწესრიგოდ აწყვია ნესტიან სარდაფში, სადაც მუშაობა ყოველად შეუძლებელია. ამრიგად, ჩვენი წელიწადნახევრის მუშაობა ერთბაშად დაიღუპა შეუფერებელი ბრძანებით“, - წერდა გ. ფურცელაძე (სუიცა, ფ.335, ან.1, საქ.11, გვ.23).

საარქივო მმართველობის მთავარი გამგის ს. კაკაბაძის N109 წერილიდან (1923 წ. თებერვალი) ირკვევა, რომ აჭარაში საარქივო დოკუმენტების განთავსების საკითხი რწმუნებულ გიორგი ფურცელაძის უანგარო, უხელფასო მუშაობის მიუხედავად ჯერ კიდევ მოუგვარებელია, რომ „დოკუმენტებისათვის გამოყოფილი ერთი ოთახიც კი დააცლევინა კომუნალური

მეურნეობის გამგე” და საარქივო საქმეები გადაიტანეს სარდაფში (აცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 166). მანამდე, 1921 წ. ქალაქის საბჭოს სარდაფში აღმოაჩინეს დოკუმენტების გროვა. ასეთივე გროვა აღმოჩნდა 1923 წელსაც (აცსა, ფ. 89, ან. (7)1, ს. (72 Б) 253. მ. თავადის სადიპლომო ნაშრომი).



ქალაქის საბჭოს სარდაფში აღმოჩენილი დოკუმენტების გროვა 1921 და 1923 წწ.

აუცილებელი გახდა მათი განთავსება ახალ შენობაში. საარქივო მმართველობის მთავარი გამგე აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს თხოვდა, რათა მიღებულიყო „ზომები, რომ საარქივო საქმეს ბათომსა და აჭარაში არ ექლეოდეს ზიანი, რომლის გამოსწორება, თუ მას საქმეების დაღუპვა მოყვა, მომავალში შეუძლებელი იქნებოდა“. ს. კაკაბაძე აჭარის ასსრ - ის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს თხოვდა დახმარებას, რათა საარქივო დოკუმენტებისათვის ბათუმში გამოყოფილიყო „შესაფერისი ბინა და თუ ეს ამ მოკლე ხანში შეუძლებელი იყო, საჩქაროდ დაბრუნებოდა მას ფართი წინანდელი კომუნალური მეურნეობის შენობაში, მომავალში კი მოპოვებულიყო უფრო ფართე ბინა“ (აცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 166). ბათუმში - მთავარი საარქივო სამმართველოს რწმუნებულის გიორგი ფურცელაძის 1923 წ. 9 მარტის მოხსენებიდან ირკვევა, რომ საარქივო დოკუმენტები მიმოზნეული იყო ქალაქის სხვადასხვა დაწესებულებებში, კერძოდ: „1: ბათომის სამხედრო გუბერნატორის, საპოლიციო, ქალაქ ბათომის თვითმმართველობის, ტრაპეზონის და ბაქოს სამხედრო რეინის გზების, - მოთავსებულია კომუნალური მეურნეობის შენობაში, ქვედა სარდაფში; 2: სასამართლოს პალატის და ოლქის სასამართლოსი, რომელნიც თბილისიდან აქ არის ჩამოტანილი, მოთავსებულია „ცენტროსოიუზის“ შენობაში, ქვედა სარდაფში. 3. დანარჩენი ამიერკავკასიის, რუსეთ-აზიის და კავკასიის ბანკების - მოთავსებულია ეხლანდელი სახალხო ბანკის შენობაში, ქვედა სარდაფში 4. ბათომის საბაჟოს არქივი მოთავსებულია ბათომის საბაჟოს საკუთარ შენობაში, პატარა ოთახში 5. ამის გარდა არის მცირე არქივი სასანიტარო დაწესებულებების, რომელიც მოთავსებულია მე-2 ქალ. საავადმყოფოში 6. ციხესიმაგრის საინჟინერო არქივი - ინახება ფოსტ. „ბურუნტაბიის“ საწყობში“ (აცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 166). რწმუნებული შეშფოთებულია იმის გამო, რომ ყველა ზემოთაღნიშნულ დაწესებულებაში დგება წყალი,

„ქალაქები დანოტვილი და გამწვანებულია” და თუ შესაფერისი ფართი არ გამოინახა დოკუმენტებისათვის, ისინი „სრულებით გამოუსადეგარი იქნება არქივის მასალათ” (აცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 166). ასეთ შემთხვევაში გიორგი ფურცელაძე მიზანშეწონილად მიიჩნევდა „გადარჩეულიყო საქმეები და ცენტრში გადაგზავნილიყო”, რათა შესაძლებელი ყოფილიყო „დაღუპვის გზას მყოფი მთელი საარქივო მასალის” გადარჩენა (აცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 167).

მაღე, არქივისათვის გამოიყო სათავსო ქალაქის საბჭოს შენობაში, თუმცა იგი იყო ბნელი, ნესტიანი. წვიმის დროს დგებოდა წყალი, ნადგურდებოდა დოკუმენტები. ამიტომ აუცილებელი გახდა სხვა შენობის მოძიება, რასაც რამდენიმე წელი დაჭირდა. მოგვიანებით, საარქივო დოკუმენტების განთავსებისათვის **ლიკვიდირებული ლომბარდის შენობაში** გამოყოფილი იქნა 3 ოთახი და ერთი დერეფანი, თუმცა, შემდეგში მხოლოდ ერთი ოთახი დაუტოვეს. ქალაქის არქიტექტორმა უფლება არ მისცა საცავში განთავსებინათ ორ სტელაჟზე მეტი, რადგან შენობის იატაკი მეტ სიმძიმეს ვერ გაუძლებდა. ამიტომ დოკუმენტების ნაწილი ისევ სარდაფში განათავსეს. ცხადია, აღნიშნული შენობა ვერ აკმაყოფილებდა დოკუმენტსაცავისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. საკითხის მოსაგვარებლად განათლების სახ. კომისარიატიდან კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობის სახელზე გაიგზავნა წერილი. ავტორი ს. რეშიდი ითხოვდა არქივისათვის შენობის შეღავათიან პირობებში გადაცემას. პატრკომის წინაშე აღიძრა შუამდგომლობა, რათა არქივისათვის გადაეცათ ყოფილი **„სამხედრო სობორის”** შენობა. ამ შუამდგომლობას ეთანხმება კომუნალური მეურნეობის მმართველიც. მაგრამ იქ განთავსებული იყო კომკავშირელთა კლუბი, რომელმაც შენობის დაცლის სანაცვლოდ მოითხოვა ყოფილი სინაგოგის შენობის გადაცემა, რაც ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, შენობის საკითხი კვალად ღიად რჩებოდა. ამას დაემატა განათლების სახალხო კომისარის სედაი რეშადის სიტყვიერი ბრძანება საარქივო განყოფილების დაშლის შესახებ. გიორგი ფურცელაძემ საქმის გასარკვევად მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, კერძოდ ს. ჟორჟოლიანს, რომელმაც ყოველივე უარყო და განაცხადა: „ეს არის ყოველად დაუშვებელი, რომ სედაი რეშადმა გააუქმოს სახალხო კომისართა საბჭოს პლენუმის დადგენილება; რომ საარქივო განყოფილება აუცილებლად უნდა დაარსდეს” (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:51; ფ.335, ან.1 საქ.11, გვ.39). სედაი რეშადი დაიბარეს აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარესთან თ. ხიმშიაშვილთან, სადაც განმარტა, რომ მისი ხარჯთაღრიცხვიდან საარქივო განყოფილების ხარჯთაღრიცხვა ამოღებული იქნა იმ მოტივით, რომ განათლების სახალხო კომისარიატთან არავითარი საარქივო განყოფილება არ უნდა იყოსო. საბოლოოდ, გაუგებრობა გაირკვა და სახალხო კომისართა საბჭომ მისცა განკომს წინადადება, აღძრულიყო შუამდგომლობა, 1 ივლისიდან საარქივო განყოფილების ხელახალი შექმნის შესახებ (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:49).



ლიკვიდირებული ლომბარდი



სამხედრო ტაძარი

„სამხედრო სობოროში“ დოკუმენტების განთავსების პროექტი ვერ განხორციელდა, რადგან ჯერ ერთი, როგორც ჩანს მაშინვე მტკიცედ იყო გადაწყვეტილი მისი დანგრევა, ამასთან, იმუამად სამხედრო ტაძარში მუზეუმი იყო განთავსებული. არქივის მმართველის პროფესორ სპილიოტისადმი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის 1928 წ. 13 ოქტომბრის წერილში აღნიშნულია, რომ „სობორის გათავისუფლებამდე არქივი გადაეტანათ ოთახებში, სადაც ადრე მოთავსებული იყო განათლების სახალხო კომისარიატი“. მალე დოკუმენტები დროებით განათავსეს ორჯონიკიძის და პიონერის ქუჩების კვეთაში მდებარე ახალ შენობაში.



17 წლის განმავლობაში არქივმა 10-ჯერ შეიცვალა ადგილი. საარქივო მასალების გადატანისას არაერთი დოკუმენტი განადგურდა. 1936 წლიდან არქივმა ბინა დაიდო ლიბკნეხტის N 44-ში (ახლ. მაზნიაშვილის ქუჩა) მდებარე ბინიატ ოფლის ყოფილ სახლში, არქიტექტორთა კავშირის ყოფილ სასტუმროში (ე. წ. სოკოს შენობა), ხოლო 1938 წ. 14 დეკემბერს საარქივო დოკუმენტები გადაიტანეს კათოლიკური ეკლესიის შენობაში (შაუშიანის, ეხლ. დიმიტრი თავდადებულის 53).



სოკოს სახლი



კათოლიკური ეკლესია

1962 წ. გადაწყდა არქივისათვის სპეციალური შენობის აშენება. გამოუყეს მიწა გორკის, ეხლ. გორგილაძის ქუჩის ბოლოში, შემუშავდა შესაბამისი პროექტი, რომლის საფუძველზეც აშენებული იქნა არქივის სამსართულიანი შენობა,



სახელმწიფო არქივი



დოკუმენტების მიღება

მაგრამ ეს შენობა სრულიადაც ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს, არ იყო გათვალისწინებული საარქივო დაწესებულების სპეციფიკა, არ არსებობდა დოკუმენტების მოვლა-შენახვისათვის საჭირო პირობები, ამიტომ 1968 წ. დაიწყო საარქივო დაწესებულებისათვის ახალი, 6 სართულიანი შენობის მშენებლობა, თუმცა იგი დროში გაიწელა და ექსპლოატაციაში შევიდა მხოლოდ 1992 წელს.



სამშენებლო სამუშაოები



სახელმწიფო არქივი

2011 წლის სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე საარქივო სამმართველოს ადმინისტრაციული შენობა ქალაქის უსახურ ნაგებობათა რიცხვს განეკუთვნებოდა:



საარქივო სამმართველო სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე

2011 წ. ოქტომბერ-დეკემბერში ამ შენობას ჩაურატდა სარემონტო სამუშაოები, ფაქტიურად მწყობრში ჩადგა ახალ შენობა. საარქივო სამმართველო აღიჭურვა თანამედროვე საოფისე ავეჯით და კომპიუტერული ტექნიკით:



საარქივო სამმართველო სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ

შეკეთდა და კეთილმოეწყო სამუშაო ოთახები, კანცელარია და სამკითხველო დარბაზი:



სამკითხველო დარბაზი სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე და დასრულების შემდეგ

დღეისათვის საარქივო სამმართველოს შენობა ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე, ლამაზი და კეთილმოწყობილი საარქივო დაწესებულებაა საქართველოში, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს საარქივო, სამეცნიერო, საგამომცემლო საქმიანობა. ჩვენმა წინაპრებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჩვენს არქივში დაცული დოკუმენტების გამოყენებისა და პოპულარიზაციისათვის. ამ თვალსაზრისით ფასდაუდებელია ნ. ნოღაიდელის, ს. ტაბაღუას, შ. თოღაძისა და დ. ჭელიძის ღვაწლი. სწორედ მათი თავდაუზოგავი შრომის შედეგად 1975 წელს გამოქვეყნდა დოკუმენტებისა და მასალების კრებული „აჭარა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში“, რომელიც მოიცავს პერიოდს 1921 წლის მარტიდან 1925 წლამდე. კრებულში თავმოყრილია 256 დოკუმენტი ორიგინალის, ასლისა თუ პერიოდიკის სახით. დოკუმენტური მასალები წარმოდგენილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

აჭარის ცენტრალური არქივის თანამშრომელთა მიერ 1961 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა დოკუმენტების კრებული - **„ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის აჭარაში“** (რუსულ ენაზე). მართალია მასში დოკუმენტები და საარქივო წყაროები წარმოდგენილია საბჭოთა პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად (ეს ბუნებრივიცაა), მაგრამ ამ მასალებითაც კრებული ანგარიშგასაწევი პირველწყაროა XX ს. პირველი ოცწლეულის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

აჭარის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად მომენტებზე მოგვითხრობს დოკუმენტებისა და მასალების კრებული, რომელიც შეადგინეს **არქივის თანამშრომლებმა: ნ. ნოღაიდელმა, ს. ტაბაღუამ, გ. ჩაგანავამ**. კრებულში ცალკე-ცალკეა წარმოდგენილი 1926-1932 წლებში აჭარაში ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის, მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, მეზღვაობის, მეფუტკრეობის, სატყეო მეურნეობის, მეაბრეშუმეობის და სხვა დარგების განვითარების, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში გატარებული რეფორმების ამსახველი საარქივო დოკუმენტები.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ყოველთვის იყო პრიორიტეტული მიმართულება საარქივო დაწესებულებაში. 1990-იან წლებამდე აჭარის არქივში გამოიცა არაერთი ნაშრომი. მათ შორის:

1. აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის მეგზური შემდგენელები: ლ. კალანდარიშვილი, ს. ტაბაღუა, შ. თოღაძე. რედაქტორი ტ. ნეფედოვა. (1959 წ.); მეგზურის შევსებული ვარიანტი გამოიცა აგრეთვე 1974 წელს, ნ. ნოღაიდელის (შემდგენლები: გ. მოსიძე, ს. ტაბაღუა, მ. თავაძე, გრ. ჩაგანავა) რედაქტორობით;
2. მეგობარი შორეთიდან, ბათ. 1962;
3. აჭარა ლენინურ დოკუმენტებში, შემდგენლები: ა. სურგულაძე, ს. ტაბაღუა. ბათ 1969;
4. საარქივო საქმის განვითარება აჭარაში, შემდგენელი ნ. ნოღაიდელი, 1970;
5. აჭარის ასსრ საბჭოების ყრილობები (1921-1937), დოკუმენტების კრებული. შემდგენლები: ნ. ნოღაიდელი, ს. ტაბაღუა, გრ. ჩაგანავა. ბათ. 1971;

6. აჭარის ასსრ მშრომელები დიდი სამამულო ომის პერიოდში, შემდგენელი ს. ტაბაღუა, თბ. 1975;
7. მეგობრობა გზად და ხიდად, შემდგენელი ვლ. მკერვალიშვილი, 1975;
8. აჭარის ასსრ სახელმწიფო დაწესებულებების ისტორია (1921-1946), ცნობარი. შემდგენლები: ს. ტაბაღუა, გ. ანდელაძე, ნ. სკამკოჩიაშვილი;
9. დოკუმენტების და მასალების კრებული - 1921-1925 წწ. შემდგენლები: ნ. ნოლაიდელი, ს. ტაბაღუა, შ. თოდაძე, დ. ჭელიძე;
10. ბრძოლა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის აჭარაში (1926-1932), შემდგენლები: ნ. ნოლაიდელი, ს. ტაბაღუა, გრ. ჩაგანავა. ბათ. 1980;
11. ბრძოლა სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის აჭარაში, 1933-1941 წწ. შემდგენლები: ნ. ნოლაიდელი, ს. ტაბაღუა. ბათ. 1986;
12. რაც დავიწყებით არ იბინდება, შემდგენელი ს. ტაბაღუა, ბათ. 1995

2011 წლიდან გამოსვლა დაიწყო **საარქივო სამმართველოს ორგანომ - ჟურნალმა „არხეონმა“** (დღეისათვის გამოცემულია ჟურნალის 6 ნომერი), რომელშიც საარქივო საქმიანობის ამსახველი მასალების გარდა იბეჭდება დოკუმენტური წყაროები, სტატიები სხვადასხვა თემატიკაზე, რეცენზიები, საზღვარგარეთის ქვეყნების არქივებთან თანამშრომლობის ამსახველი მასა-



ლები და ა. შ. ბოლო სამი წლის განმავლობაში არქივის თანამშრომელთა (ნატო ქიქავა, ფრიდონ ქარდავა, მადონა ცხადაძე, მაია რურუა, ელგუჯა ჩაგანავა, მზია სურმანიძე, ნინო გოგიტიძე, ციცი ცინცაძე, გუგული პატარიძე, თამაზ ფუტყარაძე, იზა ბაუჟაძე, ნაზი ნაგერვაძე, ქეთევან იაკობაძე, ეთერი მიქელაძე) ავტორობით დაიბეჭდა ათობით სამეცნიერო სტატია, რომლებიც ეფუძნება არქივ-

ში დაცულ საარქივო დოკუმენტებს.

საარქივო სამმართველოს თანამშრომელთა მოწადინებითა და თავდაუზოგავი შრომის შედეგად გამოიცა დოკუმენტების ორი კრებული:

1. **რელიგიური დაწესებულებები აჭარაში (დოკუმენტების კრებული), ბათუმი 2010**
2. **რელიგიური თემები და ორგანიზაციები ბათუმში 1940-1950-იან წლებში, თბილისი 2013.**

2008-2013 წლების განმავლობაში ჩატარდა **ოთხი საერთაშორისო და ხუთი ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენცია**, სადაც წაკითხულმა მოხსენებებმა ასახვა ჰპოვა შემდეგ სამეცნიერო კრებულებში:

1. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში, ბათუმი, 2009;
2. ბათუმი უცხოელ ავტორთა შრომებში, ბათუმი 2010
3. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები II - სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია), თბილისი, 2012;
4. აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 135 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია, არქეოლოგია და ეთნოლოგია, III კონფერენციის მასალები . თბილისი 2013;

2013 წელს გამოიცა აგრეთვე საარქივო სამმართველოს ბუკლეტი ქართულ ენაზე. მიმდინარეობს მუშაობა ორენოვანი ბუკლეტის გამოცემისათვის.



არქივი - საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციები

საარქივო სამმართველოს საქმიანი ურთიერთობები აქვს საქართველოსა და უცხოეთის არქივებთან და სამეცნიერო ცენტრებთან. გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები **ბლაგოვევგრადის** (ბულგარეთი), **სოფიის** (ბულგარეთი), **გრაცის** (ავსტრია), **ოდესის** (უკრაინა), **შვედეთის** არქივებთან, ასევე **სოფიის კირილესა და მეთოდეს** (ბულგარეთი) ბიბლიოთეკასთან.



მემორანდუმის ხელმოწერა სოფიის (ბულგარეთი) ბიბლიოთეკასთან



მემორანდუმის ხელმოწერა მემორანდუმის სოფიის (ბულგარეთი) არქივთან და სტოკჰოლმის ბიზნესის ისტორიის ცენტრთან

გაფორმდა ასევე ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტთან, ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმთან და ა.შ.



მემორანდუმის ხელმოწერა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტთან

ზემოთდასახელებულ საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან ურთიერთანამშრომლობის საფუძველზე შესაძლებელი გახდა შემოგვეტანა საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტების ქსეროასლები, მათ შორის: **მე-16-18 საუკუნეების ოსმალური დოკუმენტები აჭარის შესახებ, ასევე ძველი ქართული ხელნაწერების ქსეროასლები** (ჰუგო შუხარტის კოლექცია - დაცული გრაციის უნივერსიტეტში) და **პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი** (დაცული კირილესა და მეთოდეს ბიბლიოთეკაში), ასევე, სოფიისა და ოდესის არქივებში საქართველოს შესახებ დაცული დოკუმენტები (ელექტრონული ვერსიები). გათვალისწინებულია თანამშრომლობის გააქტიურება და მემორანდუმების გაფორმება შავი ზღვის აუზის ქვეყნების საარქივო დაწესებულებებთან.



ქართული ხელნაწერები გრაცში

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არქივის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. განახლდა მუნიციპალური არქივების შენობები და აღიჭურვა თანამედროვე ავეჯითა და კომპიუტერული ტექნიკით. 2014 წლის დასაწყისში საარქივო სამმართველოს დიგიტალიზაციის განყოფილებას შეემატა ახალი, კეთილმოწყობილი კაბინეტი, შემოტანილი იქნა ინვენტარი, დიგიტალიზაციისათვის სპეციფიკური ახალი ტექნიკა.

დღეის მდგომარეობით საარქივო სამმართველოში ტერიტორიული არქივების ჩათვლით დაცულია 2007 ფონდის 649497 საქმეთა ერთეული, მათ შორის მუდმივად შესანახი - 1611 ფონდის 530807 საქმეთა ერთეული, პირადი წარმოშობის - 36 ფონდის 2401 შესანახი ერთეული, კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტების 19736 საქმეთა ერთეული. არქივის ფონდსაცავებში დაცული დოკუმენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

არქივის ცხოვრებაში მომხდარ სასიკეთო ცვლილებებს ხელი შეუწყო იმ სამუშაო და კეთილმოწყობის ატმოსფერომ, რომელიც აქ შეიქმნა ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში. ამან ასახვა ჰპოვა სამმართველოს თითოეული სტრუქტურული ქვედანაყოფის ცხოვრებაში. წმინდა საარქივო საქმიანობის პარალელურად მიმდინარეობს აქტიური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. აქ იწვევენ საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს - ცნობილ მეცნიერებს, მწერლებს, პოეტებს, აწყობენ გამოფენებს, პრეზენტაციებს, ფონდების მიმოხილვებს.

აჭარის საარქივო სამმართველო თავისი 90 წლის იუბილეს ხვდება მნიშვნელოვანი წარმატებებით. იგი კვლავაც ბევრს გააკეთებს საარქივო დოკუმენტების გამოვლენის, შესწავლისა და პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. სუიცა, ფ.335, ან.1, საქ. 7, 11,
2. აჭარის არ ც.ს.ა. ფონდი რ-1, აღწერა 1, საქ. 23, 40;
ფონდი №2, აღწერა 1, საქმე 14; ს. 23, ფურც. 166-167;
ფონდი რ-1041, აღწერა 1, საქმე 1512, 1701;
ფონდი რ-1041, აღწერა 1, საქმე, ფ. 1-19;
ფონდი 89, ან. (7)1, ს. 72 ბ. მ. თავაძის სადიპლომო ნაშრომი
ფოტოდოკუმენტები

3. ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი. აჭარის არქივის შექმნის ისტორიიდან. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია), საერთაშორისო კონფერენციის მასალები, II, თბ. 2012;
4. თ. ფუტკარაძე, ნ. კიკავა, საარქივო სამმართველოს სათავეებთან, „არხეონი“ III, ბათ. 2012;
5. ნ. შერვაშიძე, საარქივო დაწესებულებების ისტორიის ზოგიერთი საკითხი. „არხეონი“ I, ბათ. 2011;
6. საქართველოს არქივები“ ცნობარი.

***Tamaz Putkaradze
Nato Kikava***

Archives Administration – 90

Summary

Archival case is most important field of national importance. It serves political, economic, scientific and cultural interest of country and also protection of ancisters documentary memory. The article discusses preconditions of creation of Ajara Archives Administration, submitted achievements and prospects.

ა. ა. ს. ს. რ. სახკომისართა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომისა.

11 აპრილი 1923 წ.

დაესწრენ წევრები: თ. ხიმშიაშვილი (სახკომსაბჭოს თ-რე), ო. მოწყობილი (ცაკის თ-რე), ნ. ბახტაძე (შინ. საქ. სახკომი) და ს. ლორთქიფანიძე (მიწათ. მოქ. სახკომი); გ. რამიშვილი (რევეტრიბ) და ა. ბელოვი (სახკომი).

თავმჯდომარე თ. ხიმშიაშვილი

მდივანი ს. ჟორჟოლიანი

მოისმინეს: განათლების სახკომისარიატის მომართვა საარქივო მმართველობის დაწესებისა და მისი შტატისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ. ფუძე: მომ. 5/აპრილი №1248

დაადგინეს: მოხსენება დამტკიცებულ იქნეს დაუყონებლივ დაწესდეს საარქივო სამმართველო განათლების სახკომისარიატთან, რომლის წარმოდგენელი შტატი და ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულ იქნას იმ სახით, როგორითაც წარმოდგენილია განათლების სახკომისარიატისაგან, ხოლო საარქივო განყოფილების გამგე მირიცხულ იქნას მეთოთხმეტე კათეგორიაზე.

ფონდი №რ-2; საქმე №14; გვ. 120

გ ე გ მ ა

ბათომში საარქივო აპარატის შექმნის

- 1) შტატი: გამგე – ერთი, 14 ან 13 კატეგორიის.
თანამშრომელი – ერთი, 12 “_____”
არქივარიუსი – ერთი, 12 “_____”
დარაჯი (იგივე შიკრიკი) – ერთი, 4 “_____”
- 2) ბინა: ერთი დიდი ოთახი საწყობისათვის არანაკლები 15X15 არშ.
ერთი პატარა ოთახი 5X5 არშ. კანცელარიისა და
სამუშაოებისათვის.
- 3) მოწყობილება: ა) თაროები, ოთხ იარუსიანი 12 ვერშოკ. სიგანისა
სულ 100 არშ.სიგრძე
ბ) მაგიდები: ორი დიდი მაგიდა საწყობში სამუშაო სამი არშ. სიგრძე და
ორი არშ. სიგანე, ორი პატარა მაგიდა კანცელარიაში სამუშაოთ ორი
არშ. სიგრძე და ერთი არშ. სიგანე; ოთხი სკამები; კიბე დასაშალი ერ-
თი; ტანისამოსის და ხალათების ვეშარკა; ხელის დასაბანი ტასტი, სკა-
მით, ვედრით და კრუეკით; საქმეების და საკანცელარიო ნივთების შესა-

ნახად ერთი მორჩილი შკაფი დასაკეტით, ცოცხი და ტილო. დასაკიდი გასადები ორი;

4) სამუშაო ტანსაცმელი: ოთხი ბიაზის ხალათი და ოთხი წყვილი ტუფის ან რეზინის პერჩატკები.

5) განათება: ერთი ლამპოჲკა კანცელარიაში და სამი კი საწყობში.

6) საკანცელარიო ნივთები: ორი ბეჭედი; ერთი შტამპი; ერთი ბაღიში; შემოსულ გასულ ქაღალდების ჟურნალი -2, ნივთების წიგნი -1, კატალოგის წიგნი -10, არქივების რიცხვის მიხედვით: კარანდაშები, მელანი, საწები.

7) _____

8) სხვადასხვა ადგილებში მყოფი არქივების ერთ ადგილში მოგროვება დაახლოვებით ყველა ბათუმის დაწესებულებაში მყოფი არქივები იქნება წონით: ა) კომუნალურ მეურნეობაში – არანაკლები 600 ფუთი.

ბ) ცენტრო-სოიუზის სარდაფში – 500 ფუთი; ვ) სახალხო ბანკის სარდაფში – 400 ფუთი; გ) მე-2 ქალ. საავადმყოფოში – 15 ფუთი; დ) ბათუმის საბაჟოში – 400 ფუთი; ე) მუშათა და გლეხთა ინსპექციაში – 50 ფუთი; ჟ) ბურუნტაბიის საწყობში – 100 ფუთი; სულ 2200 ფუთამდე; ამის გადატანას მოუწდება 40-45 –მდე ერთი ცხენი დროგი და ოთხი მუშა (7-8 დღე მუშაობა; დღეში ერთი ღირა თითო მუშას) – სულ არქივების გადატანას დაგეგმირდება – 100 ღირამდე.

ფონდი №რ-2; საქმე №23; გვ. 163

ისინი ქმნიდნენ საარქივო დარგის ტრადიციებს

არქივი --- სიგელ-გუჯარების, ძველი წერილობითი ძეგლების, საბუთების საცავია. არქივი ერის ისტორია, მისი აწმყო და ამავე დროს ქვეყნის მომავალია. სწორედ ამიტომ ჩვენთან, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში არქივი სახელმწიფო ზედამხედველობისა და ზრუნვის საგანია.

ჩვენი ერის ისტორიის ამსახველი დოკუმენტების დაცვა-გადარჩენა – გამოყენებისათვის ზრუნვა, არაერთი დიდი ქართველის სატკივარი და საწუხარი იყო. „ვინ არ იცის. . . რა დიდძალი გუჯრები, სიგელები და სხვა წერილები უადგილო ადგილას ყრია აქა – იქ უპატრონოდ, მოუვლელად“ – წერდა ილია და მათ თავმოყრა – შენახვა – გამოყენებაზე ზრუნავდა. მათი გადარჩენის სადარაჯოზე ამაყად იდგნენ საარქივო საქმის მოამბენი. მათ შორის არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებების ამაგდარი არქივისტებიც.

აჭარაში საარქივო დარგის განვითარების თითქმის საუკუნოვან ისტორიაში მრავლად მოიპოვებინ ადამიანები, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ამ დარგის განვითარებაში. მათი უბრალოდ ჩამოთვლაც შორს წავიყვანდა, რომ არაფერი ვთქვათ სასოებით და მზრუნველობით მოვლილ დოკუმენტებზე, პასუხისმგებლობით გადარჩეულ ღირებულ და პრაქტიკულ ღირებულებას მოკლებულ საარქივო საქმეებზე, საცავებში ფაქიზად დალაგებულ საარქივო ფონდებად ქცეულ სხვადასხვა დაწესებულებების მოღვაწეობის ამსახველ მასალაზე.

დოკუმენტები დუმს, მაგრამ დოკუმენტები მეტყველებენ კიდევ. არქივში ჩანს ყველაზე მეტად დუმილისა და მეტყველების მნიშვნელობა. და თუ დღეს ზოგიერთ ამაგდარ არქივისტთა სხეულები ძვალთშესანახში მშვიდად განისვენებენ, არქივში დაცული დოკუმენტები, მათი პირადი საქმეები მათივე კეთილსინდისიერებაზე, ზნეობაზე, პასუხისმგებლობასა და საქმის სიყვარულზე გვსაუბრებიან.

აჭარის არქივისტთა გაღერებაში ბევრი კარგი სახეა, რომელთაც თავისი უანგარო შრომით დიდი ღვაწლი დასდეს დარგის განვითარებას. თითქმის 30-40 წელი იღვაწეს არქივში ჩვენმა უფროსმა **კოლეგებმა: ვალიკო მკერვალიშვილმა, გრიგოლ ჩაგანავამ, შოთა გაბრუშიძემ, გუგული ანდლულაძემ, ნუნუ სკამკოჩაშვილმა, დოდო ჩაჩუამ, გრიგოლ პინიანცმა, მაყვალა არობელიძემ, ლიანა ვანიძემ, კოლია თოღაძემ.** არქივს დღესაც სიყვარულით მოიკითხავენ: **სერგო ტაბაღუა, თალიკო შეყილაძე...**

განსაკუთრებით საინტერესო და დასაფასებელია იმ არქივისტთა საქმიანობა, რომლებიც იდგნენ არქივის სათავეებთან და მეორე მსოფლიო ომის დროს მოუწიათ მოღვაწეობა.

ჩვენს არქივში დაცული მასალების შესწავლით ნათლად ჩანს, რომ 1921 წლის 15 ივლისს ბათუმისა და მისი ოლქის სამხედრო კომისიარის მიერ შექმნილმა სამხედრო ისტორიული დოკუმენტების შემგროვებელმა დროებითმა კომისიამ ხელი მოჰკიდა როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო და საარქივო დოკუმენტების შემგროვებასა და დაცვას (აჭარის ცსა, ფონდი რ-1. საქ.40. ფურც. 104). ეს საქმე დაევალა ბათუმში მთავარ საარქივო სამმართველოს

რწმუნებულს გიორგი ფურცელაძეს, რომელიც 1923 წლის 9 მარტს აჭარის სახკომსაბჭოსადმი წარდგენილ თავის მოხსენებაში მიმოიხილავს რა ბათუმში საარქივო საქმეების შემადგენლობას, მათ ადგილსამყოფელს, დაცვის ცუდ პირობებს, ითხოვს დახმარებას, „რომ ეს დიდი განძი და საისტორიო მასალა, რომელიც არის შეუფერებელ ბინაში, გადავარჩინოთ და დავუპყვას“.

გიორგი ფურცელაძის მონღომებამ ნაყოფი გამოიღო. სახკომსაბჭოს პრეზიდიუმის 1923 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით განათლების სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში შეიქმნა აჭარის საარქივო განყოფილება 4 საშტატო ერთეულით: გამგე, კლასიფიკატორი, არქივარიუსი და კურიერი.

ქელს ვიხრით იმ პირველი არქივისტების წინაშე, რომელთაც საკმაოდ მოკლე დროში სრულ ტექნიკურ წესრიგში უნდა მოეყვანათ 1878-1921 წლების ქალაქის საკრებულოს, სათათბიროს, ფოსტა-ტელეგრაფის, საბაჟოს და მეფის-დროინდელი რუსეთის სხვადასხვა დაწესებულებების ქაოსურ მდგომარეობაში მიმოფანტული საარქივო დოკუმენტები. ძნელია არ გავიხსენოთ **გიორგი ფურცელაძის** (1924 წლამდე), **ნიკოლოზ სპილიოტის** (1924-1931), **სერგო ყუფარაძის** (1932-1937) სახელები, რომლებიც ურთულეს პერიოდში ხელმძღვანელობდნენ არქივს. თავისი პროფესიონალური კვალი დატოვეს **ოსმან ხალვაშმა** (1937-1939) და **ვასილ სალომატიმ** (1939-1941). სწორედ მათი ხელმძღვანელობის პერიოდში მიიღო დოკუმენტებმა საარქივო ფონდების სახე, შეიქმნა აღრიცხვის სექტორი და დაიწყო მუშაობა საცნობარო აპარატის ჩამოსაყალიბებლად.

კიდევ ერთი მძიმე და ძნელი პერიოდი დაუდგათ არქივებს მეორე მსოფლიო ომის დროს. ჩვენი ვალაია გავიხსენოთ ის ადამიანები, ვინც ომის მძიმე წლები თავის მხრებზე გადაიტანეს. სწორედ მათი ერთგულებისა და პროფესიონალიზმის შედეგია ის, რომ ომის წლებში არ დაკარგულა, არ გაბნეულა არცერთი საარქივო საქმე. ეს უპირველესად აჭარის ასსრ შინსახკომის საარქივო განყოფილების უფროსების: **ალექსი პროტოპოვის** (1941-42 წწ), **კასიანე ბაბილოძის** (1942-43წწ), **გალინა ივანოვას** (1942; 1943-46წწ) დამსახურებაა. მაღლიერებით უნდა გავიხსენოთ აგრეთვე ცენტრალური არქივის ღირექტორების: **შლეიპოვის** (1942 წელი), **ქეთო ცეცხლაძის** (1942-43წწ; 1944-49წწ), **ელენე დომოპოლოვას** (1943-44წწ), **მარია ხარკოვას** (1944წ) სახელები, რომლებმაც ბევრი გააქეთეს საარქივო დოკუმენტების დაცვა-შენახვის თვალსაზრისით.

როდესაც ამ სიას გადახედავ, თვალს მოხვდება ხელმძღვანელ ქალთა სიმრავლე. ეს ომის გამოძახილია, რომელმაც ბრძოლის ველზე მოუხმო ვაჟკაცთ, ხოლო ზურგში დარჩენილი ქალებისაგან ვაჟკაცური შემართება მოითხოვა.

ადვილი არ იყო ქალისათვის ომის წლებში ხელმძღვანელობა გაეწია იმ დარგისათვის, რომელსაც არქივი ჰქვია, რომელიც ქვეყნის ისტორიას იცავს და ინახავს, რომელიც იმ დოკუმენტთა საცავია, დღევანდელ დღეს მომავლად რომ აქცევს.

მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ორ მათგანზე: **გალინა ივანოვასა და ქეთო ცეცხლაძეზე.**

გალინა ივანოვა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის გრიგოლ ივანოვის ოჯახში დაიბადა. გრიგოლი მეტად განათლებული პიროვნება იყო. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისის და ბათუმის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში, ხოლო ბათუმის პედინსტიტუტის დაარსების შემდეგ ფიზიკა-მათემატიკის კათედრას ჩაუდგა სათავეში.

გალინა ივანოვამ ქალთა გიმნაზიის წარმატებით დასრულების შემდეგ სწავლა ინდუსტრიულ ტექნიკუმში განაგრძო, ხოლო შემდეგ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრა. 1941 წელს აჭარის სახელმწიფო არქივის დირექტორად ინიშნება, ხოლო 1942 წელს აჭარის შს სახკომის საარქივო განყოფილების უფროსად გადაჰყავთ.

ომი კი მძვინვარებდა და თავის მსახვრალ ხელს ახებდა ყველას და ყველაფერს. ომმა შეცვალა დრო და ადამიანები. საჭირო იყო გაუსაძლისი პირობების გაძლება. ცხოვრებისა და არსებობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადასვლა აორმაგებდა იმ ადამიანთა პასუხისმგებლობას, ვინც წარმოადგენდა საიდუმლო საქმეთა დამცველს, ვისაც შესანახად ებარა სახელმწიფოს მმართველობითი დოკუმენტები, ქვეყნის ისტორია. ამისათვის კი საჭირო იყო ორგანიზატორული ნიჭითა და მაღალი პასუხისმგებლობით დაჯილდოებული ადამიანი, ვინც შეძლებდა იმ საშინელ და რთულ პერიოდში თავისთავზე აეღო საარქივო დოკუმენტების დაცვის და მოვლა-შენახვის პასუხისმგებლობა.

ომმა კიდევ ერთი საკითხი წამოჭრა: ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი ობიექტების – ფაბრიკა-ქარხნების, ლაბორატორიების, კვლევითი დაწესებულებების, მუზეუმების, არქივების ევაკუაცია. 1942 წელს სტალინის ბრძანებულებით ევაკუაციას დაექვემდებარა აჭარის საარქივო ფონდებიც.

სწორედ გალინა ივანოვა იყო ის ქალბატონი, ვინც პირადად ხელმძღვანელობდა პირველი კატეგორიის ფონდების შერჩევას და მათ ევაკუაციას ტაშკენტში. ევაკუირებული იქნა 10307 ს/ერთეული. აჭარის ცს არქივის ფონდში დაცულია აქტი, სადაც მითითებულია ევაკუირებული ფონდებისა და საქმეების შესახებ (პ-89; აღწ.1, საქ.65; ფურც.19).

იმ დროს გალინას მეუღლე მურად ნიჟარაძე, რომელიც ფრონტზე იბრძოდა, ტყვედ ჩავარდა, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მათ მომავალზე. ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ დააპატიმრეს და გადაასახლეს, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო. გალინა კი მხოლოდ იმით გადარჩა, რომ ძუძუთა ბავშვის დედა იყო. სამაგიეროდ აგრძნობინეს და ნათლად მიახვედრეს, რომ იგი „დამნაშავე“ ცოლია და არ უნდა ხელმძღვანელობდეს ისეთ დაწესებულებას, რომელსაც შსს-ს საარქივო განყოფილება ჰქვია. ისიც უხმოდ, მორიდებით განერიდა თავის საყვარელ საქმეს, დატოვა ქალაქი და შვილებთან ერთად ქედის რაიონში გადასახლდა.

ომის წლებში ხელმძღვანელ ქალთა შორისაა **ქეთო ცეცხლაძე**, რომელიც 1918 წელს დაიბადა ოზურგეთში. პირად საქმეში მისი განათლების შესახებ მხოლოდ საშუალო სკოლის ატესტატია დაცული. 1941 წელს საარქივო განყოფილებას გამოეყო სახელმწიფო არქივი 5-კაციანი შტაბით. დირექტორი - გ. ივანოვა; მეცნიერ მუშაკი - სვირიდოვა; უფროსი ტექ. მუშაკი - ფარცხალაძე; უმც. მეცნიერ-მუშაკი - კოლტუნოვა და ბიბლიოთეკის გამგე - ქ. ცეცხლაძე, რომელიც შემდეგ გადაჰყავთ არქივსაცავის გამგედ, ხოლო 1942 წელს მას არქივის დირექტორად ნიშნავენ (ფონ. რ-1041; აღწ.---საქმე-22).

სამსახურეობრივ დახასიათებაში, რომელსაც ხელს აწერს საარქივო განყოფილების უფროსი, უმც. ლეიტენანტი - ტ. ნეფედოვა, ვკითხულობთ: „აჭარის ასსრ შსს სისტემაში ქეთო ცეცხლაძე მუშაობს 1941 წლის მარტიდან. სამუშაოს ეკიდება სერიოზულად. ხელმძღვანელობის დავალებებს ასრულებს დროუ-

ლად და კეთილსინდისიერად. ცხოვრებაში მორიდებულია. თანამშრომლებს შორის სარგებლობს ავტორიტეტით“.

ასეთები იყვნენ ის ქალბატონები, რომელთაც ცხოვრება და შრომითი საქმიანობა მეტად მძიმე პირობებში მოუწიათ. ეს იყო დრო, როცა გარეშე მტერთან ერთად შინაურ ბანაკშიც ბევრი იყო დამსმენი და სხვის უბედურებაზე საკუთარი ბედნიერების მაშენებელი. მაგრამ ცხოვრება გრძელდებოდა.

ძნელი იყო საარქივო დარგის მუშაკთათვის ომისშემდგომი წლებიც. ომის შედეგად დანგრეულ ქვეყანას აღდგენა ესაჭიროებოდა. მამაკაცების გვერდით ჩვეული ქალური ერთგულებით იღვწიან ქალბატონები: **ტატიანა ნეფედოვა, ელენე ქორიძე, ლენა ზაქარეიშვილი...**

რომ არა საქმის სიყვარული და შემართება, პასუხისმგებლობა და შრომისმოყვარეობა, ვერ შეძლებდა შეუძლებელს **ტატიანა ნეფედოვა**, რომელმაც 1947 წელს საარქივო განყოფილების მმართველი გალინა ივანოვა შეცვალა და 1961 წლამდე ღირსეულად უძღვებოდა საარქივო დაწესებულებას. ტატიანა ნეფედოვა იყო ერთ-ერთი გამორჩეული არქივისტი. დაიბადა როსტოვში 1910 წელს. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1929 წლიდან. სხვადასხვა დროს მუშაობდა: როსტოვის სათამაშოების ფაბრიკაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო განყოფილებაში. 1947 წელს იგი გადმოიყვანეს აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საარქივო განყოფილების უფროსად (1961 წლამდე), შემდეგ კი მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში - უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. იგი ხელმძღვანელობდა საარქივო სამმართველოსთან არსებულ სამეცნიერო საბჭოს. მისი ხელმძღვანელობით და რედაქტორობით 1959 წელს გამოიცა აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის მეგზური რუსულ ენაზე, ხოლო 1961 წელს საარქივო დოკუმენტების კრებული „ბრძოლა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის“ (1917-1922 წწ.).

ტ. ნეფედოვამ დიდი როლი შეასრულა სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შექმნის, სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტური მასალების გამოყენებისა და კადრების მომზადების საქმეში. იგი ითვლებოდა გამოჩენილ არქივისტ-სპეციალისტად. ამიტომაც არაერთხელ იყო დაჯილდოებული სამთავრობო ჯილდოებით.

ტატიანა ნეფედოვა გარდაიცვალა 1985 წელს.

საარქივო საქმის განვითარებაში დიდია ვლადიმერ ოდიშარიას (1946-1947), ლევან კალანდარიშვილის (1962-1963), ნაზი ნოღაიდელის (1963-1989), სერგო ტაბაღუას (1985-1997), შალვა აბაშიძის (დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 1989-2002) წვლილი, რომლებიც ასევე უმძიმეს პერიოდში ედგნენ სათავეში აჭარის საარქივო დაწესებულებას.

კიდევ ერთი ქალბატონის **ელენე ქორიძის** ბიოგრაფია დაუკავშირდა არქივს, როდესაც 1946 წელს ბათუმის რაიადმასკომის ინსტრუქტორი - ბათუმის რაიონის (ეხლ. ხელვაჩაური) არქივის გამგედ დანიშნეს. 1965 წლიდან იგი აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივშია - ჯერ ფონდების შემნახველად, შემდეგ კი რესტავრატორად.

ელენე ქორიძე დაიბადა 1925 წელს, სამტრედიის რაიონის სოფელ გამოჩინებულში (ეხლ. ზემო აბაშა). გამოჩინებულელი ქალბატონი უმოკლეს პერიოდში „გამოჩინებულ“ არქივისტად იქცა. საარქივო დოკუმენტები იქცა მისი ზრუნვის საგნად. დაუღალავი შრომის შედეგად ახლად შექმნილი ბათუმის

რაიონული სახელმწიფო არქივი დაკომპლექტდა რაიონის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა დაწესებულების 80 ფონდის 10000 ს/ერთეულით.

დოკუმენტებს, არქივში თავმოყრისა და დაკომპლექტების გარდა, მოეწეა და დაცვა სჭირდება. ეს გაყვითლებული, ჟამთასვლისაგან გაცრეცილი, ფარატინა, მაგრამ დიდი ისტორიის დამტკევი ფურცლები დროდადრო რესტავრაციას, ლაბორატორიულ დამუშავებას საჭიროებს. ლაბორატორიას დაარსების დღიდან ელენე ქორიძე ჩაუდგა სათავეში და ვინ იცის რამდენ დასნებოვნებულ და დაზიანებულ საარქივო დოკუმენტს დაუბრუნა სიცოცხლე. იგი საარქივო საქმეს ემსახურებოდა 1983 წლამდე (პენსიაში გასვლამდე). გარდაიცვალა 1991 წელს. მას დარჩა ვაჟი და შვილიშვილები, რომელთაგან ერთ-ერთი მის სახელს ატარებს.



საარქივო საქმიანობას მიუძღვნა თავისი შეგნებული ცხოვრება დამსახურებულმა არქივისტმა **ტოფია ფრანგიშვილმა**. იგი 1923 წ. დაიბადა სოფელ კეთილარში (აბაშის რაიონი). მეორე მსოფლიო ომის დროს იგი იბრძოდა აღმოსავლეთ პრუსიაში, შემდეგ კენიგსბერგში. დემობილიზაციის შემდეგ, 1949 წლიდან საცხოვრებლად გადმოდის ბათუმში. სხვადასხვა დროს მუშაობდა: კეთილარის და სუჯუნის ზოოვეტუბანში, აჭარის შსს ხ/დაცვის განყოფილებაში, ცენტრალურ შემნახველ საღაროში (გამგედ), ფეხსაცმელების ფაბრიკაში, ხე-ტყის დამამუშავებელ და მექანიკურ სახელოსნოში და ა. შ. 1989 წლიდან იგი მუშაობს აჭარის საარქივო სამმართველოსთან არსებულ კოოპერატივ „არქივმცოდნე“-ს ჯგუფში, 1994 წლიდან კი ცსა-ში სამეურნეო ნაწილის გამგედ. მოგვიანებით (1997 წ.) იგი დაინიშნა ცსა-ის დირექტორის მოადგილედ სამეურნეო დარგში. არქივთან მას არ გაუწყვეტია თანამშრომლობა პენსიაზე გასვლის შემდეგაც.

ომის შემდგომი აღდგენითი პერიოდის ისტორიაში თავისი წვლილი შეიტანა კიდევ ერთმა არქივისტმა – **ლენა ზაქარეიშვილმა**.

ლენა ზაქარეიშვილი დაიბადა 1925 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ საჭამიასერში. ბათუმის საბუღალტრო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ 1943 წელს მუშაობას იწყებს ბათუმის ნავთობაზაში. 1947 წელს მას ნიშნავენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის არქივის გამგედ. მას შემდეგ არქივს სიცოცხლის ბოლომდე არ გაშორებია. არქივის კეთილმოწყობასა და განვითარებაზე ზრუნვა, დოკუმენტების დაცვა და არქივის ახალი დოკუმენტებით დაკომპლექტება, დოკუმენტებისათვის საარქივო საქმის სახის მიცემა გახდა მისი სამსახურეობრივი საქმიანობის ძირითადი მიმართულება საარქივო საქმე მარტო მისი პროფესია როდი იყო, არქივი ოჯახურ პროფესიად იქცა. მან პირადი ცხოვრება ომგადახდილ ქართველ ვაჟკაცს -



გრიგოლ ჩაგანავას დაუკავშირა, რომელმაც კეთილსინდისიერად გაიარა ყველა საფეხური მკინძავიდან არქივის დირექტორობამდე.

გრიგოლ (გრიშა) ანთიმოზის ძე ჩაგანავა დაიბადა 1924 წლის 6 ოქტომბერს აბაშის რაიონში სოფელ კეთილარში. დაწყებითი სწავლა დაიწყო 1931 წელს სოფელ კეთილარის სკოლაში.

1939 წლის აგვისტოში სწავლა განაგრძო ქ. ბათუმის #1 საშუალო სკოლაში. 1942 წლის აგვისტოში გაწვეული იქნა საბჭოთა არმიის რიგებში და აქტიურად იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1957 წელს გ. ჩაგანავა ჩაირიცხა მოსკოვის ისტორიულ-საარქივო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1963 წელს.

1961 წლის ივლისიდან გ. ა. ჩაგანავა მუშაობას იწყებს აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში მკინძაფ-აღმდგენის თანამდებობაზე. 1961-1962 წწ. უფროს მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზეა, ხოლო 1962 წლიდან ინიშნება აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივის დირექტორად, სადაც მან იმუშავა 1985 წლის 13 მაისამდე. პენსიაზე გასვლის შემდეგ იგი, როგორც მაღალ კვალიფიციური სპეციალისტი ინიშნება სახელმწიფო არქივში პირველი კატეგორიის არქივისტად. 1986 წლის იანვრიდან გ. ა. ჩაგანავა გადაყვანილი იქნა უფროსი არქივისტის თანამდებობაზე და მასვე ბრძანებით დაეკისრა სახელმწიფო არქივის სამეურნეო-ანგარიშების (დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება) ჯგუფის ხელმძღვანელობა, სადაც მუშაობდა გარდაცვალებამდე (1996 წლის ნოემბრამდე).

გრიგოლ (გრიშა) ჩაგანავა იყო საარქივო საქმის კარგი სპეციალისტი, მინდობილ საქმის პასუხისმგებელი და შემსრულებელი. მისი დამსახურებაა საარქივო საქმეთა მოზიდვა, სახელმწიფო აღრიცხვაზე აყვანა და შენახვა.

გ. ა. ჩაგანავა დიდი სიყვარულით, მაღალი პროფესიულალიზმით 34 წელი ემსახურა საყვარელ საქმეს. იგი იყო აჭარის, საქართველოს და საბჭოთა კავშირის კულტურის დამსახურებული მუშაკი. მის კალამს ეკუთვნის არაერთი წიგნი და სამეცნიერო ნაშრომი.

საარქივო საქმის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის **გრიგოლ ასათურის ძე პინიანცს** განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი იყო ენთუზიასტი, ნოვატორი, იდეების გენერატორი, საარქივო საქმის წარჩინებული მუშაკი. მის მიერ შემუშავდა მეცნიერულად დასაბუთებული, არგუმენტირებული, სახელმწიფოებრივად გამართლებული არაერთი კონცეფცია არსებული შრომითი რესურსების ბაზაზე საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ. ამასთან დაკავშირებით მას მომზადებული ჰქონდა სპეციალური წერილი გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის“ უფროსის მარგველაძის სახელზე, რომელშიც თხოვდა საარქივო საქმის პერსპექტიული განვითარებისა და რეორგანიზაციის საკითხებთან დაკავშირებული სტატიის გამოქვეყნებას (ფ.რ-271. ან.1, საქ-მე #2, გვ.8-12).

გრიგორი პინიანცი დაიბადა 1923 წ. 10 ნოემბერს, ქ. ბათუმში, ასათურ პინიანცისა (1878-1960) და მაკრინე ჩხაიძე – პინიანცის (1893-1983) შესანიშნავ ოჯახში. ოჯახში ჩამოუყალიბდა გულისხმიერების, მოყვასის სიყვარულისა და მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის შესაშური თვისებები.



გრიგორ პინიანცმა 1941 წ. დაამთავრა ბათუმის №18 საშუალო სკოლა. 1941 წლის ივნისში იგი გააგზავნეს ხარკოვის უმაღლეს სამხედრო-სამედიცინო სასწავლებელში. აღნიშნულ სასწავლებელში გატარებული რეფორმების შემდეგ იგი გადაიყვანეს კიევის სამხედრო ოლქში - სამხედრო სამსახურში, მოგვიანებით კი მეცხრე სამხედრო ოლქში. ქ. ბელოცერკოვში გრიგორ პინიანცს დაემართა კანტუზია, რის გამოც იგი დიდხანს მკურნალობდა ბაქოს სამხედრო ჰოსპიტალში. ბრიგადამ, რომელსაც გრ. პინიანცი ხელმძღვანელობდა, აჩვენა საბრძოლო ხელოვნების შესანიშნავი მაგალითები მოზდოკთან, ბესლანთან, მელდოპეტთან და ორჯონიკიძესთან წარმოებულ ბრძოლებში. საბრძოლო ბრიგადა მოგვიანებით გადაიყვანეს ტუაპსეში. მალე გრიგორ პინიანცს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით შეექმნა სერიოზული პრობლემები (მოეყინა ფეხები), რის გამოც იგი სამკურნალოდ გადაიყვანეს სოჭის ჰოსპიტალში. გამოჯანმრთელების შემდეგ გაგზავნილ იქნა 109-ე საგვარდიო დივიზიაში. სამხედრო ოპერაციებში გამოჩენილი გამბედაობა და მამაცობისათვის გრ. პინიანცი ორჯერ იქნა დაჯილდოვებული „გმირის წოდების“ საბრძოლო ჯილდოთი.

სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ, 1944 წ. 4 მარტს გრ. პინიანცმა დაიწყო მუშაობა აჭარის საარქივო განყოფილებაში უფროს ინსპექტორად. 1954-1957 წწ. მან სსრ კავშირის სახელმწიფო არქივში წარმატებით გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. იმავე პერიოდში (1954 წელს) დაამთავრა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტიც. 1967 წელს გრ. პინიანცი დააწინაურეს და დანიშნეს საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. 1949-1964 წწ. 1948 წლიდან იგი იყო საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარე.

საარქივო დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის იგი სამჯერ დააჯილდოვეს საარქივო სამმართველოს საპატიო სიგელით, უმაღლესი საბჭოს 1968 წლის 2 იანვრის ბრძანებით კი მას მიენიჭა სსრ კულტურის დამსახურებულ მუშაკის წოდება.

შეუძლებელია ყურადღების მიღმა დატოვო ცნობილი არქივისტის **ნაზი ნოღაიდელის** დამსახურება და ღვაწლი.

იგი 1963-1989 წლებში ხელმძღვანელობდა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს. ნ. ნოღაიდელმა თავისი შრომისმოყვარეობით და ორგანიზატორული ნიჭით გამორჩეული ავტორიტეტი მოიპოვა საზოგადოებაში. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში გამოიცა „მეგზურის“ განახლებული ვარიანტი. დაიბეჭდა მონოგრაფიები, კრებულები, საარქივო დოკუმენტური წყაროები. და საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით შედგენილი კრებულები.



1956 წელს საბრძოლო გამოცდილებით მოვიდა არქივში უფროს მეცნიერ-მუშაკად **სერგო ტაბაღუა**, რომელიც 1985-1997 წლებში ცენტრალური არქივის დირექტორად მუშაობდა.

მისი ხელმძღვანელობის პერიოდში რამდენჯერმე დაიხვეწა ცენტრალური არქივის სტრუქტურა. საარქივო ფონდმა 180 000 ს/ერთეულიდან 500 000 ერთეულს გადააჭარბა. რის



გამოც 1997 წელს ცენტრალურ არქივს მე-2 კატეგორიის არქივის სტატუსი მიენიჭა და შეიქმნა 9 განყოფილება 45 სამტატო ერთეულით.

ასევე მისი ხელმძღვანელობით ორჯერ მოხდა საარქივო დოკუმენტების ახალ შენობაში გადატანის ორგანიზება. ს. ტაბაღუა ძირფესვიანად იცნობდა თავის ფონდებს. სამსახუროებრივ მოვალეობას კარგად უთავსებდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და პუბლიკაცია, დაცული აქვს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. დღეს ბატონი სერგო პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა და ახალგაზრდებს საარქივო საქმის მნიშვნელობას და წარსულისადმი პატივისცემას ასწავლის.

დაუვიწყარია იმ არქივისტთა სახელები, რომლებმაც საარქივო დარგის განვითარებას თავიანთი ცხოვრების შესანიშნავი წლები აჩუქეს. მათ მიერ განვლილი ცხოვრება ნათელი მაგალითია მომავალი თაობებისა და ახალგაზრდა არქივისტებისათვის. ისინი თამამად შეიძლება ვაღიაროთ შრომის ვეტერანებად. ესენი არიან: **თალიკო შეყილაძე, ლიანა ვანიძე, გუგული ანდღულაძე, ლილი ოთიაშვილი, გალინა მოსიძე, ნუნუ სკამკორჩაიშვილი, ვლადიმერ მკერვალიშვილი, შოთა გაბრუშიძე, მაყვალა (დოდო) თავაძე, ნანა კუჭაშვილი.** მათ ერთსა და იმავე სამსახურში თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარეს.

მკაცრი და მომთხოვნი, ამასთანავე ენერგიული და უდალბატო – ასე იცნობდნენ **თალიკო შეყილაძეს** საარქივო დარგის მუშაკები.

თალიკო შეყილაძე დაიბადა 1929 წლის 16 ივლისს ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეითში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ბათუმს მიაშურა. 1953 წლიდან იგი ცენტრალურ სახელმწიფო არქივშია. მუშაობდა არქივარიუსად, დოკუმენტების სამეცნიერო – ტექნიკური დამუშავების ჯგუფის მუშაკად. 1994 წლიდან კი ცენტრალური სახელმწიფო არქივის არქივსაცავის გამგედ.



თალიკო შეყილაძე დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა როგორც დოკუმენტების სამეცნიერო – ტექნიკურ დამუშავებას, ასევე სახელმწიფო შენახვაზე შემოტანილი საარქივო საქმეების დაცვა – გამოყენებას. მან კარგად იცოდა, რომ ნებისყოფა, საქმის სიყვარული და ცოდნაა საჭირო, რომ ხელი მოჰქიდო წლების განმავლობაში ერთად თავმოყრილ ათასობით ქაღალდს, გაარჩიო მათში მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი, გასანადგურებელად გამოსაყოფი, შემდეგ კი ეს ყველაფერი შესაბამისად დააღაგო, შეკრა, აკინძო, გააფორმო და თაობებს შემოუნახო. არც ის უნდა დაივიწყო, რომ ქაღალდის ერთ პატარა, თითქოს უნიშვნელო ნაგლეჯს შეიძლება უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდეს.

ამ პრინციპითა და პროფესიული ეთიკით იგი 50 წელზე მეტხანს ემსახურა საყვარელ საქმეს. მისი პირადი საქმე სავსეა მადლობებით. 2000 წლის 12 მაისს საარქივო სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და არქივისტის დღესთან დაკავშირებით თალიკო შეყილაძე დაჯილდოვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით.

ერთი შეხედვით სუსტი, პატარა, ფაქიზი ქალი, მაგრამ კარგი სპეციალისტი თავისი საქმის, პროფესიონალი, თავდაჯერებული და ურთიერთობაში ზომიერი – ასე იცნობდნენ **ლიანა ვანიძეს** აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.

ლიანა ალექსანდრეს ასული ვანიძე დაიბადა 1934 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ დვანში, მოსამსახურის ოჯახში. სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ბათუმში ჩამოვიდა.

1960 წელს საქალაქო საბჭოს აღმასკომის არქივის გამგის ლენა ზაქარეიშვილის რეკომენდაციით ლ. ვანიძემ მუშაობა დაიწყო ბათუმის საქალაქო არქივში, ხოლო მისი გაუქმების შემდეგ 1963 წლიდან აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივშია. მალე იგი ამალდა არქივარიუსის თანამდებობიდან უფროსი ფონდების მცველის, შემდეგ კი არქივსაცავის გამგის თანამდებობამდე. 43 წელი ემსახურა ლიანა ვანიძე საარქივო საქმეს. 43 წელი თავს დაჰყოფინებდა დოკუმენტებს. შესაშური სისუფთავე და სიფაქიზე მეფობდა მის არქივსაცავში და თვალს ახარებდა თაროებზე ღამაზად შეკრული და კოხტად დალაგებული საარქივო საქმეების ხილვა. საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება, ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საქმეთა შერჩევა, სოციალურ – უფლებრივი ხასიათის საარქივო ცნობების მომზადება და ამავდროულად მკვლევარებისათვის საქმეთა დროული მიწოდება – იყო მისი ყოველდღიური საქმიანობა. ამიტომაც ჩაიწერა მის პროფესიულ დახასიათებაში: „შეადგენს რა მის მოვალეობას საარქივო დოკუმენტების დაცვა – შენახვა, იგი პასუხისმგებლობით ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას“. სხვანაირად არც შეეძლო. არქივი იქცა მის მეორე ოჯახად. საარქივო საქმისადმი სიყვარული მის პატარა ოჯახშიც გაიყოლა და თავის ერთას – ინგა ფაცურეიშვილს ჩაუნერგა, რომელმაც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ არქივში დაიწყო მუშაობა და ამჟამად საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე აგრძელებს მუშაობას.

საარქივო საქმის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ლ. ვანიძეს 1978 წელს გადაეცა აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი. 2003 წლის 18 აპრილს ლიანა ვანიძის პირად საქმეში დაცულ მადლობებსა და საპატიო სიგელებს საქართველოს პრეზიდენტის მადლობაც დაემატა.

საარქივო საქმის თავდადებული მუშაკი 2010 წელს გარდაიცვალა.

საარქივო საქმის განვითარებაში დიდია **გუგული ანდლულაძის** როლი. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი – 42 წელი ახალგაზრდა არქივისტების პროფესიულ აღზრდა – დაოსტატებას მოახმარა.



გუგული ამბროსის ასული ანდლულაძე დაიბადა 1933 წლის 15 მარტს ოზურგეთის რაიონის სოფელ მელექედურაში. ოზურგეთის პედსასწავლებლის დასრულების შემდეგ (1958 წ.) იგი საცხოვრებლად ბათუმში გადმოვიდა. 1961 წლიდან გუგული ანდლულაძემ თავისი საქმიანობა აჭარის საარქივო დარგის განვითარებას დაუკავშირა. იგი მუშაობდა არქვისტად, უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ-მუშაკად,

უფროს არქივისტად, ხელმძღვანელობდა სამეცნიერო – საცნობარო განყოფილებას. ნიჭიერმა და ენერგიულმა ახალგაზრდამ სწრაფად აითვისა საარქივო საქმიანობის სპეციფიკა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ნორმატიულ – მეთოდური დოკუმენტების მომზადებაში, ამუშავებდა რეფერატებს. გ. ანდლულაძის აქტიური მონაწილეობით მომზადდა სახელმწიფო დაწესებულებების ცნობარი, გამოქვეყნდა ათეულობით სტატია და წერილი. სწორედ მისი უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით გამოვლინდა და შედგენილი იქნა განსაკუთრებულ საქმეთა ანაწერები, ინსტრუქციები, სამეცნიერო – საცნობარო თვალსაზრისით გაუმჯობესდა ათობით ფონდი.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის გ. ანდლულაძეს 1977 წელს მიენიჭა აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება. იგი დაჯილდოვებულია სსრკ მთავარი საარქივო სამმართველოს საპატიო სიგელით (1988 წ.). აჭარის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1999 წ.). 2002 წელს მისი შრომა და ღვაწლი დაფასდა რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოთი - „ღირსების ორდენით“ (რ-1041; აღწ. 6; საქმე 2).

ღვაწლმოსილი არქივისტი გარდაიცვალა 2008 წელს და გაიყოლა თანამშრომელთა სიბო და სიყვარული.



არქივი ისტორიკოსების, მეცნიერ – მუშაკების ბუდეა, მაგრამ ზოგჯერ სხვა პროფესიის ადამიანებსაც დაუტოვებიათ შესამჩნევი კვალი საარქივო საქმის განვითარებაში. მათ შორისაა **ლილი ოთიაშვილი** – დაუღალავი კეთილსინდისიერი, შრომისმოყვარე და ავტორიტეტული არქივისტი. მან თავისი საქმიანობა საარქივო დაწესებულებას 1962 წელს დაუკავშირა.

ლ. ოთიაშვილი დაიბადა 1934 წლის 15 თებერვალს, ქობულეთის რაიონის სოფელ ლელვაში. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ სკოლაში იწყებს პედაგოგად მუშაობას. 1958 წელს ლ. ოთიაშვილი საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში. 1962 წელს იგი დაინიშნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს ინსპექტორად. პედაგოგიურმა აღლომ, საქმისადმი მათემატიკური სიზუსტით მიდგომამ, სიფაქიზემ და კეთილშობილებამ იგი საარქივო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის საპატიო თანამდებობამდე აამაღლა. ლ. ოთიაშვილი მთელი სულითა და გულით, სუფთა სინდისით საარქივო საქმეს ემსახურებოდა 45 წლის განმავლობაში. მის სამსახურეობრივ დახასიათებაში ვკითხულობთ: ლ. ოთიაშვილი 45 წლის მანძილზე „კეთილსინდისიერად ემსახურება მხარის ისტორიული წარსულისა და აწმყოს ამსახველი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების დოკუმენტების დაცვა – გამოყენების, რესპუბლიკის სამინისტროებში, გაერთიანებებსა და საწარმოებში საარქივო საქმისა და საქმისწარმოების განვითარების საქმეს“ (რ-1041; აღწ. 6; საქმე 3; ფურც. 21).

ლ. ოთიაშვილი გასაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რაიონული არქივების მუშაობას და გარკვეული წვლილიც შექონდა რაიონული სახელმწიფო არქივების მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების დახვეწასა

და შემდგომ განვითარებაში. სამსახურებრივ მოვალეობებს ლ. ოთიაშვილი კარგად უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. წლების განმავლობაში იგი იყო აჭარის ასსრ სასამართლოს შტატგარეშე ინსტრუქტორი, ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე, საარქივო სამმართველოს (შემდგომში დეპარტამენტის) საექსპერტო – შემმოწმებელი კომისიის მდივანი და კოლეგიის წევრი. იგი წარმატებით უძღვებოდა საარქივო დარგის მუშაკთა პროფესიული დაოსტატების მუდმივმოქმედი სემინარის მუშაობას.

ლილი ოთიაშვილი ჩამოყალიბდა როგორც საარქივო საქმის კარგი სპეციალისტი, პატიოსანი, შრომისმოყვარე, თავმდაბალი მუშაკი, შესანიშნავი მოქალაქე და ხელმძღვანელი, რაც შესანიშნავად შეაფასა კიდევ საარქივო დარგის ხელმძღვანელობამ და რესპუბლიკის მთავრობამ. ლ. ოთიაშვილი დაჯილდოვებული იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის (1968წ.), სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოსა და სახელმწიფო დაწესებულებათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მთავარი არქივისა და აჭარის ასსრ სახელმწიფო დაწესებულებათა პროფკავშირის საპატიო სიგელებით (1976; 1988წწ.). მინიჭებული ჰქონდა „შრომის დამკვერდის“ (1975წ.), აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის (1978წ.) საპატიო წოდებები.

კეთილი საქმე, შრომა და გარჯა კვალს არ კარგავს და საქართველოს რესპუბლიკის საარქივო სისტემის დაჯილდოვებულ მუშაკთა სიაში ქნილილი ოთიაშვილიცაა. მას 1997 წელს საქართველოს პრეზიდენტის მადლობა გამოეცხადა – საარქივო სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომისათვის (რ-1041; ადწ. 4; საქმე 340; ფურც. 34).

საინტერესო ბიოგრაფიითა და შრომითი საქმიანობით გამორჩეულ არქივისტთა შორის განსაკუთრებულია **გალინა მოსიძე-საზგულოვას** ღვაწლი და დამსახურება.



გალინა ივანეს ასული საზგულოვა დაიბადა 1924 წლის 8 აპრილს ლიპეცკის ოლქის ქალაქ უსმანში. 1947 წელს დაამთავრა ვორონეჟის სასოფლო – სამეურნეო ინსტიტუტი და თავისი ბედი ქართველ ახალგაზრდას, ბათუმელ გრიგოლ მოსიძეს დაუკავშირა.

ასე გადაიქცა უკრაინელი საზგულოვა ქართველების რძლად. იმავე წლის დეკემბერში გალინა მოსიძე მუშაობას იწყებს აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში უფროსი მეცნიერ – თანამშრომლის თანამდებობაზე.

ფონდების დაკომპლექტება, დაცვა, აღრიცხვა, ფონდებში მომხდარი ყველა ცვლილების ზუსტი და დროული ასახვა – ეს ზოგადი ჩამონათვალია იმ სამუშაოებისა, რომელსაც იგი ყველდღიურად ასრულებდა. საადრიცხოვო დოკუმენტების: ფონდების სიების, მიღების წიგნის, ფურცლებისა და ბარათების წარმოება, კატეგორიებად დახვეწა და ყველა ამ სამუშაოს მოთხოვნილების შესაბამისად შესრულება დიდ შრომასა და გამოცდილებას მოითხოვდა, რასაც მან წარმატებით გაართვა თავი. უფრო მეტად კი სახელმწიფო გაითქვა, როგორც კომპეტენტურმა და მაღალი რანგის სპეციალისტმა საადრიცხოვო სექტორის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

გალინა მოსიძის კეთილსინდისიერი შრომა შესაბამისად დაფასდა. იგი დაჯილდოვეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგე-

ლებით (1968; 1975 წწ.), ლენინის საიუბილეო მედლით (1970 წ.), „სოცშეჯიბრებში გამარჯვებულის“ სამკერდე ნიშნით (1975 წ.). 1975 წელს გ. მოსიძეს მიენიჭა აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება (რ-1041; აღწ.4; საქმე 192). ღვაწლმოსილი ქალბატონი 40 წელი (1987 წლამდე) ემსახურა საარქივო საქმეს. მის მიერ შედგენილი იქნა ინფორმაციები, ისტორიული ცნობები და ინსტრუქციები, რომლებიც დღესაც გვეხმარება საარქივო საქმისა და სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოების სრულყოფის თვალსაზრისით.

საოცარია ადამიანთა ხვედრი. ხშირად ბედი მათ იმ საქმეს აკეთებინებს, რაც მათი მოწოდება არ არის. არქივი სამეცნიერო დაწესებულებაა, სადაც ფართო სარბიელია მეცნიერული კვლევა – ძიებისათვის, მაგრამ ის ადგილი არ არის, სადაც პოეტური სულისა და რომანტიული ბუნების ადამიანი ღაღად გაშლიდა ფრთებს. სწორედ ასეთი ხვედრი ერგო წილად **ნუნუ გრიგოლის ასულ სკამკოჩაიშვილს**.

ნუნუ სკამკოჩაიშვილი დაიბადა 1943 წლის 24 აპრილს ოზურგეთის რ-ნის სოფელ მაკვანეთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იქვე სოფლის ბიბლიოთეკასა და კულტურის სახლში დაიწყო შრომითი საქმიანობა, მაგრამ ახალგაზრდა ქალიშვილის სხვა ოცნება ჰქონდა – იურისტობა სურდა, თუმც ოჯახის ხელმოკლეობამ გზა გადაუღობა და ნიჭიერი ახალგაზრდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ისტორიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.



ბევრი გაჭირვება, ბევრი სიკეთეც უნახავს, ბევრი ცრემლი და ბევრი სიხარული ჰქონია, მაგრამ ყველაზე ბედნიერად წიგნებთან მუშაობის დროს გრძნობდა თავს. მისი სტატიები, გამოკვლევები ხშირად იბეჭდებოდა არამარტო ადგილობრივ პრესაში, არამედ საქართველოს სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტის სამეცნიერო – საინფორმაციო ბიულეტენში.

განსაკუთრებით ბედნიერი იყო, როცა აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის სამკითხველო დარბაზს ხელმძღვანელობდა. კონფერენციები, შეხვედრები ქალაქის მოწინავე და ცნობილ ადამიანებთან, ურთიერთობა მკვლევარებთან, რომელთა შორის მეცნიერები, პედაგოგები, იურისტები, ხშირად კი მოსწავლეებიც იყვნენ, მას ხალისითა ავსებდა. გულთბილი ურთიერთობისა და პროფესიული დახმარებისათვის არა ერთი მადლობა მიუღია მათგან. „მე მისგან (ნუნუ სკამკოჩაიშვილი) ბევრი რამ ვისწავლე არა მარტო გამოვლინების, არამედ ადამიანობის დარგშიც - წერს თალიკო ბოლქვაძე. მადლიერ ადამიანთა შორისაა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კაბინეტის გამგე ნოდარ დარსანია, რომელსაც შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაუწერია: „მადლობა ქ-ნ ნუნუ სკამკოჩაიშვილს გულთბილი, გულისხმიერი მიღებისა და სანიმუშო მომსახურებისათვის“. პროფესორი ოთარ თურმანიძე კი აღნიშნავს: „ჩემი შრომები ნუნუს დაუზარელი და გულთბილი მომსახურების შედეგად დაიწერა“.

ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა ეროვნული საარქივო ფონდის დაცვის, აღრიცხვისა და სანეცნიერო – საცნობარო აპარატის განყოფილებაში, რომელსაც ჩვეული მომთხოვნელობითა და პასუხისმგებლობით უძღვებოდა.

იგი არ ღალატობდა თავის პროფესიულ ეთიკას აჭარის არ საარქივო დეპარტამენტის სშკ-ის მდივნობისა და ექსპერტად მუშაობის დროსაც. პროფესიული საქმიანობისა და კეთილსინდისიერი შრომისათვის ნ. სკამკოჩაიშვილი დაჯილდოვებული იყო საპატიო სიგელებით, მიღებული ჰქონდა მადლობები, ხოლო 1997 წელს „საქართველოში საარქივო დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის“ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით გამოეცხადა მადლობა (რ-1041; აღწ. 4; საქმე 340).

დრო და დრო ნუნუ სკამკოჩაიშვილს, როგორც ნამდვილ პოეტს რომანტიკა მოეძალებოდა, კალამს ხელში აიღებდა და მისი გრძნობები ლექსის სტრიქონებად ჩამოიდგებოდა. ლექსი „ისტორიის კარიბჭესთან“ ერის საგანძურს, არქივს მიუძღვნა:

რძისფერ ნისლებს დაუბერავს ქარი
გადიხსნება სარკოფაგის კარი,
დადუმებულ მუმიების გვერდით
ხავსწაყრილი ძელქვები და ძელები.

დახუნძლულა ვით ხეხილი ბაღში
დოკუმენტთა საოცარი მთები,
სიბრძნის სიტყვა ასე საძიებო
ისტორიის გარდასული წლები.

გაკრთომია ცის ვარსკვლავებს ფერი
გადაყვითლდა პერგამენტი ბევრი,
მეტყველებენ ძელები, მუმიები,
დოკუმენტთა უჩინარი ენით.

ქარიშხლები გადაივლის ქვეყნად
შეიცვლება თაობებიც ბევრი,
შეუცვლელი რჩება საგანძური
ეროვნული ეს სიმდიდრე ძველი.

სადღაც მთებზე ჩამოთოვა ფიფქი
დაითრთვილა საცაგებში მტვერიც,
აჩრდილების საუბარი მესმის
გაცოცხლდენო ძელები, მუმიები.

80-წლის მოიყარე თითქოს
მაგრამ მარად ახალგაზრდა რჩები,
ამოუხსნელ ქარაგმებად გვესმის
წინაპართა შორეული ხმები.

კიდევ ბევრჯერ დაუბერავს ქარი,
ისევ რძისფერ ნისლებს გადაფანტავს,
არქივები – ერის საგანძური
კვლავ დარჩება ისტორიის კართან.

ნუნუ სკმაკოჩაიშვილი 2008 წელს გარდაიცვალა. განათლებით ისტორიკოსი, ბუნებით რომანტიკოსი, სისხლით ხორცამდე ქართველი ქალი – ასეთად დაამახსოვრდათ იგი საარქივო დარგის მუშაკებს.

ამაგდარ არქივისტებს შორის განსაკუთრებულია **ვლადიმერ პლატონის ძე მკერვალიშვილის** დამსახურება. იგი დაიბადა ქ. ბათუმში 1925 წლის 1 დეკემბერს.

ვ. მკერვალიშვილმა 1967 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო საისტორიო – საარქივო ინსტიტუტი, თუმცა საარქივო სისტემაში სამუშაოდ მოგვიანებით, 1974 წელს მოვიდა. 1974-1979 წწ. იგი მუშაობდა აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში უფროს მეცნიერ-მუშაკად, ხოლო 1979-1993 წლებში ხელმძღვანელობდა ხელვაჩაურის რაიონულ სახელმწიფო არქივს. იმ პერიოდში ხელვაჩაურის რაიონული არქივი მოწინავეთა რიგებში ჩადგა და 4-ჯერ გადაეცა გარდამავალი დროშა. რაიონის წარმოება – დაწესებულებების საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი დოკუმენტების დაცვისადმი მკაცრი კონტროლი, ზრუნვა არქივში დოკუმენტების თავმოსაყრდელად, მშრომელებისადმი შრომითი სტაჟის დასადგენად კეთილსინდისიერი მომსახურება იყო მისი საქმიანობის ყოველდღიურობა და აუცილებელი საზრუნავი. 1993 წელს იგი გადმოყვანილი იქნა აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, ჯერ უფროს მეცნიერ – თანამშრომლად, შემდეგ დირექტორის მოადგილედ.



ვლადიმერ მკერვალიშვილმა კალამი მოსინჯა როგორც მეცნიერებაში, ასევე პუბლიცისტიკაში. მის მიერ დაწერილ მონოგრაფებსა და სამეცნიერო ნაშრომებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. საარქივო საქმის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ვ. მკერვალიშვილი დაჯილდოვებული იყო სსრკ საარქივო საქმის წარჩინებულის „სამკერდე ნიშნით“, მიღებული ჰქონდა აჭარის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (1996 წ.), საქართველოს პრეზიდენტის მადლობა (1999 წ.) და რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო „ღირსების ორდენი“ (რ-1041; აღწ. 4; საქმე 256).

პროფესიული საქმიანობის პარალელურად ვ. მკერვალიშვილი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. იგი არჩეული იყო ხელვაჩაურის რაისაბჭოს დეპუტატად, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად.

საარქივო საქმის დიდმა გულშემატკივარმა, მინდობილი საქმის კეთილსინდისიერმა შემსრულებელმა და პირნციპულმა მუშაკმა, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება არქივს დაუკავშირა.



ვლადიმერ მკერვალიშვილი გარდაიცვალა 2007 წელს. არქივში დაცულია მისი, როგორც არქივისტისა და საზოგადო მოღვაწის პირადი ფონდი (რ-402).

საოცარი სიყვარულით, ჯანსაღი და ხალასი იუმორით იხსენებდნენ **შოთა გაბრუშიძეს** თანამშრომლები, რომლის ცხოვრების გზა ერთი ჩვეულებრივი პროფესიონალის ბიოგრაფიაა.

შ. გაბრუშიძე დაიბადა 1929 წელს, ბათუმის რაიონის სოფ. ჩიქუნეთში. 7-წლიანი სკოლისა და პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სოფლის სკოლაში ისტორიის მასწავლებლად. პარალელურად, 1962-1966 წწ. სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიულ ფაკულტეტზე. მარტო პედაგოგიური მოღვაწეობა არ იყო შ. გაბრუშიძის მოწოდება. „საერთოდ მასწავლებლობაზე პრეტენზიას არ ვაცხადებ, მაგრამ მაქვს მომავლის გარკვეული პერსპექტივა, მსურს ვიმუშავო ჩვენი მხარის ისტორიის ამსახველ რომელიმე აქტუალურ თემაზე“ – წერდა იგი. აღნიშნული მიზნის განხორციელება შესაძლებელი იყო ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის დ. დიასამიძის სახელზე გაგზავნილ განცხადებაში შ. გაბრუშიძე აღნიშნავს: „გთხოვთ გაითვალისწინოთ მომავლისადმი ჩემი მისწრაფება და გამიწიოთ დახმარება აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში სამუშაოს დასაწყებად“ (რ-1041; აღწ.4; საქმე 148). 1967 წლიდან იგი აჭარის ასსრ ცს არქივის უმცროსი მეცნიერ - მუშაკია. მალე იგი დააწინაურეს უფროსი მეცნიერ - მუშაკის (1971 წ.), ხოლო შემდეგ საცნობარო განყოფილების ხელმძღვანელად. ნიშანდობლივია, რომ განყოფილებაში მხოლოდ ქალები იყვნენ დასაქმებული. შესაბამისად ხშირი იყო ხმამაღალი სიცილი, ხმაურიანი საუბრები, მაგრამ ბ-ნ შოთას არ გაჭირვებია მათთან ურთიერთობა და მათდამი პატივისცემით, სიფაქიზით, პასუხისმგებლობითა და სითბოთი აკეთებდა თავის საკეთებელს. ისტორიული განათლება თითქოს მოერგო განყოფილების სტილს. დღესაც ფონდების პ/საქმეებში დაცულია შ. გაბრუშიძის ხელმოწერით შედგენილი არაერთი ფონდის წინასიტყვაობა.

შ. გაბრუშიძის პირად საქმეში უხვადაა საპატიო სიგელები, სამკერდე ნიშნები, რომლებიც შ. გაბრუშიძის კეთილსინდისური საქმიანობის გამოხატულებაა. ყველაზე დიდ ჯილდოდ მას მიაჩნდა სამკერდე ნიშანი „საარქივო საქმის ფრიადოსანი“. ეს იყო მისი შრომის აღიარება. მას უყვარდა არქივი, ჭეშმარიტად იგი იყო საარქივო საქმის ფრიადოსანი.

აჭარის არ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში არაერთი მომავალი მკვლევარი დაკვალიანდა და დაფრთიანდა. მათ შორისაა საარქივო საქმის შესანიშნავი სპეციალისტი **მაყვალა (დოდო) თავაძე**. სწორედ არქივში მიღებული ცოდნა – გამოცდილება გახდა მისი სამეცნიერო წარმატებების საფუძველი ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო – კვლევით ინსტიტუტში.

მაყვალა მოსეს ასული თავაძე დაიბადა 1934 წელს ქ. მახარაძეში (ოზურგეთში). მან ბავშვობიდანვე შეიყვარა ისტორია. გატაცებული იყო საარქივო საქმიანობით და ამიტომაც 1953 წელს ქალთა #4 გიმნაზიის დამთავრების შემდეგ არქივმცოდნეობის მიმართულებით გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება, გამოცდებიც ჩააბარა ქ. მოსკოვის შესაბამის უმაღლეს სასწავლებელში, თუმცა კონკურსში ვერ გავიდა. ნიჭიერ ახალგაზრდას გული არ გაუტეხია და სამუშაოს დასაწყებად აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივს მოაკითხა. აქ კი გულთბილად მიიღეს, ხელი შეუწყვეს, შრომა ასწავლეს და მერე მისი ოცნებაც ახდა. იგი მალე მოსკოვის საარქივო ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების



სტუდენტი გახდა. არქივში მას საარქივო დოკუმენტების აღიკვეთა ევალებოდა. იგი ჩვეული პასუხისმგებლობით ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ამიტომაც ჩაიწერა მის დახასიათებაში: „მაყვალა თავაძემ საარქივო საქმე იცის კარგად და ცდილობს კიდევ უფრო ღრმად შეისწავლოს იგი“. მ. თავაძე დაუღალავად შრომობდა, ცდილობდა რაც შეიძლება ბევრი გაეგო, გაცნობოდა ახალ – ახალ საარქივო დოკუმენტებს. ასე თანდათან გაიზარდა, დაფრთიანდა, დაკვალიანდა მ. თავაძე როგორც პიროვნება და როგორც მეცნიერი. სწორედ საარქივო მასალების საფუძველზე მომზადდა მისი საკანდიდატო დისერტაცია: „აჭარის პროფესიული კავშირების ისტორიიდან (1905-1921 წწ.)“, რომელიც წარმატებით დაიცვა.

მისი შრომა დაფასდა. იგი დაჯილდოვებული იყო: აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1968 წ.) და მედლით „მამაცური შრომისათვის“ (1970 წ.) (რ-1041; აღწ. 4; საქმე 169).

1996 წელს მაყვალა (დოდო) თავაძე გარდაიცვალა. სწორედ მასზე შეიძლება ითქვას: იშრომა, იცხოვრა და მოკვდა სახელოვანი.

შრომისმოყვარეობით, თავაზიანობით, პროფესიონალიზმით, რაღაც თავისებური ხიბლით გამორჩეულ არქივისტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნანა კუჭაშვილს, უანგარო პიროვნებას, ზნეკეთილობით, კლდევამოსილებით, მეგობრობის უზადო ნიჭით დაჯილდოვებულ ქალბატონს, საარქივო საქმის შესანიშნავ სპეციალისტს.



დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებენ მაღალზნეობრიობითა და პროფესიონალიზმით გამორჩეულ არქივისტს **ნადეჟდა – ნადია კოპლატაძეს**.

მან 1993 წელს დაიწყო მუშაობა აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში პირადი შემადგენლობის დოკუმენტების დაცვისა და გამოყენების განყოფილებაში არქივისტად. თავმდაბალი, კეთილსინდისიერი და უპრეტენზიო მუშაკი, ასე იცნობდნენ ნადიას არქივში. „მან მაღე აუღო ალღო საარქივო საქმიანობას. განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევს განყოფილებას რუსულენოვან დოკუმენტებზე მუშაობაში, გამოირჩევა საქმისადმი ფაქიზი მიდგომით, არის კარგი მეოჯახე, დედა, ბებია“-გვითხულობთ მის სამსახუროებრივ დახასიათებაში (რ-1041 აღწ.4, საქ.318, ფურც. 14). 1998 წელს „აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნების 120 წლისთავთან დაკავშირებით, აჭარის საარქივო დარგის განვითარებაში მიღწეული წარმატებისათვის“ ნ. კოპლატაძე დაჯილდოვდა საარქივო დეპარტამენტის საპატიო სიგელით.

შრომისმოყვარეობით, თავაზიანობით, პროფესიონალიზმით, რაღაც თავისებური ხიბლით გამორჩეულ არქივისტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნანა კუჭაშვილს, უანგარო პიროვნებას, ზნეკეთილობით, კლდევამოსილებით, მეგობრობის უზადო ნიჭით დაჯილდოვებულ ქალბატონს, საარქივო საქმის შესანიშნავ სპეციალისტს.

ნანული (ნანა) შალვას ასული კუჭაშვილი დაიბადა 1950 წლის 4 სექტემბერს ქ. ფოთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, შრომითი საქმიანობის პარალელურ-



რად მან დაამთავრა ამიერკავკასიის კომკავშირული სკოლა.

1978 წლიდან ნანა კუჭაშვილი აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში არქივარიუსის თანამდებობაზეა. 1989 წლიდან ნ. კუჭაშვილი ინიშნება მეორე კატეგორიის არქივისტის თანამდებობაზე, 1993 წლიდან კი არქივსაცავის ფონდების მცველია. მოგვიანებით იგი ასრულებს მთავარი სპეციალისტის მოვალეობას. ამ რანგში მან 2010 წლამდე იმუშავა. ზედმიწევნით კარგად იცოდა არქივში დაცული ფონდების შემადგენლობა, პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება, არქივსაცავში დაცული საქმეების დაცვა – აღრიცხვა, მოქალაქეებთან თავაზიანი და პროფესიონალური ურთიერთობა ხელს უწყობდა მისი ავტორიტეტის დამკვიდრებას. გეგმიური დავალების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის სხვადასხვა დროს დაჯილდოებული იყო საარქივო დეპარტამენტის სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით. 1999 წელს გამოეცხადა აჭარის არ საარქივო დეპარტამენტის მადლობა. 2000 წელს კი გადაეცა აჭარის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (რ-1041; აღწ. 4; საქმე 320).

საარქივო დაწესებულებათა არსებობის თითქმის 90 წლოვან ისტორიაში მრავალმა სახელმა გაიელვა. ყველა მათგანმა თავისი კვალი დატოვა საარქივო დარგის განვითარებაში. საარქივო საქმის კარგი სპეციალისტები, გულისხმიერი და კარგი თანამშრომლები - ასეთი სახელები დაუტოვეს შემდგომ თაობებს: დოდო ჩაჩუამ, მაყვალა არობელიძემ, თინა მადრაძემ, ნატაშა სელიმიძემ, კუკური ჩხარტიშვილმა და მრავალმა სხვამ. ყველა მათგანის ჩამოთვლა და დახასიეთება ამჟამად ვერ ხერხდება, რისთვისაც დიდსულოვნად ვთხოვთ პატიებას. საარქივო სამმართველოს დღესაც ჰყავს გამორჩეული არქივისტები, რომელთა შესახებ თბილ სიტყვებს არ დაიშურებენ ჩვენი მომავალი თაობები.

ტერიტორიული არქივები.

აჭარის საარქივო სისტემა წარმოადგენს ცენტრალური და ტერიტორიული არქივების ერთობლიობას, რომელთა მუშაობასაც ხელმძღვანელობს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო.

საარქივო დოკუმენტების მიხედვით ტერიტორიული//რაიონული არქივები (ქობულეთის, ბათუმის (ახლანდელი ხელვაჩაური), ქედისა და ხულოს რაიონები), აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით შეიქმნა 1936 წელს, ხოლო 1957 წლიდან ჩამოყალიბდა შუახევის რაიონული სახელმწიფო არქივიც. ჩამოყალიბების დღიდან, ტერიტორიულ არქივებში მიმდინარეობს ნაყოფიერი, შრომატევადი და საპასუხისმგებლო საარქივო საქმიანობა.

ქობულეთის ტერიტორიული არქივი. ქობულეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმმა 1936 წლის 25 იანვარს განიხილა საკითხი ქობულეთში რაიონული არქივის მოწყობის შესახებ (რ-4; აღწ.1; საქ.952; ფურც.40). ახალშექმნილ რაიონულ არქივს სათავეში ჩაუდგა შუქრი გუგუნავა. სხვადასხვა წლებში ქობულეთის რაიონულ არქივს ხელმძღვანელობდნენ: **სერგო შანიძე** (1937-1938წწ), **ელისო მექვაბიშ**

ვილი (1938-1940წწ), თინა შურღაია (1940-1941წწ), ნინა ტულუში (1941-1942წწ), ბაბილინა გეგელია (1942-1957წწ), გენრი გოგავა (1957-1968 წწ), ჟუჟუნა რომანაძე. ამჟამად ქობულეთის ტერიტორიულ არქივს სათავეში უდგას ნოდარ ზაქარიაძე.

ქობულეთის რაიონული სახელმწიფო არქივის მუშაობაში სხვა ღვაწლმოსილ ადამიანებთან ერთად განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ომისა და შრომის ვეტერანმა **ნიკოლოზ (კოლია) თოღაძემ**.

1925 წელს სონის რაიონის სოფელ შრომისუბანში დაიბადა კოლია არჩილის ძე თოღაძე. 1942 წელს, ჯერ კიდევ მე-10 კლასის მოსწავლე სასწავლებლად ერევნის სამხედრო სასწავლებელში წაიყვანეს. მალე იგი მოხალისედ წავიდა ჯარში და მტერთან მძიმე და შეუბრალებელ ბრძოლებში ჩაერთო.

1956 წელს კ. თოღაძემ მოსკოვის საარქივო ინსტიტუტში ჩააბარა, მაგრამ რუსეთის მკაცრმა ზამთარმა ომში მიღებული ჭრილობები გაუმიზეზა, რის გამოც იძულებული გახდა ინსტიტუტი მიეტოვებინა. მოგვიანებით, კ. თოღაძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

1973 წელს მუშაობა დაიწყო აბაშის რაიონის არქივის სამეურნეო ჯგუფში. შემდეგ მუშაობას აგრძელებს ქობულეთის რაიონული სახელმწიფო არქივის დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების ჯგუფში. საარქივო საქმის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის კ. თოღაძეს არაერთხელ გამოეცხადა საარქივო დარგის ხელმძღვანელთა მადლობები.

საარქივო საქმის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას ქობულეთის **შუქრი გუგუნავამ, ელისო მექვაბიშვილმა, ბაბილინა გეგელიამ, ჰენრი გოგავამ და სხვებმა**. ბოლო პერიოდის გამორჩეულ არქივისტებს შორისაა **ჟუჟუნა რომანაძე**, რომელიც ქობულეთის რაიონულ არქივს სათავეში ჩაუდგა 1968 წელს.



სასარგებლო და ნაყოფიერი მუშაობისათვის ჟ. რომანაძეს რამდენჯერმე გამოეცხადებოდა აქვს საარქივო საქმის ხელმძღვანელობის მადლობები, დაჯილდოვებულია აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის (1978 წ.) და აჭარის ასსრ საარქივო სამმართველოს საპატიო სიგელებით, 1997 წლის 9 სექტემბერს საარქივო დარგში შეტანილი წვლილისა და ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის გამოეცხადა საქართველოს პრეზიდენტის მადლობა, ხოლო 2000 წელს მიენიჭა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება“.

ხელვაჩაურის ტერიტორიული არქივი. ხელვაჩაურის რაიონული არქივი დაარსდა 1936 წელს. რაიონული არქივის პირველი ხელმძღვანელი **ალექსანდრე ჩხაიძე** (1936) იყო. 1936-1937 წწ. არქივს **შალვა ხომერიკი** ედგა სათავეში, 1937- 1940 წწ. **ნიკოლოზ გურჩუყელიძე**, 1941-1945 წლებში - **ლუბა ჩხიკვიშვილი**, 1945 წ. **გუგული ანანიძე**, 1946-1965 წწ. - **ელენე ქორიძე**, 1965-1979 წწ. **ელენე ზაქარეიშვილი**, 1979-1993 წწ. **ვლადიმერ მკერვალიშვილი**. ამჟამად არქივს სათავეში უდგას **ავთანდილ ლეონიძე**.



ხელვაჩაურის ტერიტორიული არქივის თვალსაჩინო არქივისტა შორის გამორჩეულია **ვლადიმერ მკერვალიშვილის** სახელი, მაგრამ მის შესახებ უკვე გვექონდა საუბარი. ამჯერად მკითხველის ყურადღებას შევანერებთ **გუგული იმედაიშვილის** დამსახურებაზე, რომელმაც სიყვარულითა და ერთგულებით 36 წელი გაატარა აჭარის საარქივო სისტემაში.

იგი 1946 წლის 9 ივნისს დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ მახხვარეთში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის 'კუშკინის' სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოთეკარის სპეციალობაზე, თუმცა ოჯახური პირობების გამო სწავლა ვეღარ განაგრძო და საცხოვრებლად ქ. ბათუმში გადმოვიდა.

1971 წელს მუშაობა დაიწყო ხელვაჩაურის რაიონის სახელმწიფო არქივში ფონდების მცველად. მას შემდეგ საარქივო დოკუმენტებზე ზრუნვა, მათი დაცვა და გამოყენება იქცა მის უპირველეს საქმიანობად, სიყვარულითა და უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას. საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება, არქივსაცავში დაცული საქმეების დაცვა-აღრიცხვა, მოქალაქეებთან თავაზიანი და პროფესიონალური ურთიერთობა ხელს უწყობდა მისი ავტორიტეტის დამკვიდრებას, რაც არაერთხელ აღინიშნა ადგილობრივ პრესაში. საარქივო საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის იგი 1998 წელს დაჯილდოებული იქნა აჭარის არ საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის სიგელით, ხოლო 2000 წლის 12 მაისს დაჯილდოვდა აჭარის არ უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით (ფონდი რ-1041; აღწ. 4; საქ. 313).


2007 წლამდე იმუშავა საარქივო დარგში გუგული იმედაიშვილმა, სადაც კარგი სპეციალისტისა და უანგარო არქივისტის სახელი დატოვა.

ახალგაზრდა კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეს ყოველთვის მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა აჭარის საარქივო სისტემაში. გამოცდილი თანამშრომლები გვერდით ედგნენ ახალგაზრდა სპეციალისტებს. ყოველი მათგანი, ძველიცა და ახალიც, ერთნაირად ცდილობს – ძველმა ღრმად, შინაარსიანად და საფუძვლიანად ასწავლოს, ხოლო ახალმა ყველაფერი აითვისოს მათი გამოცდილებიდან.

ამ ურთიერთობის შესანიშნავი მაგალითია ხელვაჩაურის ადგილობრივი არქივის ამჟამინდელი უფროსი **აგთანდილ ლეონიძე**, რომელმაც 1980 წლიდან თავისი ბედი არქივს დაუკავშირა. იგი მუშაობას იწყებს ხელვაჩაურის რაიონულ სახელმწიფო არქივში მე-2 კატეგორიის არქივისტად. 1988 წელს მას ხელვაჩაურის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების სამეურნეობათაშორისო საუწყებო არქივის გამგედ ნიშნავენ. საარქივო სისტემაში მისი საქმიანობა უკავშირდება ხელვაჩაურის რაიონის სახელმწიფო არქივის მაშინდელი დირექტორის ვლ. მკერვალიშვილის მოღვაწეობას, რომელმაც სწორად შეაფასა ამ თავდაჭერილი და ნიჭიერი ახალგაზრდის შრომისმოყვარეობა და მინდობილი საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძობა. აღლომ არ უმტყუნა ბატონ ვლადიმერს და ა. ლეონიძე უნარიანი, სერიოზული და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ხელმძღვანელი დადგა.

ყოველთვის საამაყოდ ჰქონდა ვლ. მკერვალიშვილს, რომ ავთანდილი მისი გამოზრდილი არქივისტი იყო. ავთო ლეონიძის საუწყებო არქივის გამგედ მუშაობის პერიოდში მოხდა არქივის დაკომპლექტება მუდმივი და საცნობარო ხასიათის დოკუმენტაციით, გაუმჯობესდა საქმეთა მდგომარეობა სისტემაზე დაქვემდებარებულ პირველად ორგანიზაციებში. ა. ლეონიძე დღესაც ენერგიულად და სიყვარულით ემსახურება უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის მქონე საარქივო საქმეს.

ქედის ტერიტორიული არქივი. 1937 წლის აპრილში ჩამოყალიბდა ქედის რაიონული საარქივო განყოფილება, რომელიც 5 ორგანიზაციის 222 ს/ერთეულით დაკომპლექტდა. რაიონების წარმოება-დაწესებულებების საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი საარქივო დოკუმენტების ერთ ადგილზე თავმოყრის და მათი შემდგომი გამოყენების აუცილებლობა გახდა ერთ-ერთი წინაპირობა აჭარის რაიონებში საარქივო განყოფილებების შექმნისა. არქივის პირველი ხელმძღვანელი **პლატონ ანთაძე** იყო (1936-1938). მის შემდეგ არქივს ხელმძღვანელობდნენ: **შუქრი ბერიძე** (1939), **ლია დიასამიძე** (1949-1972), **გურამ გორგილაძე** (1973-1975. 1980), **დავით დავითაძე** (1980-1995), **უშანგი დუმბაძე** (1995-1996), **გურამ ბარამიძე**, **ალექსანდრე ბეჟანიძე**. ქედის ტერიტორიულ არქივს ამჟამად ხელმძღვანელობს **ბადრი შერვაშიძე**.



ქედის რაიონული არქივის გამორჩეულ არქივისტებს შორისაა **ილია დიასამიძე**, რომელიც 1949 დაინიშნა ქედის რაიონული არქივის გამგედ (რ-1041; აღწ.4; საქ.155). სწორედ მისი დაუღალავი შრომისა და საქმისადმი პრინციპული დამოკიდებულებით სულ მოკლე დროში რაიონულ არქივში 7 000 საქმეთა ერთეულს მოუყარა თავი.

თავდაპირველად ქედის არქივის განყოფილებას შენობა არ ჰქონდა და წლების განმავლობაში „სელპოს“ ოთახში იყო შეხიზნული. ი. დიასამიძემ შეუპოვარი პრინციპულობით მიაღწია არქივისათვის რაიონულ ცენტრში შენობის გამოყოფას და შემდგომში მასზე სართულის დაშენებას.

საარქივო საქმის დიდი გულშემატკივარი, მინდობილი საქმის კეთილსინდისიერი შემსრულებელი, პრინციპული და სამართლიანი – ასეთად შემორჩა საარქივო დარგის ისტორიას ილია დიასამიძის სახელი, რომელმაც 38 წლის განმავლობაში, 1949 წლიდან 1987 წლამდე უხელმძღვანელა ქედის არქივს.



მისი შრომა სათანადოდ დაფასდა. დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნებითა და სიგელებით.

ხულოს ტერიტორიული არქივი. 1936 წელს აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, შეიქმნა ხულოს რაიონული არქივი. არქივის პირველი გამგე იყო **ისმაილ ცივაძე**, რომელმაც ბევრი გააკეთა საარქივო დოკუმენტების თავმოყრისა და შენახვისათვის, მაგრამ მას ამ თანამდებობაზე დიდხანს არ მოუწია მუშაობა. 1936 წელსვე იგი შეცვალა **ა. ჯიქიძემ**,

რომელმაც იმუშავა 1938 წლამდე. 1938-1939 წლებში ამ თანამდებობაზე მუშაობდა **რეჯებ მახარაძე**.

უფრო ხანგრძლივად, 25 წლის განმავლობაში მოუწია მუშაობა რაიარქივის გამგის თანამდებობაზე **დიმიტრი ბოლქვაძეს** (1961-1986). იგი იყო საარქივო საქმის დიდი გულშემატკივარი, რომელიც მუდამ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და სხვებისაგანაც ამას მოითხოვდა. კეთილსინდისიერება იყო მისი პიროვნების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული თვისება. ამავე დროს იგი ხასიათდებოდა პრინციულობითა და სამართლიანობით. ყოველივე ამან განაპირობა დ. ბოლქვაძის 25 წლიანი მუშაობა ხულოს რაიონულ არქივში.

1986 წელს დიმიტრი ბოლქვაძე ამ თანამდებობაზე **თემურ ჯორბენაძემ** შეცვალა. იგი 1990 წლამდე ედგა სათავეში რაიონის არქივს. საბჭოთა იმპერია სულს დაფავდა. პოლიტიკური ცვლილებები აისახა საარქივო დაწესებულებებზეც. იგი შეეხო საკადრო პოლიტიკასაც. მალე მას ჩაენაცვლა ჯუმბერ თავართქილაძე (1991-1993), მოგვიანებით კი **სელმან აბულაძე** (1993-2010). ამჟამად ხულოს ტერიტორიულ არქივს ხელმძღვანელობს **თემურ ბერიძე**.

შუახევის ტერიტორიული არქივი. აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულებით ხულოს რაიონს გამოეყო: შუახევის, სხალთის, შუბნის, უჩამბის, დღვანის, ოლადაურის, ჭვანის, წყლისაყრისა და ბარათაულის სასოფლო საბჭოები და შეიქმნა შუახევის რაიონი, ცენტრით სოფ. შუახევში (რ-332; აღწ.1; საქ.226).

ახალშექმნილ შუახევის რაიონში დაიწყო სახელმწიფო დაწესებულებების ჩამოყალიბება და ორგანიზება. დღის წესრიგში დადგა შუახევის რაიონული არქივის დაარსებაც. აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო განყოფილების 1955 წლის 22 სექტემბრის ბრძანებით შუახევის არქივის გამგედ დაინიშნა **ქაზიმ ხასანის ძე დუმბაძე** (1956-1979) (რ-1041; აღწ.1; საქ.161; ფურც.3). 1980-1994 წლებში არქივს ხელმძღვანელობდა **მაყვალა წულუკიძე**. 1995-2011 წწ. **ნაზი ხიმშიაშვილი**, 2011-2013 წწ. **მარინა გოგოტიძე**. ამჟამად არქივს განაგებს **კახა დავითაძე**.

რაიონული არქივის პირველი ხელმძღვანელი **ქაზიმ დუმბაძე** იყო. მის პირად საქმეში დაცულია აჭარის ასსრ საარქივო განყოფილების უფროსის ტ. ნეფედოვას წერილი, შუახევის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის წულუკიძისადმი, ქაზიმ დუმბაძის არქივის გამგედ დანიშვნის თაობაზე. ამავე წერილით ტ. ნეფედოვა თხოვნით მიმართავს შუახევის რაიადმასკომის თავმჯდომარეს: 'გთხოვთ გამოუყოთ სამუშაო ოთახი და შენობა საარქივო მასალების შესანახად, აგრეთვე გაუწიოთ დახმარება დუმბაძეს შუახევის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ორგანიზაციების, დაწესებულებების, სასოფლო საბჭოების, კოლმეურნეობების და სკოლების საარქივო მასალების დაცვის უზრუნველყოფის საქმეში.(რ-1041, აღწ 4, საქ 161, ფურც.5)

ვაქტიურად ქ. დუმბაძის მხარეზე გადავიდა შუახევის რაიონში არქივის დაკომპლექტებისა და ჩამოყალიბების რთული სამუშაოები. ის იყო საარქივო საქმის გზამკვლევი შუახევის რაიონში.



ქ. დუმბაძე 1922 წელს დაიბადა ხულოს (შემდგომში შუახევის) რაიონის სოფ. ჩანჩხალოში. აქვე დაამთავრა 8-წლიანი სკოლა. 1947 წელს სწავლა განაგრძო ქ. ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებელში, მაგრამ სწავლა არ დაუსრულებია.

1950-1951 წლებში მუშაობდა სოფელ ჩანჩხალოს სასოფლო კლუბთან არსებულ ბიბლიოთეკის გამგედ, 1951-1954 წწ. მსახურობდა არმიაში. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ დაიწყო მუშაობა შუახევის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორად. სწორედ აქედან გადაიყვანეს ქ. დუმბაძე შუახევის რაიონის არქივის გამგედ.

1962 წელს შუახევის და ხულოს რაიონების გაერთიანებასთან დაკავშირებით, აჭარის საარქივო განყოფილების ბრძანებით ქ. დუმბაძე დაინიშნა ხულოს არქივში არქივარიუსად (1963 წლის 1 აპრილიდან), ხოლო 1964 წლიდან, შუახევის რაიონის ხელახალი გამოყოფის შემდეგ ისევ, 1979 წლამდე შუახევის რაიონულ არქივის გამგის თანამდებობაზე.

შუახევის რაიონში საარქივო დარგის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა **ვალერია ხიმშიაშვილი**. 1972 წლის ოქტომბრიდან ვ. ხიმშიაშვილი მუშაობას იწყებს შუახევის რაიონის არქივში - სამეურნეო ჯგუფის მუშაკად. მას შემდეგ უწყებათა დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება და მოწესრიგება გადაიქცა მის უპირველეს მოვალეობად.

34 წელი ემსახურა რაიონის ისტორიული წარსულისა და აწმყოს ამსახველი სამეცნიერო თუ პრაქტიული ღირებულების დოკუმენტების დაცვის, შენახვისა და გამოყენების საქმეს. იგი კარგად იცნობდა შუახევის რაიონის წარმოება-დაწესებულებების საქმიანობას, კარგად იცოდა მათ მიერ შექმნილი დოკუმენტების მნიშვნელობა და ღირებულება, ამიტომ აქტიურად იღვწოდა ამ დოკუმენტების შეგროვებისა და თავმოყრისათვის, რათა შემდგომ მათთვის საარქივო საქმის და საარქივო ფონდის სახე მიეცა. 2006 წლის 16 იანვარს 67 წლის ვალერია ხიმშიაშვილი დამსახურებულ პენსიაზე გავიდა.

დამსახურებულ არქივისტებს შორის შეიძლება დავასახელოთ შესანიშნავი ქალბატონი, პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ენერგიული მუშაკი, სტუმარმასპინძლობით განთქმული ქართული სუფრის სიამაყე **ნაზი ხიმშიაშვილი**. ძნელია წარსულზე წერო ადამიანის შესახებ, ვისაც სიცოცხლე თავად სიცოცხლეზე მეტად უყვარდა, ოჯახსა და საზოგადოებაში ხალისი შეჰქონდა, ვინც შენი თანატოლი და თანამშრომელი იყო.

1962 წლის 9 იანვარს შუახევის რაიონის სოფელ ნიგაზეულში დაიბადა ნაზი ხიმშიაშვილი. 1979 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. 1982 წელს სწავლა გააგრძელა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში - გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობით, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1987 წელს.

სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა ნიგაზეულის და ახალდაბის საშუალო სკოლებში პედაგოგად, სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში, რაიონულ გაზეთ „ცისკრის“ კორესპონდენტად.



1995-2011 წლებში ნაზი ხიმშიაშვილი შუახვევის რაიონული არქივის დირექტორია. „ნაზი ხიმშიაშვილი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება სამსახურეობრივი და საზოგადოებრივი დავალებების შესრულებას, სისტემატიურად იმაღლებს თავისი ცოდნის დონეს, კარგი ავტორიტეტით სარგებლობს რაიონის მოსახლეობასა და შრომით კოლექტივში“ – ვკითხულობთ სამსახურეობრივ დახასიათება-რეკომენდაციაში (ფონდი რ-1041; აღწ.1; საქ.1962).

ლამაზი ოჯახი ჰქონდა „ერთ სულ და ხორც“ – იყვნენ ნაზი და მისი მეუღლე და ასეთ სიყვარულში ზრდიდნენ სამ შვილს – ორ ქალიშვილსა და ვაჟიშვილს. და როცა მოვიდა დრო სიყვარულითვე დაულოცეს მომავალი ბუდიდან აფრენილ ქალიშვილებს. მაგრამ ბედისწერამ სხვანაირად ინება და 2011 წლის 5 აგვისტოს დატრიალებულმა საშინელმა ტრაგედიამ დედა და ახალგვარდაწერილი შვილი სამუდამოდ განაშორა საყვარელ ადამიანებს.

ნაზის ერთი გატაცება ჰქონდა. პოეზია უყვარდა და თვითონაც სცდიდა კალამს. მისი ლექსები დროდადრო იბეჭდებოდა გაზეთებში: „დროშა“, „ცისკარი“, „მთიანეთი“, „გორდა“, „შუახვევი“, კრებულში „მთის ყვავილები“. სამწუხაროდ ვერ მოესწრო და ვერ შეიგრძნო პირველი კრებულის გამოცემით გამოწვეული სიხარული, რომელსაც მეტად ნიშანდობლივი სახელწოდება აქვს „ვეღარ დავიცდი“ (2011წ.).

აღბათ, წინათგრძნობა არ ასვენებდა, აღბათ, რაღაც საშინელის მოლოდინი მოსვენებას უკარგავდა და ეს „რაღაც“ ბოლო ლექსის ბოლო სტროპში ასე გამოიხატა ბედს მინდობილმა ნაზიმ:

„ჩემი გულის კარი ჩაირაზა,
აღარ მსურს დიბა და ფარჩა,
უცებ გაჩერების მიზეზი
აღმოსაჩენი დარჩა“.

შეიძლება მართლაც ამოუხსნელი დარჩა ტრაგედიის დეტალები, მაგრამ არა ნაზი ხიმშიაშვილი, რომელიც ალალ-მართალი, გულწრფელი, სტუმართმოყვარე, ოჯახისა და მეგობრების ერთგული – ემახსოვრებათ მის კოლეგებს.

ზოგიერთისთვის არქივი შეიძლება მხოლოდ საბუთებითა და დოკუმენტებით სავსე შენობაა. იქ მომუშავე ადამიანებისათვის, არქივისტებისათვის ის „მეორე ოჯახია“. არქივი ის ადგილია, სადაც ცხოვრების დიდ ნაწილს ატარებენ, სადაც ერთმანეთი შეუთვისებიან და ამით სამსახურეობრივი ურთიერთობები ხშირად მეგობრულ ურთიერთობებში გადაუზრდიათ.

თაობები იცვლება. უცვლელი უნდა იყოს არქივისტების ურთიერთპატივისცემა და სიყვარული. ამ თვალსაზრისით ჩვენი წინაპრები მისაბამნი იყვნენ ეხლანდელი თაობებისათვის. ასე იყო დღემდე. ვიმედოვნებთ, რომ ურთიერთპატივისცემისა და წინაპართა ღვაწლის დაფასების ეს ლამაზი ტრადიცია არასოდეს წაიშლება.

გამოყენებული წყაროები:

აჭარის სს ცსა, ფონდი რ-1. საქ40. ფურც. 104;
აჭარის სს ცსა, ფონდი პ-89; აღწ.1, საქ. 65; ფურც.1,9;
აჭარის სს ცსა ფონდი. რ-1041; საქმე-22;
აჭარის სს ცსა, ფონდი რ-1041, აღწ.4, საქ. 318, ფურც. 14;
აჭარის სს ცსა რ-1041; აღწ.1; საქ.161; ფურც. 3;
აჭარის სს ცსა, ფონდი რ-271, საქ-მე-ები: 2, 4, 5, 7, 9;
აჭარის სს ცსა, ფონდი რ-4; აღწ.1; საქმ. 952; ფურც.40;
აჭარის სს ცსა, რ-332; აღწ.1; საქმ. 226.

Maia Rurua

They created archival field traditions

Summary

Archive is the nation's history, it's present and at the same time the country's future. The article presents separate periods of development of archival field, and also is represented archivists merit, who were outstanding contribution in archival case development.

**აჭარის საარქივო სამმართველოს მიერ 2013
წელს გაწეული მუშაობის ანგარიში**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო და მისი ტერიტორიული ორგანოები 2013 წელს მუშაობას წარმართავდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივთან შეთანხმებული ძირითად ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად.

2013 წელს შესრულდა:

1. საქმეთა ყდაში ჩასმა-ჩაკერება:

№ რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	გეგმა	შესრულება	%
1	სამმართველო	1411	1043	73
2	ქობულეთის არქივი	310	325	104
3	ხელვაჩაურის არქივი	150	164	109
4	ქედის არქივი	216	216	100
5	შუახევის არქივი	418	416	100
6	ხულოს არქივი	300	353	100,8
	სულ	2805	2517	89

2. საარქივო სამმართველოში მარტივი რესტავრაცია ჩატარდა 47 562 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 19327 ფურცლისა და გეგმა შესრულდა 246 %-ით. სარესტავრაციო სამუშაოების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, რაც განპირობებულია ფონდების საქმეთა გაციფრისათვის (დიგიტიზაციისათვის) მომზადების აუცილებლობით.

3. განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტის გამოვლენა.

2013 წელს სამმართველოში გადათვალიერდა ბათუმის ბოტანიკური ბაღის (ფონდი №რ-605), 1950-2002 წლების 1096 ქაღალდსაფუძვლიანი დოკუმენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1096 შ/ერთეულისა, გამოვლინდა 37 განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტი. გეგმა შესრულდა 100%-ით.

ასევე გეგმის მიხედვით გადათვალიერდა 1000 ფოტოდოკუმენტი და გამოვლინდა 100 განსაკუთრებულად ღირებული ფოტოდოკუმენტი. გეგმა შესრულდა 100 %-ით.

4. დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება ჩაუტარდა:

№ რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	გვერდი	შესრულება	%
1	სამმართველო	14662	14828	101
2	ქობულეთის არქივი	873	873	100
3	ხელვაჩაურის არქივი	13618	13906	102
4	ქედის არქივი	766	757	98,8
5	შუახევის არქივი	428	428	100
6	ხულოს არქივი	1021	1021	100
	სულ	31368	31813	101

5. დოკუმენტების საინფორმაციო საძიებო სისტემის შექმნა და განვითარება:

ა) 2013 წელს სამმართველოში აღიწერა 7 ფონდის 363 საქმე, ნაცვლად გვერდით გათვალისწინებული 250 საქმისა და გვერდი შესრულდა 145%-ით.

ბ) აღიწერა ასევე აუდიოვიზუალური დოკუმენტები – მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ფოტოდოკუმენტი (1970-1975 წლები) – 6483 შესანახი ფოტოდოკუმენტი.

6. 2013 წელს გადამუშავდა 44 ფონდის დოკუმენტების ანაწერები:

№ რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	საზ. ერთ- ეული	ფონ- დის რაოდ.	გვერდი	შესრუ- ლება	%
1	სამმართველო	საქმე	40	5454	3667	67
2	ქობულეთის არქივი	„	3	1331	247	114
3	ხელვაჩაურის არქივი	„	—	—	—	—
4	ქედის არქივი	„	—	—	—	—
5	შუახევის არქივი	„	—	—	—	—
6	ხულოს არქივი	„	1	100	530	530
	სულ			6885	4444	64

ანაწერების გადამუშავების შედეგად საარქივო სამმართველოში განადგურებლად გამოიყო 1122 საქმე, აღიწერა №1 – 2178 საქმე, №2 აღწერით – 129, №3 აღწერით – 210 საქმე. 339 საქმე გადაეცა პირადი შემადგენლობის ფონდსაცავს. ტერიტორიულ ორგანოებში განადგურებლად გამოიყო 201 საქმე, აღიწერა 559 საქმე.

7. 2013 წელს სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში სახელმწიფო შენახვაზე მიღებული იქნა მმართველობითი ხასიათის და პირადი შემადგენლობის დოკუმენტები:

№ რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	საზ. ერთ- ეული	გეგმა	შესრულება	%
1	სამმართველო	შეს. ერთ.	1 909	2645	138
2	ქობულეთის არქივი	„	497	842	169
3	ხელვაჩაურის არქივი	„	340	505	148
4	ქედის არქივი	„	217	210	96
5	შუახევის არქივი	„	270	260	96
6	ხულოს არქივი	„	258	276	107,8
	სულ		3491	4730	135

8. სამმართველოში 2013 წლის მონაცემებით, გეგმით გათვალისწინებული 160 ფოტოს ნაცვლად მიღებულია 663 ფოტოდოკუმენტი, რომლებიც ასახავენ აღმშენებლობით პროცესებს და რეგიონის სხვა ისტორიული მოვლენებს. ტერიტორიულ ორგანოს არქივებში მიღებულია 49 ფოტოსურათი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 32 ფოტოსურათისა.

№ რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	საზ. ერთ- ეული	გეგმა	შესრულება	%
1	სამმართველო	შეს. ერთ.	160	633	414
2	ქობულეთის არქივი	„	12	21	175
3	ხელვაჩაურის არქივი	„	—	—	—
4	ქედის არქივი	„	2	2	100
5	შუახევის არქივი	„	10	10	100
6	ხულოს არქივი	„	8	16	200
	სულ		192	682	355

9. მიზნობრივი ექსპერტიზის ნაერთი ცხრილი

№ რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	ფონ- დი	გეგმა	შესრუ- ლება	გამოიყო მაკულატ.	აღწ. სია	%
1	სამმართველო	8	1562	1106	724	382	70
2	ქობულეთის არქივი	2	179	98	39	59	54
3	ხელვაჩაურის არქივი	6	5230	5314	1019	4295	101
4	ქედის არქივი	1	78	78	27	51	100
5	შუახევის არქივი	8	989	1455	1112	339	147
6	ხულოს არქივი	—	—	—	—	—	—
	სულ	25	8038	8051	2921	5126	100

10. 2013 წელს მეცნიერულ-ტექნიკურად დამუშავდა: 52 ორგანიზაცია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17 დაწესებულება-ორგანიზაციისა. სულ 20 918 საქმეთა ერთეული, მათ შორის მუდმივად შესანახი 3338 საქმე, ხანგრძლივად შესანახი 3269 საქმე, დროებითად შესანახი 2606 საქმე. მაკულატურაში გასანადგურებლად გამოიყო 11 105 საქმე.

11. დოკუმენტების გამოყენება:

№ რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	განცხადებები			მომართვები			სულ თანხა
		შემოვიდა სულ	დადე- ბითი	უარ- ყოფი- თი	შემოვი- და სულ	დადე- ბითი	უარ- ყოფი- თი	%
1	ქობულეთის არქივი	692	649	43	110	86	24	19439
2	ხელვაჩაურის არქივი	1750	1715	35	84	73	11	55638
3	ქედის არქივი	459	432	27	—	—	—	3773
4	შუახევის არქივი	350	335	15	—	—	—	1912
5	ხულოს არქივი	459	452	7	—	—	—	4346
6	სამმართველო	482	312	170	204	102	102	11991
	სულ	4192	3895	297	398	261	137	97099

სამმართველოს ცენტრალური არქივის საარქივო დოკუმენტების ციფრულ მატარებლებზე გადატანის მიზნით შეძენილი იქნა კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე ინვენტარ-მოწყობილობა.

გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სოფიის (ბუღალრეთი) კირილესა და მეთოდეს სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან (2013 წ. 20 ივნისი); სოფიისა და ოდესის არქივებიდან შემოტანილი იქნა საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტების ქსეროასლები (2013 წ. ივნისი. თ. ფუტკარაძე), რომლებმაც კოლექციების სახით ბინა დაიღო საარქივო სამმართველოს ფონდსაცავებში.

12. 2013 წელს ჩატარდა სამმართველოს მუდმივმოქმედი საექსპერტო-შემოწმებელი კომისიის 7 სხდომა. განხილული იქნა 150 საკითხი. მათ შორის: მმართველობითი 5 505 საქმე, პირადი შემადგენლობის 4640 საქმე და 688 ფოტოდოკუმენტი. მაკულატურაში გამოიყო 17 556 საქმე და განხილული იქნა 26 საქმის დაწესებულების ნომენკლატურა.

13. დიფიტილიზაცია. „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სამმართველოში დაიწყო და მიმდინარეობს სამ-

მართველოს არქივში დაცული ქაღალდფუძიანი დოკუმენტების და ვიდეო-დოკუმენტების ელექტრონულ ციფრულ მატარებელზე გადატანა. დღეისათვის ელექტრონულ მატარებელზე გადატანილია ფონდი ი-19-ის, №რ-84-ის და რ-10-ის 1037 საქმეთა ერთეულის 100918 გვერდი. დასკანერდა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 96100 ფურცლისა და გეგმა შესრულდა 105 %-ით, რედაქტირება გაუკეთდა 985 საქმის 97522 ფურცელი.

14. გამოფენა: მოეწყო 10 გამოფენა, ნაცვლად გეგმიური 9 გამოფენისა. კერძოდ:

1. სამმართველოში 6 გამოფენა ნაცვლად 4-ისა;
2. ქობულეთში დაგეგმილი იყო ერთი გამოფენა (არ შესრულდა);
3. ხელვაჩაურში დაგეგმილი იყო ორი გამოფენა შესრულდა ერთი;
4. ქედაში დაგეგმილი იყო ერთი გამოფენა (არ შესრულდა);
5. შუახევში დაგეგმილი იყო ერთი გამოფენა, შესრულდა ერთი;
6. ხულოში დაგეგმილი იყო ერთი გამოფენა, შესრულდა ერთი.

15. რადიო და ტელეგადაცემების მომზადება: მომზადდა და მონაწილეობა იქნა მიღებული 8 ტელე-რადიო გადაცემაში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6 გადაცემისა:

სამმართველოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 7 გადაცემაში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5 გადაცემისა. ტერიტორიული ორგანოს ხულოს არქივში შესრულდა გეგმით გათვალისწინებული, 1 გადაცემა. სხვა ტერიტორიული ორგანოს არქივებში ტელერადიო გადაცემების მომზადება და მონაწილეობა გეგმით არ იყო გათვალისწინებული.

16. სამეცნიერო გამოცემები, ნაშრომები და საგაზეთო პუბლიკაციები:

2013 წლის განმავლობაში გამოიცა ჟურნალ „არხეიონის“ ორი ნომერი, ერთი დოკუმენტების კრებული, ასევე საერთაშორისო კონფერენციის მასალები, კერძოდ:

1. „არხეიონის“ მეხუთე ნომერი, თბ. 2013;
 2. „არხეიონის“ მეექვსე ნომერი, თბ.2013;
 3. დოკუმენტების კრებული „რელიგიური თემები და ორგანიზაციები ბათუმში 1940-1950 - იან წლებში, თბ. 2013;
 4. მესამე საერთაშორისო კონფერენციის („სამხრეთ-დასავლეთ საქართველო - ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) მასალები მიძღვნილი აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 135 წლისთავისადმი, თბ.2013;
- გამოვლინდა და ჟურნალ „არხეიონის“ V და VI ნომრებში გამოქვეყნდა საარქივო დოკუმენტები და XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის პერიოდული პრესის (გაზ. „ფუხარა“) მასალები.

17. არქივის თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნდა შემდეგი სამეცნიერო ნაშრომები:

1 თ.ფუტყარაძე, ზ.ბურკაძე, ნ.გოგიტიძე, საქართველოს მეტურჯლეთუხუცესი წმ. ექვთიმე ღვთისკაცი („არხეიონი-5, თბ. 2013);

2. ფრ. ქარდავა, 1924 წ. აჯანყებასთან დაკავშირებული მასალები ბრიტანულ წყაროებში („არხეიონი 5, ტბ. 2013);
3. თ. ფუტყარაძე, ისტორიული ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცული საყოფაცხოვრებო არქიტექტურის ნიმუშები („არხეიონი-5, თბ. 2013);
4. თ. ფუტყარაძე, მ. სურმანიძე „რელიგიური თემები და ორგანიზაციები ბათუმში 1940-1950 - იან წლებში. რელიგიური თემები და ორგანიზაციები ბათუმში 1940-1950 - იან წლებში, თბ. 2013;
5. მ. რურუა, ხელოვნების ისტორიის საკითხები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში („არხეიონი - 6, თბ.2013);
6. ნ. ქიქავა, გრიგორ პინიანცის ცხოვრება და ღვაწლი („არხეიონი-6, თბ.2013);
7. ე. ჩაგანავა, აჭარის საარქივო სამმართველოს მიერ 2012 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში („არხეიონი“-6, თბ.2013);
8. თ.ფუტყარაძე/ც. ცინცაძე, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა საარქივო სამმართველოში (2012 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში) („არხეიონი“-6, თბ.2013);
9. გ. პატარიძე, ფოტოხელოვნების განვითარების ისტორიიდან აჭარაში („არხეიონი“-6, თბ.2013);
10. ი. ბაუჟაძე, სევდიანი გახსენება (აღი სამსონიას ცხოვრება და ღვაწლის საარქივო სამმართველოში დაცული პირადი ფონდის მასალების მიხედვით) („არხეიონი“-6, თბ.2013.);
11. ფრ. ქარდავა, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომის ამსახველი ბრიტანული მასალები აჭარის არქივში, მესამე საერთაშორისო კონფერენციის („სამხრეთ-დასავლეთ საქართველო - ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) მასალები (თბ,2013);
12. თ. ფუტყარაძე, 1877-1878 წწ. ომი და ინსტიტუციონალური მესხიერება, მესამე საერთაშორისო კონფერენციის („სამხრეთ-დასავლეთ საქართველო - ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) მასალები (თბ,2013);
13. ქ. იაკობაძე, აფხაზთა მუჰაჯირობა აჭარაში, მესამე საერთაშორისო კონფერენციის („სამხრეთ-დასავლეთ საქართველო - ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) მასალები (თბ,2013);
14. თ. ფუტყარაძე, გლეხის სახლი ჩაღალიანში (ლაზეთი), (საისტორიო მაცნე XX, ბთ.2013);
15. თ. ფუტყარაძე, თანამედროვე ეთნოდემოგრაფიული მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთში (საისტორიო მაცნე XX, ბთ.2013);
16. ფრ. ქარდავა, საარქივო მასალები ბათუმისა და ბლაგოვევგრადის თეატრების ურთიერთობის ისტორიის შესახებ, (საისტორიო მაცნე XX, ბთ.2013).

18. ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდა შემდეგი საგაზეთო სტატიები:

- ა) ფრ. ქარდავა, „1924 წლის აჯანყება ბრიტანელთა თვალთ“ გაზეთი „აჭარა“ 18; 16-18 თებერვალი, 2013 წ.
- ბ) ფრ. ქარდავა, „ჟორდანიას პროტესტი“ გაზეთი „ბათუმელები“ 2, 2013 წ. 3 თებერვალი;

- გ) მ. ბლადაძე „საარქივო საქმიანობას გაეცნენ“ გაზეთი „აჭარა“, 48
დ) მ. ბლადაძე „საარქივო სამმართველომ ახალი კრებული გამოსცა“
გაზეთი „აჭარა“ 49;
ე) მ. ბლადაძე „დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირები გაიხსენეს“ გაზეთი „აჭარა“ 59
ვ) ფრ. ქარდავა, „უიმედო ავანსი“ 1-7 ივლისი. გაზეთი „ბათუმელები“.

19. საერთაშორისო ურთიერთობები:

საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავების მიზნით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების ურთიერთობათა ამსახველი მასალების გამოვლენის, დამუშავებისა და პუბლიკაციისათვის. ჩატარდა წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები უკრაინის ცენტრალურ სახელმწიფო არქივთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების მიზნით (20-22 ნოემბერი, 2013 წ.);

2013 წ. 15-16 აგვისტოს ჩატარდა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 135 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ კოლეგები ავსტრიის, ბულგარეთის, სომხეთის, ასევე საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო თუ საარქივო დაწესებულებებიდან. სოფიის არქივში 2013 წ. მარტ-ივნისში სტაჟირება გაიარა პროფესორმა თამაზ ფუტყარაძემ.

20. საარქივო-სამეცნიერო საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა საარქივო ფონდების მიმოხილვა. 2013 წლის განმავლობაში მიმოხილული იქნა ხუთი ფონდი, კერძოდ:

1. ალი სამსონიას პირადი ფონდი (ი. ბაუჟაძე, ნ. ქიქავა);
2. გრიგოლ პინიანცის პირადი ფონდი (ნ. ქიქავა);
3. რელიგიური კულტების დაწესებულებათა ფონდები (ი-54; ი-55; ი-56; ი-57; ი-58; ი-59; ი-60) (თ. ფუტყარაძე, მ. სურმანიძე);
4. აჭარის გამომგონებელთა საოლქო საბჭო (ფონდი რ-116) (ნ.გოგიტიძე);
5. ბათუმის ეთერზეთების ლაბორატორია (ფონდი რ-115) (ფ.ქარდავა).

21. საგრანტო პროექტებში მონაწილეობა:

1. თ. ფუტყარაძე, პოლიტიკური და კულტურული მემკვიდრეობა და 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომი. ევროკავშირის გრანტი 2012-2015 წწ.;
2. თ. ფუტყარაძე, აღმოსავლეთ ჭანეთის მატერიალური და სულიერი კულტურული მემკვიდრეობა, რუსთაველის სამეცნიერო ფონდი, 2011-2013 წწ.;
3. თ. ფუტყარაძე, ინდივიდუალური სამოგზაურო საკონფერენციო გრანტი ბულგარეთი მესამე საერთაშორისო კონგრესში მონაწილეობის მისაღებად, რუსთაველის სამეცნიერო ფონდი 2013 წლის მაისი;
4. თ. ფუტყარაძე, ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტი მაკედონიაში, რუსთაველის სამეცნიერო ფონდი, 2013 წლის ოქტომბერი.

22. თემატური ნუსხების შედგენა

არქივის თანამშრომელთა მიერ მომზადდა ოთხი თემატური ნუსხა, კერძოდ:

1. „მუზეუმები აჭარაში“ (II ნაწილი) (ფრ. ქარდავა, ნ. გოგიტიძე, მ. სურმანიძე);
2. ბუღვარის განაშენიანების ისტორიის ამსახველი მასალები (ფრ. ქარდავა, ნ. გოგიტიძე, მ. სურმანიძე);
3. საქართველო-ბრიტანეთის ურთიერთობის ისტორიის ამსახველი მასალები(ფრ. ქარდავა, ნ. გოგიტიძე, მ. სურმანიძე);
4. საქართველო-უკრაინის ურთიერთობათა ისტორიის საკითხების ამსახველი თემატური ნუსხის სრულყოფა (ნ. ქიქავა).

საარქივო სამმართველოში კვლავაც გრძელდება აქტიური მუშაობა როგორც გეგმით გათვალისწინებული საკითხების, ისე შემხვედრი, ყოველდღიური სამუშაოების შესასრულებლად. არქივმა თავი გაართვა მის წინაშე მდგარ ამოცანებს და წარმატებით შეხვდა თავისი დაბადების 90 წლის იუბილეს.

Elguja Chaganava

***The report of work done by Archives Administration in 2013
Summary***

During 2013, Archives Administration worked in accordance with measures an agreed plan of National Archives of Georgia. In article is presented report of work done in 2013.

პავლე ინგოროყვა - ლოდი, რომელ
შეუბრატყვემს მაშინაგელთა...
(საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით)

შარშან, 2013 წელს, გახლდათ უიშვიათესი პიროვნების, მწერლისა და ეროვნული გმირის პავლე ინგოროყვას დაბადებიდან 120 წლის იუბილე. აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდსაცავებში დაცულია ამ დიდებული ადამიანის ცხოვრების ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდთან დაკავშირებული მასალები, რომელიც მის მეცნიერებათა აკადემიის წევრად წარდგენას ეხება.



ვფიქრობთ ზედმეტი არ იქნება მკითხველთა ფართო წრეს წარმოუდგინოთ არქივში დაცული ეს ფოლიანტები.

სანამ უშუალოდ არქივში დაცულ დოკუმენტებს შევეხებოდეთ მოკლედ გავისვენოდ ამ ეროვნული გმირის ბიოგრაფია:

პავლე იესეს ძე ინგოროყვა დაიბადა ქალაქ ფოთში, იქვე დაამთავრა ოთხკლასიანი სასწავლებელი. წიგნი ბავშვობიდანვე თავდავიწყებით შეუყვარდა. *”მამა სთხოვდა ამდენ კითხვას თავი დაანება და ცოტა მომეხმარეო. ხელი რომ არავის შეეშალა, პატარა პავლე სახლიდან იპარებოდა, გავიდოდა ნავით პალიასტომში, ნიჩბებს ხელს უშვებდა და მზის ჩასვლამდე კითხულობდა ხოლმე.* (<http://burusi.wordpress.com/2009/08/14/ingorokva-pavle/>).

19 წლის ასაკში, 1912 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა. 1913 წელს, გამოაქვეყნა თავისი პირველი ნაშრომი "ძველ-ქართული სასულიერო პოეზია". 1914 წელს ქართული გაზეთების ფურცლებზე პირველად გამოჩნდა მისი სტატია "თარგმანება ფსალმუნთა წიგნისა". უნივერსიტეტის წარჩინებით დასრულების შემდეგ (თუმცა დიპლომი არ აუღია), 1916 წელს, საქართველოში დაბრუნდა. 1916 წელსვე გამოსცა თამარ მეფის "გალობანი ვარძიისანი". 1917 წლიდან აქტიურად ჩაება საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და 1919 წლის დამდეგამდე იყო "საქართველოს ეროვნული საბჭოს" (პარლამენტის) წევრი სოციალ-ფედერალისტთა პარტიიდან. 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტს. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, 1921-1923 წლებში, პროტესტის ნიშნად იყო "შავროხიანთა ჯგუფის" წევრი.

1925 წლამდე მისი ეროვნული ხასიათის სტატიები ხშირად იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ პრესაში. დაარსებიდანვე, იყო "საქართველოს მწერალთა კავშირის" წევრი. 1924 წელს დააფუძნა ჟურნალი "კავკასიონი" რომელიც 1925 წელს აკრძალა ბოლშევიკურმა რეჟიმმა.

1925 წელს მისი ინიციატივით დაფუძნდა გამომცემლობა "ქართული წიგნი", სადაც მისივე, რედაქციით გამოიცა ილია ჭავჭავაძის მრავალტომეული. ეროვნული ხასიათის წიგნების გამოცემის გამო, 1933 წელს გამომცემლობა დახურეს.

1929 წელს დაინიშნა სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების გამგედ.

პავლე ინგოროყვამ თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობის არცთუ ისე უმნიშვნელო ნაწილი დაუთმო შოთა რუსთაველის და "ვეფხისტყაოსნის" კვლევას, რის შედეგადაც შექმნა უამრავი ნაშრომი: "რუსთაველიანა" (1926), "რუსთაველიანაზე" (1927), "რუსთაველი და მისი პოემა" (1937), "რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა" (1940-1941), "შოთა რუსთაველი" (1937), "ვეფხისტყაოსნის ტექსტი" (1953); ამასთანავე, ორჯერ გამოსცა "ვეფხისტყაოსანი" – 1953 და 1971 წლებში.

"მისი ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაშრომია მეუღლისადმი მიძღვნილი "გიორგი მერჩულე", რომელზედაც თითქმის მთელი სიცოცხლის განმავლობაში მუშაობდა.

"ამ ნაშრომის საშუალებით აღმოაჩინა მან რიტმული პოეზიის მაგალითები და სცადა ძველი ქართული სანოტო სისტემის გაშიფვრა. სულ მოიძია 31 პიზნი და 1200-მდე საგალობელი. ასევე დიდი ყურადღება დაუთმო უდიდეს ქართველ მწერლებს – 1938, 1940, 1951 წლებში გამოსცა მონოგრაფიები ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელსა და ნიკოლოზ ბარათაშვილზე. მას ეკუთვნის ფუნდამენტური კვლევა აფხაზეთის ოლქის შესახებ. ამ ნაშრომის გამო უარი ეთქვა აკადემიკოსად არჩევაზე. ფლობდა ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ, ძველ ბერძნულ, ლათინურ და იტალიურ ენებს, რომლებსაც აქტიურად იყენებდა კვლევებისას. პავლე ინგოროყვა 1983 წლის 20 ნოემბერს გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში" (<http://ka.wikipedia.org/wiki>).



ახლა რაც შეეხება არქივში დაცულ მწერალთა კავშირის სხდომის ოქმებს. ოქმები სხვადასხვა საკითხებს შეეხება და თითქოსდა არ არის ფართო საზოგადოებისათვის საინტერესო, მაგრამ როდესაც შემთხვევით სწორედ პავლე ინგოროყვასთან დაკავირებულ საკითხს წავაწყდით, აშკარა გახდა, რომ სწორედამც მნიშვნელოვან ცნობასთან გვქონდა საქმე.

კითხვისას სიამაყით აგვეხსება გული, როდესაც ოთხი პოეტი აკადემიკოსი მწერლის განცხადებას წააწყდები, პავლე ინგოროყვაზე, მეცნიერებათა აკადემიას რომ მიმართავენ- მიიღეთ წევრადო. გრძნობ რომ ტიტანები შუამდგომლობენ ტიტანს, ოლიმპოზე

აღსასაყდრებლად, რათა გვერდით მოისვან როგორც ტოლი და სწორი, ან იქნებ მათზე აღმეტიც, მაგრამ იგრძნობა, რომ არა აქვს ამ წამს მნიშვნელობა ვინ ვისზე მეტია; იგრძნობა მოთხოვნის სიდიადე და შენც გიხარია, როდესაც შენი გმირები, საოცნებო გმირები,- თითქოსდა რომ გსმენია ჩაგრავენ იმ კაცსო,- წამოწევას და ღირსი პატივის მიგებას რომ უპირებენ; როგორ გაბედავს მეცნიერებათა აკადემია, ოთხი გიგანტის წინადადების არ მიღებას?

”მოისმინეს:

ოთხი აკადემიკოსი მწერლის: გლეონიძის, კგამსახურდიას, გტაბიძისა და იგრიშაშვილის განცხადება მეცნიერებათა აკადემიის წევრთა არჩევნებისათვის კანდიდატურის წაყენების შესახებ.

გლეონიძე- კითხულობს ოთხი აკადემიკოსი მწერლის: გლეონიძის, კგამსახურდიას, გტაბიძისა და იგრიშაშვილის განცხადებას საქართველოს აკადემიის წევრთა არჩევნებისათვის მწერალ პავლე ინგოროყვას კანდიდატურის წაყენების შესახებ. /თან ერთის/

კგამსახურდია. ამბობს ვრცელ სიტყვას, რომლითაც იგი მხარს უჭერს ამხ.პავლე ინგოროყვას კანდიდატურას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათვის.”

მწერალი და მკვლევარი როსტომ ჩხეიძე წერს თავის წიგნში - ”ბედი პავლე ინგოროყვასი”:- ”თავისი ხელით წაუღია კოსტანტინე გამსახურდიას განცხადება აკადემიაში”. წარმოგვიდგენია რა ძლიერად სურდათ მისი არჩევა აკადემიკოსად. გაგავრძელოთ ოქმის კითხვა:

”გტაბიძე- სრული შეგნებითა და პასუხისმგებით მოვაწერე ხელი ჩვენს საერთო განცხადებას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად ჩვენი ცნობილი მწერლისა და მკვლევარის პავლე ინგოროყვას კანდიდატურის წაყენების თაობაზე.

ლ.ქიაჩელი- მწერალ პავლე ინგოროყვას ვიცნობ მისი ლიტერატურული მუშაობის დაწყების დღიდან. იგი არის ფენომენალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. გაოცებას იწვევს, რომ ერთმა კაცმა ამდენი შესანიშნავი შრომის შექმნა შეძლო. მისი ახლახან გამოქვეყნებული დიდი შრომა ”გიორგი მერჩულე” სხვა მრავალ საყურადღებო ნაშრომთან ერთად სრულ უფლებას გვაძლევს მისი კანდიდატურა წავაყენოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათვის ქართული მწერლობის ისტორიის დარგში, პრეზიდენტში, დარწმუნებული ვარ, ერთხმად დაუჭერს მხარს ამხ.პავლე ინგოროყვას კანდიდატურას.

გრ. აბაშიძე - ყოველი ჩვენგანი სიხარულით დაუჭერს მხარს პავლე ინგოროყვას კანდიდატურის წამოყენებას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევის შესახებ. ეს არის აუცილებელი კანდიდატი. ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის შემდეგ ფილოლოგიაში მომუშავეებს რომ გადავხედავთ, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ პავლე ინგოროყვა ამ დარგის ბრწყინვალე მუშაკია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად უფრო ადრე უნდა ყოფილიყო არჩეული.

კ. კალაძე - ყველა, ვინც კი იცნობს პავლე ინგოროყვას შრომებს ქართული ლიტერატურის შესახებ, იტყვის, რომ იგი არის თავდადებული მკვლევარი, შესანიშნავი მწერალი და სტილისტი. როგორც ადამიანი გამოირჩევა იშვიათი კეთილშობილებით. პინგოროყვას კანდიდატურა აუცილებლად უნდა წავაყენოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათვის და ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ იგი არჩეულ იქნას .” (აჭარის საარქივო სამმართველო. ფ. რ-982; ა.-1; ს.-115; გვ.-38)”

აქამდე ვისი სიტყვაც მოვიყვანეთ ყველა გასაგებია, მათი დამოკიდებულება ინგოროყვასთან და მთლიანად ქართულ კულტურასა და სახელმწიფო-

ებრიობასთანაც გასაგებია. გასაკვირი ალბათ უფრო ბესარიონ ჟღერისა და კონსტანტინე ლორთქიფანიძის თანხმობა უნდა იყოს:

ბ. ჟღერტი - პინგოროყვა ყველასათვის ცნობილია, როგორც ჩვენი ლიტერატურის წარსულის სერიოზული მეკლევარი. მისი კანდიდატურის წაყენებას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათვის დიდი კმაყოფილებით შეხვდება, როგორც მწერლობა, ისე ხალხი. დაუშვებელია რომ ასეთი ღრმა ერუდიციის მეკლევარი, როგორიც გარდა იმ მნიშვნელოვანი გამოკვლევებისა პინგოროყვაა, არ მუშაობდეს მეცნიერებათა აკადემიაში. გარდა იმ მნიშვნელოვანი გამოკვლევებისა, რომელიც მას გამოქვეყნებული აქვს, თქვენ იცით, რომ ავრტორია იმ მოხსენებებისა, რომელიც გაკეთებულ იქნა მწერალთა საკავშირო პირველ ყრილობაზე. მას ეკუთვნის მოხსენების ის ნაწილი, რომელიც ჩვენს მრავალრიცხოვან კლასიკურ მწერლობას ეხება. ამ მოხსენებას დიდი რეზონანსი ჰქონდა. მთელი მსოფლიო ამ მოხსენებით გაეცნო ჩვენს მდიდარ ლიტერატურას. ჩვენ შევასრულეთ საბჭოთა მოქალაქის, მწერლისა და პატრიოტის მოვალეობას, თუ ხელს შევუწყობთ, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩეულ იქნას ისეთი დიდი მეკლევარი და მწერალი, როგორიც პინგოროყვაა. მე მხარს ვუჭერ მის კანდიდატურას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევის შესახებ.

კ. ლორთქიფანიძე- მე არ ვარ ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტი, მაგრამ ვარ პინგოროყვას მკითხველი და შემოძლია მტკიცედ განვაცხადო, რომ იგი არის შესანიშნავი მწერალი. მისი გამოკვლევების კითხვა ყოველთვის უდიდეს კმაყოფილებას მანიჭებს. პინგოროყვას "მერჩულე" ისეთი სიამოვნებით იკითხება, როგორც უსპენსკის ბიზანტიის ისტორია. მე დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდიუმი ერთხმად დაუჭერს მხარს პინგოროყვას კანდიდატურას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათვის.

ს. ჩიქოვანი - ოთხი აკადემიკოსი მწერლის განცხადება პინგოროყვას კანდიდატურის წაყენების თაობაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათვის, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრებმა ერთსულოვნად უნდა დაეუჭიროთ მხარი. პავლე ინგოროყვა არის ნამდვილი მეცნიერი, პატრიოტი, მის წიგნებში ჩანს მისი დიდი ხასიათი. იგი თავგანწირული ადამიანია ჩვენი ლიტერატურისა და კულტურისათვის, დიდი მცოდნეა ჩვენი წარსული ლიტერატურისა, მაგრამ ამასთანავე იგი ასევე დიდი მცოდნეა თანამედროვე საბჭოთა მწერლობისა. პავლე ინგოროყვა დიდი ერუდიციის მქონეა, რაც ყოველ მის ნაშრომს ატყვია. იგი ყოველ საქმეს ენთუზიაზმით ეკიდება. პავლე ინგოროყვა უეჭველად ღირსია, რომ არჩეულ იქნას მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი და კულტურის მოამბე.

ი. აბაშიძე- მე მხარს ვუჭერ ოთხი აკადემიკოსი მწერლის განცხადებას იმის თაობაზე, რომ პავლე ინგოროყვას კანდიდატურა წაყენებულ იქნას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათვის ქართული მწერლობის ისტორიის დარგში. პავლე ინგოროყვა არის იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული მეკლევარი და მწერალი. მან თავისი მრავალრიცხოვანი შრომით უეჭველად დაიმსახურა, რათა იგი არჩეულ იქნას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

დადგინეს: ოთხი აკადემიკოსი მწერლის განცხადების საფუძველზე წარდგენილ იქნას საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის მიერ პავლე იესეს ძე ინგოროყვას კანდიდატურა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათვის ქართული ლიტერატურის ისტორიის დარგში.

თავმჯდომარე: /ირ.აბაშიძე/

მდივანი: /ირ.ჭავჭავაძე (აჭარის საარქივო სამმართველო. ფ. რ-982; ა-1; ს-115; გვ-38)"

ალბათ სიმბოლური იყო, რომ სწორედ მწერალთა კავშირმა წარადგინა პავლე ინგოროყვა. გარდა იმ მაშტაბური კვლევებისა, რაც მან ქართულ ლიტერატურას მიუძღვნა აღსანიშნავია ასევე ის რომ მწერალთა კავშირის შექმნაში მას უდიდესი წვლილი მიუძღვოდა: **"ნიკა აგიაშვილი იმასაც წერს, პავლე არამარტო მონაწილე, ერთ-ერთი თაოსანი და ინიციატორი იყო მწერალთა კავშირის შექმნისა და მისი წინადადებით აირჩიეს კავშირის თავმჯდომარედ ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე კოტე მაყაშვილი"** (როსტომ ჩხეიძე 2003:252).

მართლაცდა როგორ გაბედავს მეცნიერებათა აკადემია, ოთხი გიგანტი მწერლის წინადადების არ მიღებას?

მაგრამ, რომ არ უნდა მიიღოს წევრად? "ზემოდან" რომ არაა ნება?! "აფხაზობა" რომ შფოთავს რუსის დავალებით თუ რუსებ-აფხაზები ერთად შფოთავენ, ჩვენი გადაგვარება უნდა ინგოროყვას, აფხაზი ხალხის გადაგვარება უნდა ინგოროყვას, მიწა-წყალს გვართმევს ინგოროყვაო? (ეს პერიპეტეიები შესანიშნავად აქვს აღწერილი და გადმოცემული როსტომ ჩხეიძეს ამ ბიოგრაფიულ რომანში- "ბედი პავლე ინგოროყვასი", რომელსაც ასე ხშირად ვიმოწმებთ). ჰოდა უნდოდეს შენს აკადემიკოს მწერლებს, ის კი არა და მთელ საქართველოს უნდოდეს თუ გინდა, მართლა დემოკრატია კი არაა. კია 56 წელი მაგრამ, ეს დემოკრატიზაცია ხომ უბრალოდ ქართველთმოძულე ბელადის დასასამარებლად წამოიწყო ქართველთმოძულე ნიკიტამ, მხოლოდ? მაშ რა უნდა მოხდეს, ხუმრობა კი არაა ოთხი პოეტი აკადემიკოსი ითხოვს: მიიღეთ წევრად პავლე ინგოროყვა, ამის დამსახურება აუწონავია ჩვენს მეცნიერებაში და არავინ გვყავს უკეთესი ჯერ არმიღებულაშიო?! აკადემიკოსები აკადემიკოსებად, და გარდა მაგისა ხომ ვნახეთ, ბესო ჟღენტიც კი მხარს უჭერს, კომუნისტების ხელფასიანი ჯალათი, და სხვებიც. თუმცა სხვები კიდევ ჰო და ამ ჟღენტს მაინც რა დაემართა, არ იცოდა საბჭოეთის დამოკიდებულება პავლესადმი? არა, ეტყობა ერთი პირი მდინარესაც კი ჩაეძინება. მოკლედ ვითარება ცხადზე უცხადესია, არ უნდა მიიღონ ინგოროყვა აკადემიის ნამდვილ წევრად (უკვე მეორედ!). ეს იცის ხელისუფლებამ, ეს იცის კრემლმა ეს იცის ყველამ. მაშ ამ მწერლებმა არ იცოდნენ? საბჭოთა მწერლებმა მაინც არ იცოდნენ?

"...სრულიად მოულოდნელად ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ პავლე ინგოროყვას აკადემიის არჩევნებში მონაწილეობის უფლებასაც აღარ მისცემდნენ. ეს მეტად არაჯანსაღი აჟიოტაჟი "გიორგი მერჩულეს" ირგვლივ განსაკუთრებით აფხაზეთში შეექმნათ; და ტენდენციურად განწყობილ, გარუსებულ აფხაზ მეცნიერებსა და პარტიულ წრეებს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აყოვლიებინათ, თავიანთ აზრებს პავლე ინგოროყვას მიაწერდნენ და ხალხს ჩააგო-

ნებდნენ, ჩვენი აყრა და აქედან გასახლება გადაუწყვეტიათ და "გიორგი მერჩულე" ამის იდეურ საფუძვლებს ამზადებსო" (როსტომ ჩხეიძე 2003).

საკმაოდ მარჯვედ იყო მიყენებული დარტყმა.

ახლა იტყვის მკითხველი, არ მიეღოთ მერე თუ ასე ძაან არ უნდოდა მთავრობას, თან არც აფხაზების განაწევენება თუ არ უნდოდათო, არ მიეცათ ხმაო.

არა, ამაზე ადვილი რა იყო, ვინ გაბედავდა მთავრობის გამჟღავნებული ნების წინააღმდეგ წასვლას, მაგრამ იყო ერთი ნიუანსი: რომ შემოვიდა შუამდგომლობა, ამხელა მწერალთა კავშირიდან? თანაც ვისი ინიციატივით?

ვერ იტყოდა უარს აკადემია, საბჭოთა "დემოკრატიული" სისტემის აშკარა, თვალნათელი მარცხი გამოვიდოდა!

მაშ რა ექნათ, მართლა ხომ არ მიიღებდნენ ინგოროყვას, ქართული საზღვრების შემნარჩუნებელს, შენარჩუნებულის კვლავ შესანარჩუნებლად მებრძოლს, "გიორგი მერჩულესა" და სხვათა ავტორს?

ვერ მიიღებდნენ! სწორედაც რომ "გიორგი მერჩულეს" გამო ვერ მიიღებდნენ. გამოდის პირველს, სწორედ პავლეს მოსწევია აფხაზთა რუსული სეპარატიზმის სუსხი. ის კი არა და გამოცემული ტომების დაწვას ითხოვდნენ აფხაზები და ლამის ინგოროყვას ჯვარცმაც მოეთხოვათ, რომ არა ბოლშევიკური ათეიზმი.

რა დაუპირისპირა მაშინდელმა კომპროდარულმა მთავრობამ, რუსული შოვინიზმის სეპარატიზმში გამოვლენილ აგრესიას?

"ერძალგა და ცახცახი"

აღარ გაამართლა ამ პოლიტიკამ სეპარატიზმთან ბრძოლაში. "სიმაღლითა და სიყვარულით" სჯობდა, ნამდვილი თანაგრძნობითა და ურთიერთობების თუნდაც იურიდიული გარკვევით, რომელიც ინგოროყვასავით ტიტანი მეცნიერების ღვაწლს დაეფუძნებოდა. მაგრამ ვერ გათვალა მაშინ ქართულმა ისტემბლიშმენტმა, ან სად გვყავდა? კრემლს დამორჩილებული ხროვა, უფრო სწორედ კრემლის სულიერი თანამეწილეების ჯგუფი მართავდა ქვეყანას ხომ? როგორ შეეწინააღმდეგებოდნენ რუსთა ნებას, სეპარატიზმის ამ უაზრო მოთხოვნის წინააღმდეგ?

გზაც გარკვეული იყო, მომთხოვნებს უნდა გამოეთხოვათ თავიანთი მოთხოვნა.

ოთხ პოეტ აკადემიკოსს უარი უნდა ეთქვა საკუთარ წინადადებაზე!


თითქოს ვმშვიდდებით ყველა, რა თქმა უნდა ისინი უარს არ იტყოდნენ, ჩვენი დროის მედროვეები კი არ იყვნენ, გაუტანლები და უღირსებოები საკუთარი სკამისა და პატივისა და დიდების გამო უნიჭიერესი ტალანტის კაცი გაეწირათ და უარი ეთქვათ ინგოროყვას მიღებაზე მეცნიერებათა აკადემიაში! რომელი ერთი ჩვენი სასიქადულო ტიტანი იკადრებდა ამას? ახლანდელი ზოგიერთი მედროვე შემოქმედებით ხომ არ მოიქცეოდა? კიდევ კარგი რომ მათზე იყო სიტყვა.

მაშ მოისმინეთ ეს სიტყვაც :

"მოისმინეს: ამხ. გ. ლეონიძის ინფორმაცია საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის მიერ საქართველოს მეცნიერებათა

აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათვის წაყენებული კანდიდატურის შესახებ /ი.ოქმი სსმე გამგეობის პრეზიდიუმის სხდომისა N14 1955 წლის 30 ივნისი/.

გიორგი ლეონიძე- როგორც მოგეხსენებათ, ამას წინად ჩვენს მიერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ოთხი ნამდვილი წევრის მიერ წაყენებულ იქნა ამხ.პინგოროყვას კანდიდატურა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მომავალი არჩევნებისათვის. ჩვენმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ მათ არა აქვთ ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილი პინგოროყვას წიგნი "გიორგი მერჩულე", რომლის გამო უმთავრესად მისი ავტორი წაყენებულ იქნა საქ. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრობის კანდიდატად. ამ ნაშრომში გამოთქმული ზოგიერთი შეხედულება სერიოზულ შეცდომას შეიცავს. ჩვენ, რომლებმაც გაეცაქეთ ეს წარდგინება, ახლა დავრწმუნდით, რომ აუჩქარებულვართ, აქვე უნდა განვაცხადო, რომ წიგნს ჩვენ საფუძვლიანად არ ვიცნობთ. შემოვდივარ პრეზიდიუმის წინაშე წინადადებით მოეხსნათ და გამოვითხოვოთ საბჭოთა მეცნიერებათა აკადემიიდან ჩვენი წარდგინება ამხ.პინგოროყვას აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევის შესახებ.



გ.ტაბიძე- მართლაც, რომ ჩვენ უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. პინგოროყვას "გიორგი მერჩულე" საფუძვლიანად შესწავლილი არ გექნია, როცა მისი კანდიდატურა წაყენეთ მეცნიერებათა აკადემიის წევრად არჩევისათვის. მე პირადად დღესაც არა მაქვს ეს წიგნი წაკითხული ბოლომდე. მხარს ვუჭერ ამხ.გ.ლეონიძის წინადადებას - გამოვითხოვოთ პრეზიდიუმის წარდგინება პინგოროყვას მეცნიერებათა აკადემიაში არჩევის შესახებ.

აკადემიაში არჩევის შესახებ.

კაკალაძე-მხარს ვუჭერს გ.ლეონიძისა და გ.ტაბიძის განცხადებებს და ამბობს: ჩვენ საკუთარ თავს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ამ საქმეში აფჩქარდით და მხარი დაუჭირეთ პინგოროყვას კანდიდატურას მეცნიერებათა აკადემიის წევრად არჩევისთვის.

გრ. აბაშიძე - მხარს ვუჭერ გამოსული ამხანაგების წინადადებას და აცხადებს, რომ პრეზიდიუმმა თავი უნდა შეიკავოს პინგოროყვას კანდიდატურის წაყენებისაგან მეცნიერებათა აკადემიის წევრად არჩევისთვის, სანამ საფუძვლიანად, მეცნიერულად არ იქნება შესწავლილი, შეფასებული პ. ინგოროყვას ნაშრომი " გიორგი მერჩულე".

ამხ. გ.ლეონიძისა და გ.ტაბიძის წინადადებასა და მოსაზრებებს აგრეთვე მხარი დაუჭირეს პრეზიდიუმის წევრებმა: ბ.ჟღენტმა, ა.მირცხულავამ, გ.ნატროშვილმა, ს.ჭილაიამ და ირ.აბაშიძემ.

დაადგინეს: საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი, იღებს რა მხედველობაში, რომ პინგოროყვას ნაშრომი "გიორგი მერჩულე" ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ არის შესწავლილი, შეფასებული ჩვენი მეცნიერებისა და ლიტერატურის მუშაკების მიერ, ხოლო ამ წაყენებაში, როგორც მწერალი აკადემიკოსები თავიანთ წერილობით წარდგინებაში აღნიშნავენ, ცენტრალური ადგილი უჭირავს ამ ნაშრომს, ერთხმად ადგენს: გამოითხოვოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან პრეზიდიუმის წარდგინება პინგოროყვას აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევის შესახებ.

მართლა მოგიკედება გული კაცს!

”ეს ძაღმომრეობა რომ შეუტყვია, გალაკტიონს ისე დაწვევტია გული, რომ მაშინვე საგანგებოდ ჩაუნიშნავს (1955 წლის 8 სექტემბრის ჩანაწერი): ჩვენ რომ აკადემიის წევრობის კანდიდატად პავლე ინგოროყვა წარვადგინეთ (მწერალთა კავშირმა). ეს არ მოსწონებიათ მაღლა. დაუბარებიათ სამივე მდივანი და უბრძანებიათ უკანვე წაიღეთ თქვენი წარმოდგენაო (როსტომ ჩხეიძე 2003:525).

ოქმიც 1955 წლის 8 სექტემბრითაა დათარიღებული. წარმოგვიდგენია ალბათ რა საზიზღარ განწყობაზე იქნებოდა დიდებული გალაკტიონი ამ წარდგინების უკან გამოწვევით, სხდომის დამთავრებისთანავე რომ გაუნდვია დარდი უბის წიგნაკისთვის.

”1980 წლის 22 ნოემბერს აკაკი ბაქრაძეს განუცხადებია ” ჩვენ რომ თავის დროზე პავლე ინგოროყვას უზარმაზარი წიგნისათვის ”გიორგი მერჩულე” სათანადო ყურადღება მიგვექცია და ღრმად დავეკვირებოდით, დღეს არ იარსებებდა აფხაზეთის ანექლოტური პრობლემაო” (როსტომ ჩხეიძე 2003).

მაშინ ეს იყო ანექლოტური, დღეს კი იგი კატასტროფად გვექცა.

იქნებ სწორედ მაშინ დავიწყეთ აფხაზეთში დამარცხების პროცესი, როდესაც იმპერიის შიშით ინგოროყვა აგერძალეთ, სეპარატისტების ცრუ ისტორიის მეცნიერების შიშით ინგოროყვა არ შეგუშვით მეცნიერებათა აკადემიაში? ყველა ბრძოლა მოიგო უნდა, არ არსებობს უმნიშვნელო ბრძოლა.

სამწუხაროდ ჩვენ ჯერ ქაღალდზე წავაგეთ ომი, მხოლოდ შემდეგ ბრძოლის ველზე. კრძალვითა და ცახცახით, ჯერ არავის შეუქმნია სახელმწიფო.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აჭარის საარქივო სამმართველო. ფ. რ-982; ა.-1; ს.-115; ფურც.-38;
2. როსტომ ჩხეიძე ” ბედი პავლე ინგოროყვასი”, თბილისი, 2003;
3. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტ. IV. ბათუმი, 2013;
4. ახალი აღთქუმაი . სახარება მათესი, თბილისი, 1963;
5. <http://ka.wikipedia.org/wiki/>;
6. <http://burusi.wordpress.com/2009/08/14/ingorokva-pavle/>.

Fridon Kardava

*Pavle Ingorokva
Summary*

In 2013, Pavle Ingorokva prominent public figure, writer and national hero, has the 120th anniversary. Materials related to this great man's life are protected in Ajara Archives Administration; including documents related to his submission as a member of Academy of Science. These documents are overviewed in the article.

**შტრიხები რასიზმის ბერიძის ბიოგრაფიისათვის
(საარქივო დოკუმენტების მიხედვით)**

პროგრესულად მოაზროვნე რელიგიურ მოღვაწეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რასიზმის ბერიძეს. იგი გარკვეული გაგებით ქართველი ხალხის ფიზიკური და სულიერი ერთიანობისათვის მებრძოლ ადამიანად წარმოგვიდგება. მიუხედავად იმისა, რომ მიღებული ჰქონდა უმაღლესი სასულიერო (მუსულმანური) განათლება, ჰქონდა შესაბამისი წოდება, იყო ხოჯა, ამიერკავკასიის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს წევრი, მისთვის ამოსავალი იყო ქრისტიანი და მუსულმანი ქართველების ფიზიკური ერთობა. თურქეთის ხელისუფლება მას ნდობას უცხადებდა, მაგრამ რასიზმის ბერიძეს ეროვნული ინტერესებისათვის არასოდეს უღალატია და როცა დადგა ამის საჭიროება, მან საქმით დაამტკიცა სამშობლოსადმი ერთგულება. რელიგიურ განათლებასთან ერთად მას სტამბოლში საერო განათლებაც ჰქონდა მიღებული. იგი ამავე დროს იყო კვალიფიციური იურისტიც.



აჭარის არ საარქივო სამმართველოში, რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებულთა ფონდში დაცულია მრავალმხრივ საინტერესო დოკუმენტები, რომლებშიც წარმოჩენილია რასიზმის ბერიძის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხებიც. როგორც ცნობილია, საბჭოთა იმპერიის პერიოდში საკავშირო აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ჩამოყალიბდა რელიგიური კულტების საბჭო, რომელიც აკონტროლებდა რელიგიური ცხოვრების ყველა სფეროს. საბჭოს ჰყავდა რწმუნებულები მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, ასევე ოლქებში. ისინი ვალდებული იყვნენ ყოველკვარტალურად წარედგინათ დეტალური ანგარიში შესაბამისი ზემდგომი უწყებისათვის რელიგიური თემებისა და ორგანიზაციების საქმიანობის, მრევლთა რაოდენობის, რელიგიური რიტუალების შესრულების, სამლოცველოების გახსნასთან დაკავშირებული მოთხოვნების და სხვა საკითხების შესახებ. ბოლო დრომდე ეს მასალები განეკუთვნებოდა საიდუმლო დოკუმენტების ნუსხას. ამჟამად მოხდა მათი გამოსაიდუმლოება, რამაც მოგვცა შესაძლებლობა მოგვეპოვებინა საინტერესო ინფორმაცია რასიზმის ბერიძის შესახებაც. რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებულთა ანგარიშებიდან ირკვევა, რომ 1940-იანი წლებისათვის ბათუმში არსებობდა შემდეგი „რეგისტრირებული“ რელიგიური საზოგადოებები:

1. მუსლიმანთა საზოგადოება მეჯლისი, რომელსაც ჰქონდა თავისი სამლოცველო სახლი ჩკალოვის ქუჩაზე (კულტმსახურები: დანდალოელი რესიყ ბერიძე - ყადი, ხელვაჩაურელი მემედ აბულაძე - იმამი, ბათუმელი ისმაილ მიქელაძე - მოეზინი, იმამის თანაშემ-

წე, ურეხელი მემედალი დიასამიძე - მოლარე. საზოგადოებას ჰყავს 5-კაციანი გამგეობა (მეჩეთს ეკავა 200 კვ. მ. ფართობი და შეფასებული იყო 50 ათას მანეთად. იგი ხელახლა ამოქმედდა 1946 წლიდან, თუმცა საარქივო დოკუმენტების მიხედვით არ ჰქონდა გადახდილი მიწის რენტა (1 კვ. მ. 15 კაპიკი) და შენობის გადასახადი (500 მანეთი წელიწადში), ამიტომაც დაუკისრებიათ ორი წლის გადასახადის გადახდა 1060 მანეთის ოდენობით (ასს ცსა, ფ. ი-977, ა. 1, ს. 20, ფურც. 9)

2. ქართველ ებრაელთა რელიგიური საზოგადოება, ჰქონდა თავისი სამლოცველო სახლი ელექტრონის ქუჩაზე;
3. „ევანგელისტ-ხრისტიან-ბაპტისტები“, დაქირავებული ჰქონდათ სამლოცველო სახლი გორკის (ეხლ. ზურაბ გორგილაძის) ქუჩაზე;
4. ბათუმისა და სოუქ-სუს მოქმედი ეკლესიები (ასს ცსა, ფ.ი-977, ან. 1, ს. 21, ფურც. 1)

დოკუმენტში წარმოდგენილია ბათუმის რელიგიური დაწესებულებების ხელმძღვანელთა სია და დემოგრაფიული მონაცემები. საარქივო დოკუმენტების მიხედვით მეჩეთის ყადი რასიყ ბერიძე დაბადებულია 1873 წელს (ასს ცსა, ფ. ი-977, ან. 1. ს. 19, ფურც. 20), თუმცა მისი შთამომავლების საოჯახო ჩანაწერების მიხედვით რასიყ ბერიძის დაბადების თარიღად დასახელებულია 1868 წელი. დაბადების ადგილი - სოფელი გორგიუღი, ქედის რაიონი). იგი ადრე დაობლებულა. დაქვრივებიდან ორი წლის შემდეგ დედა გათხოვილა და პატარა რასიხიც თან წაუყვანია. მამინაცვალ კეთილშობილი კაცი აღმოჩნდა. იგი განრისხებულია სოფლის ცენტრში ხალხთან მოსაუბრე სოფლის მოლაზე, რომელსაც საჯაროდ აღუნიშნავს პატარა რასიხის გონიერება და უთქვამს: „ღვიძლი მამა რომ ყავდეს, მისგან კაცი გამოვიდოდაო“. გულმოსულს ეს შეურაცხყოფად მიუჩნევია და გადაუწყვეტია რასიყის სასწავლებლად გაგზავნა. მამინაცვალს გაუყიდა პირუტყვი და 16 წლის ასაკში გაგზავნა სტამბოლში გაუგზავნია. განათლებისაკენ მიმავალი გზა იმ პერიოდში სტამბოლს უკავშირდებოდა. რასიხი შესულა სასულიერო სასწავლებელში, ბინად კი ხანდაზმულ მასწავლებელთან გაჩერებულა. სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ რასიხს სწავლა გაუგრძელებია სამართალმცოდნეობისა და ფილოსოფიის განხრით, შემდეგ კი კერძო ადვოკატად დაუწყო მუშაობა.

რასიხმა სტამბოლში 16 წელი გაატარა (რასიხ ბერიძის შთამომავალთა პირადი ჩანაწერები). იქ ყოფნის პერიოდში იგი ხშირად მოგზაურობდა ქართველებით დასახლებულ ქალაქებსა და სოფლებში, იმახსოვრებდა ტოპონიმებს, გვარ-სახელებს, ტრადიციულ-ყოფიტი კულტურის საკითხებს, ათვალიერებდა ქართულ ეკლესიებს, ნაეკლესიარებს, ციხეებს, ეძებდა ქართულ ფესვებს (რასიყ ბერიძის შთამომავალთა პირადი ჩანაწერები), ჩანაწერებს კი მალულად აკეთებდა. ეს ჩანაწერები მოგვიანებით გამოიყენა თურქეთის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნებასთან დაკავშირებით პრესაში მის მიერ გამოქვეყნებულ წერილებში. 32 წლის ასაკში რასიყი სამშობლოში დაბრუნდა, დაოჯახდა (ცოლად შეირთო დიასამიძის ქალი, რომელთანაც 74 წლიანი თანაცხოვრების პერიოდში შეეძინა ხუთი შვილი) და დაიწყო სასულიერო საქმიანობა ქედისა და შუახევის სხვადასხვა სო-

ფელში, მოგვიანებით კი აჭარის ყადის თანამდებობაზე. პარალელურად, იგი არჩეული იყო „ამიერკავკასიის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს“ წევრად.

სასულიერო საქმიანობისას რასიყ ბერიძეს ჰქონდა დაპირისპირებები რეგისტრირებულ მეჩეთში მოღვაწე ხოჯა-მოღებთან, რაც მისი პროგრესულობით იყო განპირობებული. ხელისუფლება ყოველდღიურად აკვირდებოდა მათ საქმიანობას. რწმუნებულის 1951 წლის ერთ-ერთი ანგარიშიდან ჩანს, რომ რასიყ ბერიძე ორი თვის განმავლობაში არ გამოცხადებულა სამსახურში ავადმყოფობის მომიზეზებით, რეალურად კი მეჩეთის მმართველებს შორის არსებული უთანხმოების გამო. ყად რასიყ ბერიძეს გადადგომაც გადაუწყვეტია და ბაქოში შეიხ ისლამთან გაცხადების დაწერასაც აპირებდა ამასთან დაკავშირებით (ასს, ცსა, ფ. ი-977, ან. 1, ს. 23, ფურც. 13, 15), თუმცა წინააღმდეგობებს მორიდებია და წერილი აღარ გაუგზავნია. სამაგიეროდ ბაქოში წერილის გაგზავნა დაუსწრიათ მის მოწინააღმდეგეებს - მოეზინ მიქელაძეს და მოლარე დიასამიძეს, რის საპასუხოდაც ბაქოდან რასიყ ბერიძეს თხოვენ ახსნა-განმარტებას. ახსნა-განმარტებით ბარათში ჩანს რასიყ ბერიძის დამოკიდებულება რელიგიური აღმსარებლობის ცალკეული საკითხებისადმი. ჩანს, რომ იგი სავალდებულოდ არ მიიჩნევს რამაზანის მთვარეში მარხვას, რადგან „მუშა რომ იმარხოს, სამუშაოს დააკლდებო“. ამიტომ „რამაზანის მთვარეში მორწმუნეებს უფლება აქვთ ჭამონ ანუ სეფერი ქნან და სამაგიეროდ სხვა დროს იმარხონო“ (ასს, ცსა, ფ. ი-977, ან. 1, ს. 23, ფურც. 27). მისი თქმით, „უნდა მარხულობდნენ მხოლოდ 60 წლის ზევით მოხუცები, დანარჩენები კოლმეურნეობაში უნდა მუშაობდნენ და მარხვამ ხელი არ უნდა შეუშალოს მუშაობას. მოხუცებს სეფერი (შელავათი) აქვთ მარხვისას, ისევე როგორც ავადმყოფებსო“ (იქვე). ნიშანდობლივია, რომ ეს ღვთისმოსავი კაცი თავად არ მარხულობდა, ღვინოსაც ზომიერად სვამდა და მის შვილს ოსმანს საკარმიდამო მიწაზე ვენახიც კი მოაშენებინა (რასიყ ბერიძის შთამომავალთა პირადი ჩანაწერები).

რასიყ ბერიძე გამოდის ჩადრის ტარების წინააღმდეგაც. მისი აზრით „ქალების 90 პროცენტი ჩადრს ატარებს, რასაც მუსლიმანური საზოგადოება არ ითვალისწინებს“, რომ ჩადრის ტარება „ძველი ხოჯების მოგონილიაო“ (ასს, ცსა, ფ. ი-977, ან. 1, ს. 23, ფურც. 13). ამიტომაც გადაუწყვეტია „დექტორობა“ - აგიტაცია ჩადრის ტარების წინააღმდეგ. რასიყ ბერიძე, ანგარიშს უწევდა დროის მოთხოვნებს და ცდილობს რეალობასთან ადაპტირებას. ამიტომაც ყოფს ხოჯებს „ძველებად“ და „ახლებად“ და ცდილობს „მორწმუნეებში შეგნების შეტანას“. სწორედ ამიტომ, ზოგიერთი ფანატიკოსი ხოჯა თუ მოლა განუდგა რასიყ ბერიძეს და იგი „უღმერთოს“ სახელით მონათლეს.

რელიგიური რიტუალების შესასრულებლად მეჩეთის მსახურს სჭირდებოდა შესაბამისი მოწმობები. ზოგჯერ ასეთ „მოწმობებს“ თვითნებურადაც გასცემდნენ. 1947 წ. ყად რასიყ ბერიძეს თვითნებურად გაუცია ასეთი დოკუმენტი ხულოს, ქედის, ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში „ყირხისა და თარავის ღოცვების“ შესასრულებლად. რწმუნებულის მოთხოვნით ყადს ეს მოწმობები ჩამოურთმევია (ასს, ცსა, ფ. ი-977, ან. 1, ს. 23, ფურც. 14). მიცვა-

ლებულის ღოცვების ჩამტარებელთა შორის დასახელებულია „ძველი ხოჯა და მგელი“ მუეზინი მიქელაძე.

საარქივო დოკუმენტებში საუბარია „სუნეჩების მოქმედების გახშირებაზე“, რასის ბერიძე კი სავალდებულოდ არ მიიჩვევს წინდაცვეთას. იგი მორწმუნეებს განუმარტავდა, რომ „ბავშვის დასუნნეთვა სავალდებულო არ არის“. არც მუსულმანური სახელის ქართული სახელით შეცვლას მიიჩნევს ცოდვად. იგი ყველაფერს აკეთებს ქართული ცნობიერების გაძლიერებისათვის.

სწორედ აღნიშნული პოზიციის გამოხატულებაა ის დაპირისპირებები, რომელიც არსებობდა მასა და მოეზინ მიქელაძეს, ასევე იმამ აბულაძეს შორის. ეს წინააღმდეგობები კიდევ უფრო გამწვავდა, როცა რასის ბერიძეს სხვებზე უფრო მეტად შეუმცირეს ხელფასი 350 - დან 100 მანეთამდე. ისინი ბრალს სდებდნენ ბერიძეს „მუსლიმანობის გაადვილებაში“, რასაც შედეგად მოყვა მრევლის და შესაბამისად შემოსავლების შემცირება. ამიტომ შეეცადნენ „ეიზილბაში, ურწმუნო ხოჯის“ რასის ბერიძის თავიდან მოშორებას. ცხადია, რ. ბერიძეც შეეცდებოდა თავის დაცვას და მისთვის არასასურველი პირების გათავისუფლებას. ამიტომაც დასვა მოლარე დიასამიძის გათავისუფლების საკითხი (ასს, ცსა, ფ. ი-977, ან. 1, ს. 19, ფურც. 22).

საარქივო დოკუმენტებით ირკვევა, რომ მოანგარიშე დიასამიძის გათავისუფლებით დაინტერესებული არიან რელიგიური კულტების საბჭოს რესპუბლიკური და საოლქო რწმუნებულები. რესპუბლიკური რწმუნებულის დ. ქორიძის ი. ტუნაძისადმი (რწმუნებული აჭარაში) გაგზავნილ წერილში აღნიშნულის შესახებ განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული. მალე ამ „გაიძვერა“ (ასეა მოხსენებული წერილში) დიასამიძისათვის შეუთავაზებით კიდევ აღმოსავლეთ საქართველოს ყადის თანამდებობაზე გადასვლა. ქურიძე მხარს უჭერს მიქელაძის და აბულაძის მოშორებასაც, ოღონდ ეს ისე უნდა განხორციელებულიყო, რომ „ხელისუფლების ხელი არ ჩანდესო“ (ასს, ცსა, ფ. ი-977, ან. 1, ს. 19, ფურც. 23). 1948 წელს დიასამიძე მართლაც გადაუყვანიათ სხვაგან ყადის თანამდებობაზე (ასს, ცსა, ფ. ი-977, ან. 1, ს. 17, ფურც. 4).

რასის ბერიძე სასულიერო საქმიანობას მოხერხებულად უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობასაც. მას გამოუქვეყნებია არაერთი მნიშვნელოვანი საგაზეთო პუბლიკაცია საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე, უპირატესად თურქეთში მცხოვრები ქართველების ტრადიციული ყოფისა (ახალი წლის რიტუალი, მჭადზე ჯვარის დასმა, კვერცხის წითლად შეღებვა, ქართული ენის შემონახულობა და ა. შ.) და ქართული მიწების დაბრუნების საკითხებზე. გადმოცემით, მისი ნაწერები სტალინსაც კი გამოუყენებია (რასის ბერიძის შთამომავალთა პირადი ჩანაწერები). საოჯახო ჩანაწერებიდან ჩანს, რომ რ. ბერიძეს მეორე მსოფლიო ომის წლებში სტალინისაგან მიუღია წერილი: „ილოცეთ ჩვენი გამარჯვებისათვისო“. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ საზოგადო მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძესთან, ასევე ს. ჯანაშიასთან და ნ. ბერძენიშვილთან. საოჯახო ჩანაწერებში არაერთი საგულისხმო ისტორიული ფაქტია დაფიქსირებული, რომელიც რასის ბერიძე მოუყვლია მისი შვილიშვილის ნოდარ ბერიძისათვის. ერთ-ერთი ჩანაწერის მიხედვით სტალინს თურქი მწერლის ნაზიმ ჰიქმეთისათვის შეუთავაზებია ომისშემდგომი დემოკრატიული თურქეთის პრეზიდენტობა იმ

პირობით, თუ თურქეთის ქართველებს მიეცემოდათ ავტონომია, შედეგ კი რეფერენდუმის საფუძველზე ისტორიული ქართული მიწაწყალი დაუბრუნდებოდა დედა სამშობლოს. ჩანაწერის მიხედვით ასეთი პოლიტიკა უნდა გაცარებულიყო აზერბაიჯანშიც საინგილოს დაბრუნების მიზნით (რასის ბერიძის შთამომავალთა პირადი ჩანაწერები). რ. ბერიძე წყველით მოიხსენიებდა ნ. ხრუშჩოვს, რომელმაც ოფიციალურად თქვა უარი თურქეთთან ტერიტორიულ პრეტენზიებზე. იგი ხრუშჩოვის ამ ქმედებას „უხსნობის ზენიტს“ უწოდებს.

რასის ბერიძე იყო მკაცრი, მაგრამ უაღრესად კაცთმოყვარე და სამართლიანი პიროვნება. იგი „ღეშად“ მოიხსენიებდა ყველა იმ ადამიანს, რომელიც სიმართლეს უღალატებდა და ბოროტებისაკენ გადაიხრებოდა. სამართლიანობასთან ერთად იგი იყო ყველას ჭირისა და ღხინის მოზიარე, ქვრივ-ობოლთა და ღარიბთა ქომაგი. მან თავად შეამცირა სოფლის მეჩეთისათვის შესაწირი გადასახადების რაოდენობა დანდალოში ხოჯის მოვალეობის შესრულების დროს. მან ითავა აგრეთვე სოფლის ობოლი ბავშვების მეურვეობა, რამაც ერთობ გააღიზიანა სოფლის ბეგები. ერთხელაც, საკარმიდამო მიწაზე მუშაობის დასრულების შემდეგ, შებინდებისას სახლში დაბრუნებულს ვიდაცამ ესროლა. მთვარიანი ღამე იყო. სროლა რამდენჯერმე განმეორდა. რასიყი ფეხში დაიჭრა და დიდი მუხის ფულუროში დამალვა მოახერხა, ჭრილობა პერანგით შეიხვია და რევოლვერმომარჯვებული მთელი 2 საათის განმავლობაში ელოდა თავდამსხმელს, რომლებიც უკვე გაქცეულიყვნენ. რასიყმა ხოხვით შეძლო მეზობლის ა. ბერიძის სახლამდე მისვლა. ხმა გავრცელდა - უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის გამო დაესხნენ თავსო.

რასის ბერიძე გარდაიცვალა 1974 წელს, 106 წლის ასაკში. 3 თვს შემდეგ გარდაიცვალა მისი მეუღლე, სათნო, კეთილი და მაღალზნეობრივი ქალბატონი. ისინი მოესწრნენ შვილებს, შვილიშვილებს, შვილიშვილის შვილებს და შვილთა შვილის შვილებსაც (შთამომავალთა საერთო რაოდენობა 100-ს აჭარბებს), მაგრამ ვერ ასრულდა მისი ოცნება, ქართული მიწების დედა სამშობლოსთან დაბრუნება, რაც გამოიხატა კიდევ 1945 წ. 28 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში - „თურქმა მოძალადეებმა უნდა დაგვიბრუნონ ჩვენი მიწა-წყალი“. საკითხის აქტუალობის გამო მკითხველს ვთავაზობთ აღნიშნული წერილის სრულ ვერსიას:

თურქმა მოძალადეებმა უნდა დაგვიბრუნონ ჩვენი მიწა-წყალი

მსოფლიო მშვიდობიანობის მოსურვე ხალხებმა დიდი ალაპის ნებითა და სურვილით, იხსნეს ქვეყნიერება შავ-ბნელი ფაშიზმისაგან, კაცობრიობის ამ წყეული მტრისა და ბნელეთის მოციქულისაგან. დამყარდა დიდი ხნის ნანატრი საყოველთაო მშვიდობა. საბჭოების ქვეყანა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა თავისუფლების მოყვარე ხალხებს გაემარჯვებინათ.

აჭარის ქართველი მუსლიმანები, სიხარულით აღესილნი, უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამდნენ ჩვენი ქვეყნის - საბჭოთა კავშირის ხალხების ისტორიული გამარჯვების გამო. ქართველ ხალხს დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ დიადი გამარჯვების მიღწევის საქმეში, მან უდიდესი წვლილი შეიტანა სინდისის, პატიოსნებისა და სამშობლოს კეთილდღეობის დასაცავად.

ქართველი ხალხი თავისი ისტორიის დიდ მანძილზე მამაცურად იგერიებდა ყველა სახის უცხოელ ურჩხულთ, ანადგურებდა მათ სამართლიანობისათვის ბრძოლაში, არ ზოგავდა თავის ძაღლონეს, რათა უზრუნველყო თავისი ქვეყნის ერთობა.

განსაკუთრებით გართულდა ჩვენი სამშობლოს - საქართველოს მდგომარეობა მე-15 საუკუნეში. ეს იყო დრო, როდესაც საქართველოს მეზობლად შექმნილმა თურქეთის სახელმწიფომ თავისი დამპყრობლური სურვილების განხორციელების მიზნით უშუალოდ დაიწყო ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმა.

ოსმალეთ-თურქებმა ბიზანტიის დაპყრობისა და მისი დედაქალაქის კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ იერიში მოიტანეს სამხრეთ-საქართველოზე და ქართველთა ტომებს ლაზ-ჭანებს და სხვებს შეუქმნეს სასიკვდილო საფრთხე. 1462 წელს თურქებმა აიღეს ლაზთა ქალაქი ტრაპიზონი და ისწრაფოდნენ ხელში ჩაეგდოთ მთელი სამხრეთი საქართველო. ქართველები თურქების წინააღმდეგ თავდადებით იბრძოდნენ თავისი მიწა-წყლისთვის, მაგრამ რიცხვით მეტ ძალებს ვერ გაუმკლავდნენ. თურქებმა დიდი მსხვერპლის ფასად ჩვენი მხარე საქართველოს მოსწყვიტეს და დაამყარეს აქ თავიანთი სახელმწიფო ადათები. მაგრამ ჩვენი ხალხი ამ უცხო წესებს ვერ ურიგდებოდა და მუდამ იყო სისხლისღვრა და ბრძოლა. ამას ადასტურებს ისტორია.

ზ. ჭიჭინაძეს, რომელმაც ფეხით შემოიარა მთელი სამხრეთ საქართველო, თავის წიგნში მოჰყავს მუფთ ხოჯის ახმედ ეფენდი ხალილაშვილის ნაამბობი: „ძველად ხოჯა ხერხეულიძე ასე იტყოდა, რომ ნახევარი ზეგანი ფოცხოვისა და ქვაბლიანისკენ გაწყდა ბრძოლაში, რადგანაც არ თათრდებოდნენ. დანდალომ ზეგანს მიბაძა და აჭარაშიაც დიდი სისხლი დაიდგარა“.

ოსმალების მიერ ჩვენი ტერიტორიებისა და ქართველი ხალხის ნაწილის დაპყრობის შემდეგ გავრცელებულ მუსლიმანურ სარწმუნოებას-ისლამს არ გამოუწვევია ქართული სისხლის შეცვლა და ეროვნული გადაგვარება.

ქართველი მუსლიმანნი და ქართველი ქრისტიანები ძმები არიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა სარწმუნოებას აღიარებენ.

დიდ საბჭოთა ქვეყანაში მრავალ სხვა სარწმუნოების ხალხებთან ერთად არიან ისლამის სარწმუნოების მიმდევრები, რომელნიც თავისუფლად ასრულებენ მუსლიმანურ წესებს ყურანის შესაბამისად. ჩვენთან, აჭარაში არსებულ ჯამეებში მორწმუნენი ასრულებენ თავიანთ ღოცვებს და კითხვებს. ჩვენ არ ვგრძნობთ არავითარ შევიწროვებას. ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, თავის სარწმუნოების წესების შესრულება ყველას შეუძლია. ჩვენ ჩავატარეთ მუსლიმანთა ყრილობა და კრებები, მოვეწოდეთ ყველა მუსლიმანს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად ქართველი მუსლიმანები მზურვალედ ეხმარებოდნენ ფრონტს საერთო მტრის გასანადგურებლად. ქართველმა მუსლიმანებმა ყველგან იციან, რომ ისინი ნამდვილი ქართველები არიან და ეროვნებით ერთ ერს-ქართველ ერს ეკუთვნიან, რომ სარწმუნოებით განსხვავება მათ ეროვნულ გათიშვას ვერ გამოიწვევდა და ვერც ვერასოდეს გამოიწვევს. თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მუსლიმანები ჩვენი სისხლი და ხორცი არიან. მათთვის კარგად ცნობილია,

რომ ქართული ეროვნების ეს მოსახლეობა თურქებმა მოსწყვიტეს დედა-სამშობლოს.

ქართველებმა საკუთარი სამშობლოს დაცვისათვის დაღვრილი სისხლის შედეგად შეინარჩუნეს თავისი არსებობა, კულტურა და სახელმწიფოებრიობა. ამჟამად ქართველი ხალხის დიდი ნაწილი მზიურ საბჭოთა ქვეყანაში თავისუფლად და ბედნიერად ცხოვრობს.

მე და მთელი ქართველი მუსლიმანები დიდად ვუმაღლით ღმერთს, რომ მოვხვდით საბჭოთა ქვეყანაში, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში, სადაც სარწმუნოებრივ თავისუფლებასთან ერთად მოგვეპოვება კულტურული და ეკონომიკური აღორძინების ყოველგვარი საშუალებები.

ქართველი მუსლიმანების საგრძნობი ნაწილი, რომელსაც ცხოვრება უხდება თურქეთის მიერ საქართველოსაგან ძალით მოწყვეტილ ტერიტორიებზე, სრულიად მოკლებულია ამ დიად უფლებებს, კერძოდ მშობლიურ ენაზე ლაპარაკსაც კი. ეს ქართველი მუსლიმანები დიდი ხანია გულის ფანცხლით მოელიან საკუთარი სამშობლოს მთიანობის აღდგენას, რადგან, როგორც გვიწერია ჰედისში, „სამშობლოს სიყვარული ყველა მუსლიმანის აუცილებელი მოვალეობაა“. ქართველი მუსლიმანები, რომელნიც მოქცეულნი არიან თურქეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს ტერიტორიაზე, დიდი სიხარულით შეხვდებიან მათი სამშობლო ადგილების საქართველოსთვის დაბრუნებას.

ყველასათვის და თვით თურქეთისათვის ცნობილია, რომ საქართველოს მიწა-წყალი სცილდება ტრაპიზონს, გიუმიშხანეს, ბასიანის მიდამოებს, ჭოროხ-ტრაპიზონის კოლხეთს, რომელსაც შერჩენილი აქვს დასავლეთ კოლხეთის სახელწოდება. თვით კონსტანტინოპოლის თურქებიც კი ტრაპიზონს „ლაზთა საბრძანებლოს“ უწოდებდნენ.

ქართველ მუსლიმანთა ეროვნული ნიშნების მოსპობის მიზნით თურქეთის ხელისუფალთა მიერ გატარებული მრავალი ღონისძიების მიუხედავად, უკანასკნელ წლებში ქართველი მოსახლეობის თურქეთის შორეულ რაიონებში გადასახლების, ეროვნული დამცირებისა და ამ ადგილებში ქართულ სახელწოდებათა შეცვლის მიუხედავად, - აქ მაინც შერჩენილია უამრავი ქართული სახელწოდება. მაგალითად ტრაპიზონის დასავლეთით მდებარე ჯანიქსანჯაყი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ეს ადგილები ჭანებისა, ე.ი. ლაზებისაა. იმერხევი, მიქელეთი, ნოდეთი, მარიშ სკირიშ ოფუტე, ოხვამე და სხვა მრავალი ქართული სახელწოდება ახლაც არის ხმარებაში. აღსანიშნავია, აგრეთვე ქართული ქრისტიანული ჩვევების არსებობა, როგორიცაა: ახალი წლის შეხვედრა, კვერცხის შეღებვა და სხვა.

ამგვარად სამხრეთმა საქართველომ, მიუხედავად თურქეთის ბატონობისა, უკანასკნელ ხანებამდე ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებებთან ერთად შეინარჩუნა ქართული ენა და ადათ-ჩვევებიც.

ქართველ ხალხს, პირველ რიგში ქართველ მუსლიმანებს, არასოდეს არ დაავიწყდებათ თურქეთის ვერაგული თავდასხმა საქართველოზე 1920-21 წლებში, როცა მათ მოახდინეს არტაანის, ართვინის ოლქების და ბათუმის ოლქის ნაწილის ოკუპაცია. მრავალი მუსლიმანი ქართველი გაუღიტეს მაშინ თურქებმა, მრავალი მათგანი აყარეს და შორეულ რაიონებში გადაასახლეს.

ქართველი ხალხის, მათ შორის ქართველი მუსლიმანების ნებასურვილია გამოთქმული ჩვენი მეცნიერების ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის

წერილში, რომელიც საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა. თურქმა მოძღვრებმა უნდა დაგვიბრუნონ ჩვენი მიწაწყალი: არტანის, ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბურთის, გიუმისხანეს რაიონები და აღმოსავლეთი ლაზისტანი ტრაპიზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით.

ქართველო მუსლიმანებო! ვთხოვთ დიდ ღმერთს, რომ ჩვენი საუკუნოებრივი სურვილი შესრულდეს და სამუსლიმანო საქართველო მთლიანად შეუერთდეს თავის დედა-სამშობლოს - საქართველოს და გახდეს მონაწილე თავისი ძმების ერთიანი ოჯახისა, ამინ!“

რასის სულეიმანისძე ბერიძე,
ამიერკავკასიის მუსლიმანთა სასულიერო
სამმართველოს წევრი, აჭარის ყადი

გამოყენებული წყაროები:

1. ასს ცსა, ფ. ი-977, ან. 1, ს. 17, ფურც. 4;
2. ასს ცსა, ფ. ი-977, ან. 1, ს. 19, ფურც. 9, 20, 22;
3. ასს ცსა, ფ. ი-977, ა. 1, ს. 20, ფურც. 9;
4. ასს ცსა, ფ. ი-977, ან. 1, ს. 21, ფურც. 1;
5. ასს ცსა, ფ. ი-977, ან. 1, ს. 23, ფურც. 13, 14, 15, 27;
6. რასის ბერიძე თურქმა მოძღვრებმა უნდა დაგვიბრუნონ ჩვენი მიწა-წყალი. გაზ. „კომუნისტი“, 1945 წ. 28 დეკემბერი;
7. რასის ბერიძის შთამომავალთა პირადი ჩანაწერები.

Tamaz Putkaradze
Guram Saladze

Features for Rasik Beridze biography

Summary

Rasik Beridze has a special place among religious figures with progressive thinking. With a certain sense, he can be described as a man fighting for physical and spiritual unity of Georgians. In this article interesting aspects of Rasik Beridze's biography and religious activities are described.

**სოფიის (ბუღგარეთი) სახელმწიფო არქივში
დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ**

საარქივო საქმის განვითარება არსებული დოკუმენტების დაცვის და შენახვის გარდა, ღირებული დოკუმენტების მოძიებას გულისხმობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ქვეყნის საზღვრებს გარეთ საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტების მოძიება და მათი თუნდაც ასლებით არქივის გამდიდრება. ევროპის ქვეყნების არქივების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი სწორედ მათი ქვეყნის შესახებ საზღვარგარეთ დოკუმენტსაცავებში არსებული საბუთების მოძიებაა. მაგ: ბუღგარეთის სახელმწიფო არქივში არსებობს სპეციალური განყოფილება, სადაც საზღვარგარეთიდან შემოტანილი დოკუმენტების კოლექციების მხოლოდ დასახელება დაახლოებით 700 გვერდს მოიცავს. (<http://www.archives.government.bg>)

ჩვენი ქვეყნის შესახებ უცხოეთის არქივებში დაცული დოკუმენტების მოძიებისა და საარქივო სამმართველოში შემოტანის თვალსაზრისით ბოლო დროს მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა გატარებული აჭარის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის საზოგადოებასთან, საზღვარგარეთთან, მასმედიასთან ურთიერთობის, დოკუმენტების გამოყენებისა და პუბლიკაციის განყოფილებას. განყოფილების ინიციატივით (განყოფილების უფროსი თამაზ ფუტყარაძე) ევროპის სხვადასხვა ქალაქების არქივებიდან ჩამოტანილი იქნა მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტების ასლები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ მკვლევარს ადგილზე გაეცნოს და შეისწავლოს უცხოური დოკუმენტები ჩვენი ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების შესახებ.

2010-2013 წლებში საარქივო სამმართველოში კოლექციების სახით დაიდო ბინა გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული VII -XI საუკუნეების უბეველესი ქართული ხელნაწერების ასლებმა, რომელთაგან ერთ-ერთი - VII საუკუნის ასომთავრულით შესრულებული დოკუმენტი ყველაზე ძველია გრაცში დაცულ 400 000 ხელნაწერს შორის და ამიტომაც ქართულ ხელნაწერებს ბიბლიოთეკის „ოქროს ფონდს“ უწოდებენ. ამავე პერიოდში შემოიტანეს: სოფიის კირილესა და მეთოდეს ბიბლიოთეკაში (ბუღგარეთი) დაცული ოსმალური დოკუმენტები XVI – XVIII საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ (1000 - მდე დოკუმენტი); ასევე, ბლაგოვეგრადის სამხარეო და სოფიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში (ბუღგარეთი) საქართველოს შესახებ დაცული დოკუმენტები სულ ახლახან საარქივო სამმართველოს ფონდსაცავები გამდიდრდა ოდესის (უკრაინა) სახელმწიფო არქივიდან შემოტანილი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებით.

ამჯერად ჩვენ მიმოვიხილავთ სოფიის არქივში საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტებს, რომელიც კოლექციის სახით განთავსებულია ჩვენს ფონდსაცავებში.

დოკუმენტების ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1917-1992 წლებს. იგი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ჩვენი ქვეყნის ბოლო პერიოდის სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული საკითხების შესახებ. არქივში შესანახად მომზადებულ დოკუმენტებს, გაუკეთდა ანოტაციები, შეიკრა საქმეებად (6 საქმეთა ერთეული) და მომზადდა შესაბამისი ანაწერი. ფონდს მიენიჭა **ნომერი ი-87, ანაწერი 2, საქმე 1-დან 6 ის ჩათვლით**. დოკუმენტები ძირითადად ბულგარულ ენაზეა წარმოდგენილი, მცირე ნაწილი კი ფრანგულ და რუსულ ენებზე. მათი ძირითადი ნაწილი ნაბეჭდია, ხოლო ნაწილი ხელნაწერი. მოკლედ მომოვიხილოთ თითოეული მათგანი:

საქმე № 1-ში წარმოდგენილია მიმოწერები საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით; თურქეთის მიერ ბათუმის, ყარსისა და არტაანის ექსპანსიის ამსახველი დოკუმენტები; ხელშეკრულებები თურქეთ-საქართველოსა და გერმანია-თურქეთს შორის; გერმანია-რუსეთის შეთანხმება საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით; მასალები ყარსის, ბათუმისა და არტაანის რეფერენდუმების შესახებ და ა. შ. საქმე შედგება 124 გვერდისაგან და საქმის დამადასტურებელი ფურცელისაგან მისი კიდური თარიღები 1917-1918 წლებით განისაზღვრება. დოკუმენტი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ქვეყნის პოლიტიკური ისტორიის ასევე ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხების შესწავლის თვალსაზრისით.

საქმე № 2-ში არის მუსიკოს ილიკო ქურხულის ბულგარულ ენაზე გამოცემული წიგნები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ.

ილია ქურხული იყო მოხეტიალე მუსიკოსი, (მესტვირე, მევიოლინე, მომღერალი), რომელიც ეწეოდა ქართული ხალხური მუსიკის პროპაგანდას. მან შეისწავლა ხალხური საკრავების აგებულება და ზრუნავდა მათი გაუმჯობესებისათვის. მუსიკოსმა ფეხით შემოიარა რუსეთისა და უკრაინის მრავალი ქალაქი, ასევე ფინეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი. მან იმოგზაურა ბულგარეთშიც და სოფიაში ბულგარულ ენაზე გამოსცა წიგნი ქართული ხალხური სიმღერის შესახებ.

საქმეშია ასევე ხელნაწერი ანოტაცია ამ წიგნების შესახებ და ავტორის ფოტოპორტრეტი. (<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/1446>)



დოკუმენტები 1922 -1924 წლებით თარიღდება და მოიცავს 70 ფურცელს.

საქმე № 3-ში არის მიმოწერა საქართველოს კათალიკოს - პატრიარქ მელქისედეკ მესამესა და ბულგარეთის სასულიერო პირს - დინო ბოჟკოვს შორის, წერილიდან ჩანს, რომ ისინი ერთად სწავლობდნენ ყაზანის სასულიერო აკადემიაში. დინო ბოჟკოვი გულითადად მოიკითხავს პატრიარქს, საუბრობს მათ კეთილმეგობრულ ურთიერთობებზე, მას „აკადემიის უფროს მეგობარს და სულიერ ამას“ უწოდებს, წერს მის პიროვნულ თვისებებზე. იგი დაინტერესებულია საქართველოთი და ამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებით. „ჩვენთან ბულგარეთში, ყველაფერი გვაინტერესებს, რაც ხდება საქართველოში“ - წერს იგი და ამით ბულგარეთ- საქართველოს კეთილ მეზობლურ ურთიერთობებს კიდევ ერთხელ უვავს ხაზს. ერთ წერილი ბულგარულ ენაზეა, ხოლო მეორე რუსულ ენაზე. საქმეშია მელქისედეკ მესამის ორი ფოტო.

საქმე № 4-ში წარმოდგენილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის და ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის დოცენტის - რევაზ სირაძის წერილი სოფიის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანისადმი ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობების ერთობლივი კვლევის აუცილებლობის შესახებ. წერილი დათარიღებულია 1973 წლის 26 მარტით.

საქმე № 5-ში თავმოყრილია მინისტრთა საბჭოს 1992 წლის გადაწყვეტილებები ბულგარეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების, საქართველოსთან დიპლომატიური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების შესახებ. მათ შორის:

1. ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს 1992 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება № 13 ბულგარეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ;
2. მინისტრთა საბჭოს 1992 წლის 13 იანვრის ოქმი № 3;
3. ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს 1992 წლის 11 მაისის № 180 გადაწყვეტილება საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ და 1992 წლის 4 მაისის სხდომის ოქმი;
4. ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სტოიან განევის მოხსენება საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ;
5. ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს 1992 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება № 301 ბულგარეთ-საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების შესახებ;
6. 1992 წლის 20 ივლისის სხდომის ოქმი №63;
7. ბულგარეთის ვაჭრობის მინისტრის ალექსანდრე პრამატარსკის მოხსენება ბულგარეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობების შესახებ.

საქმე № 6-ში წარმოდგენილია სრულიად საქართველოს კათალიკოს - პატრიარქის ილია მეორის და მისი დელეგაციის ბულგარეთში ოფიციალური ვიზიტის პროგრამა 1979 წლის 9-19 მაისს.

ამრიგად, საქართველოს შესახებ სოფიის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტები ცხადყოფს ბულგარეთის ხელისუფლების სწრაფვას და

სურვილს - დაამყაროს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა საქართველოს-თან, გააგრძელონ ისტორიულად არსებული პოლიტიკური თუ კულტურული ურთიერთობების ტრადიციები თანამედროვე პერიოდშიც. ცხადია, ასეთი მისწრაფება ჩვენი ხალხების ისტორიული ბედის ერთობითაც არის განპირობებული. ბულგარელი კოლეგების მიერ საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტების უსასყიდლოდ გადმოცემა სწორედ რომ ამ მეგობრობის და სიყვარულის გამოხატულებაა. აჭარის საარქივო სამმართველო კვლავაც აქტიურად თანამშრომლობს ბულგარეთის საარქივო დაწესებულებებთან.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. აასცსა, ფონდი ი-87; აღწ. 2; საქმე 1-6;
2. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/1446>;
3. <http://www.archives.government.bg>.

Ketevan Iakobadze
Mzia Surmanidze

Documents about Georgia protected in State Archive of Sofia (Bulgaria)

Summary

Development of archival case does not involve only storage and protection of documents, it also implies revealing of documents from abroad. In this article documents about Georgia, brought from Archives of Sofia in 2013, are briefly reviewed.

**ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის ისტორიის
ზოგიერთი საკითხი
(საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით)**

ქალაქ ბათუმის ცენტრში, ზღვის სივრცით გარემოში არქიტექტურული სილამაზით გამორჩეული ალექსანდრე ნეველის სახელობის მართმადიდებელი ტაძარი მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ტაძრების რიცხვს მიეკუთვნებოდა. სოფიის (ბულგარეთის) კათედრალის მსგავსი გრანდიოზული ნაგებობა წითელი და თეთრი ქვით იყო ნაშენი, შიგნით მომწვანო ონიქსის კანკელით, მარმარილოს კათედრითა და მოზაიკის იატაკებით სიმდიდრისა და დიდებულების ეფექტს ახდენდა (არელიგიური დაწესებულებები აჭარაში“, დოკუმენტური კრებული, 2010:7). ამის შესახებ ბევრი დაიწერა. ხელოვნებათმცოდნეებმა მაღალი შეფასება მისცეს ყოფილ ტაძარს, რასაც გვიდასტურებს ტაძრის დღემდე შემორჩენილი ფოტოსურათები.



ტაძარი მოქმედებდა XIX საუკუნის ბოლოდან 1936 წლამდე, ვიდრე იგი დაინგრეოდა საბჭოთა პერიოდის ათეისტების მიერ.

ცნობილია, რომ 1888 წლის 25 სექტემბერს ტაძრის დაარსების ცერემონიალში რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე III-მ და სამეფო ოჯახის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა. მისი უდიდებულესობის, რუსეთის იმპერატორის ბათუმში დახვედრისა და მიღების კომიტეტის თავჯდომარე სტატს სოვეტნიკი გავროვსკი იუწყებოდა, რომ კავკასიის მხარეში იმპერატორის სამოგზაურო მარშუტის საფუძველზე მისი უდიდებულესობა დაესწრობოდა ფოსტა-ტელეგრაფის შენობის წინ არსებულ მოედანზე ახალი ტაძრის

საძირკველის ჩაყრას. განისაზღვრა აღნიშნულ ღონისძიებაზე დამსწრეთა შემადგენლობა და რაოდენობა, რაზეც საგანგებო ყურადღებაა გამახვილებული საარქივო დოკუმენტებში. აღნიშნულ მოედანზე სხვებთან ერთად იქნებიან ბათუმის საქალაქო სასწავლებლის, ბერძნული სკოლის და ბათუმის ქალთა სკოლის აღსაზრდელები და თავიანთი სასწავლებლების მომსახურე პერსონალი.



როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, „საბორო“ შენდებოდა არა სამხედრო, არამედ სამოქალაქო პირთა მიერ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი აშენდა მორწმუნეთა პირადი შენაწირებით. რუსეთის წმინდა სინოდმა ტაძრის მშენებლობას შეწირა 5000 მანეთი. ტაძარი აგურით აშენდა. ეზო რკინის ცხაურით შემოირაგა (wikimapia.org, bigsale.ge/intourist). ბათუმის სათათბიროს სხდომის ოქმებიდან ჩანს, რომ ნეველის სამხედრო ტაძარი აუშენებიათ „ბათუმის ოლქის რუსეთის იმპერია-სთან შეერთების აღსანიშნავად“ (ფონდი ი-7 ანაწ.1, ს. 26, ფურცელი 4; ი-9, აღწ. 1, საქ 7. ფ 1).

ეკლესიაში ორი ტრაპეზი იყო: წმიდა ალექსანდრე ნეველის სახელობისა და წმიდა ნიკოლოზ საკვირველთმოქმედის სახელობისა. მეორე ტრაპეზი დაარსდა საკურთხეველის მარჯვნივ მდებარე ეკვდერში - რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მირონცხების პატივსაცემად (wikimapia.org).

მოგვიანებით, ტაძრის ტერიტორია ხელახლა შემოიღობა, დაიდგა ახალი კარიბჭე, სანთლების გასაყიდი ჯიხური, გარემონტდა კანცელარია, ტაძრისკენ მიმავალ ბილიკზე დაეგო ქვის ფილები (wikimapia.org, blogger.ge/post/1254, bigsale.ge/intourist)

ტაძარში დაბრძანებულ ხატთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო სმოლენსკის ღვთისმშობლის, წმ. ალექსანდრე ნეველის, თეოდორესეული ღვთისმშობლის, წმ. დიდმოწამე პანტელეიმონის, ღვთისმშობლის საფარველის, წმ.სერაფიმე საროველის, ღვთისმშობლის ხატი „ყოველთა მწუხარეთა ნუგეში“, წმ.ნიკოლოზ საკვირველთმოქმედის და სხვათა ხატები (wikimapia.org).

საარქივო სამმართველოში ამ ტაძრის შესახებ დაცულია მწირი, მაგრამ მეტად საინტერესო მასალები. 58-ე ფონდში დაცულია 5 საქმეთა ერთეული, რომლებშიც ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების

გარდა წარმოდგენილია დეპეშები, ცირკულარები, წერილები, სხვა სახის დოკუმენტები, კერძოდ:

ა. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგორის სარწმუნოებრივი მოწოდებები;

ბ. ალექსანდრე I I I ის 1894 წლის 25 ივლისს ბრძანება ქსენია ალექსანდრეს ასულისა და მისი უდიდებულესობის თავად ალექსანდრე მიხეილის ძის ჯვრისწერის შესახებ;

გ. ნიკოლოზ I I ის 1895 წლის 3 ნოემბერს ბრძანება მის ქვეშემდგომებისადმი ქალიშვილ ოლგას დაბადებასთან დაკავშირებით;

დ. ცირკულარები ეკლესიების და სასულიერო სკოლების ასაშენებლად აკრებილი თანხის შესახებ (იხ. ფონდი ი-58, ანაწერი 1, ფურც. 75 , 1895-1900 წელი);

ე. მღვდელი ალექსანდრე რაღცევიჩის მიმოწერა და 1894 წლის 31 იანვრის № 457 ცირკულარული წერილი წერილი თბილისის სასულიერო სემინარიისადმი ამ სემინარიის აღსაზრდელის სემინარიიდან გარიცხვისა და აღსაზრდელს შორის რევოლუციური მოძრაობის შესახებ;

ვ. მიმოწერა ფულის შეგროვების გაგრძელების ხელშესაწყობად ურწმუნოებს შორის. შეტყობინებები საეკლესიო შემოსავლების შესახებ (ფონდი- 58, ანაწერი 2, ფურცლის რაოდენობა 75, 1894-1900 წელი);

ზ. დოკუმენტებში წარმოდგენილია იმ პირთა სია, რომლებმაც ალ. ნეველის სახელობის ტაძარში 1908, ასევე 1910 წლებში ჩააბარეს აღსარება და მოინანის ცოდვები (ფონდი ი-58 , ანაწერი 3-4-5, 1908-1910წწ).

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა აგრეთვე, რომ სამხედრო ყაზარმაში დიდ ყურადღებას აქცევდნენ საეკლესიო ქადაგებას. პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებისა და სამხედრო მუნდირის გაცნობის თვალსაზრისით რუსეთის ისტორიის სწავლება უნდა წარმართულიყო რელიგიური ნიშნით (მ. მეგრელიშვილი, 2011:22,23). სამხედრო მესვეურთა მიერ ტარდებოდა რიგი ღონისძიებები სამხედრო ხელმძღვანელობასა და ოფიცერთა შემადგენლობასთან, მღვდელმსახურთა გაერთიანების მიზნით, რათა ერთობრივი მუშაობით ამაღლებინათ სამხედრო მოსამსახურეთა განათლება, რწმენა და ერთგულება რუსეთის მეფისა და სამშობლოსადმი. დრო და დრო იხვეწებოდა მოსახლეობაზე ზემოქმედების ფორმები და საშუალებები. ყოველდღიურად რუსი ოფიცრებისთვის იმართებოდა საღვთსმეტყველო კითხვა. ყოველივე ამას კი ემსახურებოდა ტაძართან არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები (მ. მეგრელიშვილი, 2011: 23) .

აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტური მასალებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბათუმის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძართან არსებული სხვადასხვა სახის დაწესებულებები აშკარად ემსახურებოდნენ ცარიზმის იმპერიულ ინტერესებს (მ. მეგრელიშვილი, 2011: 23) .

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ფონდი ი-58 , ანაწერი 1, საქმე 1,2,3,4,5.
2. ფონდი ი-7 ანაწ.1, ს. 26, ფურცელი 4;
3. ი-9, აღწ. 1, საქ. 7. ფ 1;
„რელიგიური დაწესებულებები აჭარაში“, დოკუმენტური კრებული, ბათ. 2010;
4. მ. მეგრელიშვილი, ბათუმის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის ისტორიიდან, არხეიონი I, ბათ. 2011;
5. ინტერნეტი: wikimapia.org, bigsale.ge/intourist, blogger.ge/post/1254.

Tsitsi Tsintsadze

***Several issues concerning History of Alexander Nevsky Cathedral
(According to the documents protected in the Archives Administration)***

Alexander Nevsky Orthodox Church in the center of Batumi was in the list of the most famous cathedrals in the world. Like Sofia (Bulgaria) Cathedral, it was a victim of atheistic policy of Soviet empire. The article discusses the archival document, which contain information about this cathedral.

ვინ ააშენა კოლონადები?

სათაურში ამ კითხვის გამოტანას საფუძველი აქვს. დიდი ხანია, განსაკუთრებით ბოლო წლებში, კოლონადებს მრავალი „პატრონი“ გამოუჩნდა. მგონი არ დარჩენილა ოცდაათიან წლებში ბათუმში მცხოვრები ინჟინერი, ვიზეც არ მიეცერათ ბულვარის კოლონადების მშენებლობის პრიორიტეტი, ხოლო მისი პროექტების იტალიიდან ჩამოტანას საოლქო კომიტეტის მაშინდელ მდივანს არტაშეს გეურქოვს მიაწერდნენ. სამწუხაროდ, მრავალთაგან არცერთი მოსახრება სწორი არ იყო და ამას, ასევე საარქივო დოკუმენტებიც ადასტურებს.

ერთ-ერთი პიროვნება, ვისაც მიაწერეს კოლონადების მშენებელი ინჟინერის როლი, დამსახურებული ინჟინერი ბოგდან კირაკოსიანი (1912-1972) იყო.

მკითხველს მოკლედ მივაწვდით ბ. კირაკოსიანის ბიოგრაფიას, რომელიც აღებულია მისივე ხელით შედგენილი ანკეტის და ავტობიოგრაფიის საფუძველზე. დაიბადა 1912 წლის 15 ივლისს, ქალაქ ბათუმში, მუშის ოჯახში. მამა მურად კირაკოსიანი, დაბადებული 1862 წელს, იყო მტვირთავი, გარდაიცვალა 1929 წელს. დედა, დაბადებული 1884 წელს, დიასახლისი. მათ, ვაჟის გარდა, ჰყავდათ ორი ქალიშვილი.

ბოგდან კირაკოსიანის ოჯახი ცხოვრობდა ბათუმში, რუსთაველის ქ. №17-ში. ბოგდანმა დაამთავრა ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი 1931 წელს, მიენიჭა ტექნიკოსის კვალიფიკაცია და შეუდგა დამოუკიდებელ შრომას სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციაში, ბოლოს ბათუმის საქალაქო საბჭოში – სამუშაოთა მწარმოებლად. შემდეგ ამავე თანამდებობაზე მუშაობდა სხვადასხვა საამშენებლო ორგანიზაციაში, ასრულებდა ერთ-ერთი კანტორის უფროსის მოვალეობასაც. 1939 წლიდან დაუსწრებლად სწავლობდა თბილისის ინდუსტრიულ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1946 წელს და მიენიჭა არქიტექტორის კვალიფიკაცია. აქედან იწყება მისი, როგორც მაღალკვალიფიციური ინჟინერ-არქიტექტორის წარმატებები.

1949 წელს ბ. კირაკოსიანი გაიწვიეს არმიაში და მუშაობდა სამხედრო ნაწილების ინჟინრად და KEF – ის უფროსის მადგილედ, მთავარ ინჟინრად და ა.შ. 1937 წელს იგი მიიღეს პარტიის წევრობის კანდიდატად, ხოლო 1939 წელს – წევრად.

ბოგდან კირაკოსიანმა თვალსაჩინო როლი შეასრულა ქ. ბათუმის განაშენიანების საქმეში. ბათუმის მთავარ არქიტექტორ – დამპროექტებელმა, მოამზადა ბათუმის საზაფხულო თეატრის ორიგინალური პროექტი. შენობა აიგო 1949 წელს, ხოლო პროექტმა მოსკოვში გამართულ საკავშირო კონკურსში მესამე პრემია დაიმსახურა. აგრეთვე ბათუმის სახელმწიფო ცირკის შენობის რეკონსტრუქცია, აიგო რამდენიმე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქალაქ ბათუმში.

მესამე საკავშირო პრემიის გარდა, ბ. კირაკოსიანი დაჯილდოვებული იყო ორი მედლით და საკავშირო სიგელით არქიტექტურისა და მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის.

ბოგდან კირაკოსიანი გარდაიცვალა 1972 წ. ქ. ბათუმში, მის ოჯახს დაენიშნა პერსონალური პენსია.

როგორც ზემოთ ვთქვით, 1931 წელს კირაკოსიანმა დაამთავრა ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი და მიიღო ტექნიკოსის კვალიფიკაცია. მისი მასწავლებელი იყო ბათუმის მთავარი არქიტექტორი, ინჟინერი, პავლე დიმიტრის ძე ნადარეიშვილი. ჩვენთვის საკითხის გასარკვევად მიზანშეწონილად ვთვლით გავეცნოთ ამ პიროვნების ბიოგრაფიასაც.

პავლე დიმიტრის ძე ნადარეიშვილი დაიბადა 1897 წელს (ოფიციალური საბუთით 1894 წელს) სამეგრელოში, აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოში. დიმიტრი ნადარეიშვილს სამი ვაჟი ჰყავდა და სამივეს უმაღლესი განათლება მიაღებინა. სამსონი მხატვარი იყო, თბილისის სამხატვრო აკადემიის პრორექტორი, პროფესორი. მეორე ვაჟმა კონსტანტინემ იურიდიული განათლება პეტერბურგში მიიღო, სოხუმში ცხოვრობდა, მუშაობდა პროკურორად. იგი 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა.

პავლემ უმაღლესი საინჟინრო განათლება პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში მიიღო, დაამთავრა უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი და მიენიჭა ინჟინერ-არქიტექტორის კვალიფიკაცია. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე პავლე ბათუმში ჩამოვიდა და აჭარის წყლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში ჩაერთო. მან ბათუმში შექმნა ოჯახი. შეირთო ძირძველი ბათუმელის, ფარნაოზ ხაინდრავას ქალი, მარიამი.

1925 წლამდე პავლე ნადარეიშვილი ბათუმში სხვადასხვა უწყებაში ინჟინრად მუშაობდა. შემორჩენილია „შავი ზღვის სანაპიროს და დასავლეთ კავკასიის მეორე სამხარეთმცოდნეო ყრილობის დადგენილებები და რეზოლუციები“, რომელსაც თან ერთვის დელეგატთა სიები. ბათუმელ დელეგატთა შორის არის ინჟინერ ნადარეიშვილის გვარიც (ბათუმი. 1925:110).

ყრილობის მსვლელობისას 28 სექტემბერს სამრეწველო-სამშენებლო სექციის სპეციალური კომისია, რომელსაც სექციის თავმჯდომარე ი. ა. ყიფშიძე ხელმძღვანელობდა, გაემგზავრა მახუნცეთში და დაათვალიერა აწპესის მშენებლობა, რომელსაც მეგზურობას ახალგაზრდა ინჟინერი პავლე ნადარეიშვილი უწევდა (ბათუმი. 1925:80.)

ბათუმში დაბრუნებულმა ჯგუფმა მოისმინა ინჟინრების ა. პ. მაშვესკისა და ნ. ნ. ავდულუნის მოხსენება „აჭარისტანის ჰიდრო – ელექტრონული სადგურის შესახებ“, რომლის განხილვაში აქტიურად მონაწილეობდა პ. ნადარეიშვილი.

1925 წელს პავლე ნადარეიშვილი დანიშნეს ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარ ინჟინრად. ერთი წლის შემდეგ ბათუმში გაიხსნა ინდუსტრიული ტექნიკუმი, საქართველოს ერთ-ერთი პირველი ტექნიკური სასწავლებელი, რომელიც გახდა თბილისის ტექნიკური ინსტიტუტის ფაქტობრივი წინამორბედი. ტექნიკუმის ერთ-ერთი დამფუძნებელი პავლე ნადარეიშვილი იყო, რომელიც ამავდროულად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

პავლეს ოჯახში ახლაც ინახება ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვების ფოტოსურათი, რომელზეც ასახულნი არიან ტექნიკუმის დირექტორი პლატონ ბოჭორიშვილი, მისი მოადგილე მ. დობორჯგინიძე, აგრეთვე ხუთი პედაგოგი, რომელთა შორისაა ინჟინერი პავლე ნადარეიშვილი. საყურადღებოა, რომ პირველი გამოშვების კურსდამთავრებულთა შორის არიან ბათუმელთათვის კარგად ცნობილი ინჟინერ-მშენებლები: კოკი აბაშიძე, ნიკო ჭყონია, ისმაილ კონცელიძე, ენვერ ქიქავა და სხვა.

პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად პავლე ნადარეიშვილი აქტიურად განაგრძობდა თავისი ძირითადი პროფესიით მუშაობას. მას მუდმივად უხდებოდა მონაწილეობა, ხშირ შემთხვევაში ხელმძღვანელობაც ისეთი უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობის დროს, როგორიც იყო სასტუმროები: „ინტურისტი“, „პირველი მაისი“, საცხოვრებელი სახლები გორკის (ახლანდელი გორგილაძის), ლუკა ასათიანის, მედიქიშვილის ქუჩებზე და ჭავჭავაძის ქუჩის დასაწყისში.

ამ წერილის ავტორი საგანგებოდ გაეცნო აჭარის საარქივო სამმართველოში დაცულ ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ფონდებს, კერძოდ, საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის (რომლის წევრიც პავლე ნადარეიშვილი იყო) 1925-1936 წლების ოქმებს. თითქმის ყველა ოქმში ნახსენებია პავლე ნადარეიშვილი. ოფიციალური დოკუმენტების ძუნწი ჩანაწერებითაც აშკარაა, რომ ევროპაში საინჟინრო განათლებამიღებულ ქალაქის მთავარ ინჟინერს პავლე ნადარეიშვილს ანდობდნენ ყველაზე მნიშვნელოვან მშენებლობებს, რომელთაგან ზოგს თავად აშენებდა, დანარჩენი ობიექტების მშენებლობა კი მის კონტროლქვეშ მიმდინარეობდა.

იგი აშენებდა როგორც საცხოვრებელ სახლებს და სასტუმროებს, ასევე სასწავლო დაწესებულებებს და სამრეწველო საწარმოებს. მისი პროექტებით, ზემოთქმულის გარდა, აშენდა ბათუმის საზღვაო სასწავლებელი, ხის დამამუშავებელი კომბინატი, ქალაქის ტროპიკული სადგური (I საავადმყოფო), 4-სართულიანი საცხოვრებელი სახლი სტალინის (მემედ აბაშიძის) ქუჩაზე ხელმძღვანელი მუშაკებისათვის და სხვ.

რაც შეეხება ბათუმის ბუღვარის კოლონადების დაპროექტებას და მშენებლობას, იგი არ შეიძლება შეესრულებინა ბოგდან კირაკოსიანს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მშენებლობის დასაწყისში – 1931 წელს ის 19-20 წლის ჭაბუკი იყო, არ ჰქონდა უმაღლესი განათლება, გარდა ამისა ქალაქში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ გამოცდილი ინჟინრები და არქიტექტორები, თვით ბოგდანის მასწავლებლები: პ. ბოჭორიშვილი, გ. დობორჯგინიძე, ე. სციპიონი, დ. კლემენჩენკო, აგრეთვე პავლე ნადარეიშვილი, ამიტომ არავითარი აუცილებლობა არ იყო, ბუღვარის ემბლემის, იტალიური სტილის კოლონადების დაპროექტება, ან მშენებლობა სრულიად ახალგაზრდა ტექნიკოსისათვის მიენდოთ.

როგორც ვთქვით, ქალაქის ყველა პროექტის ექსპერტიზას ატარებდა და ყველა მშენებლობას აკონტროლებდა, ხოლო საკუთარი პროექტებით მშენებლობას პირადად ხელმძღვანელობდა პავლე ნადარეიშვილი. ტროპიკული სადგურის, იგივე პირველი საავადმყოფოს მშენებლობის მიმდინარეობაზე პ. ნადარეიშვილი არაერთგზის აბარებს ანგარიშს ბათუმის საქალაქო საბჭოს (ასსცსა, ფ.10, ან.1, საქმე 19, ფურც. 12, 27 მაისი, 1931 წ.). როგორც ირკვევა, ეს ობიექტი უნდა დაეფინანსებინა აზნეფტს და სოიუზნეფტს, მაგრამ თანხები გვიან ჩამორიცხეს, რის გამო მშენებლობა შეფერხდა, თუმცა მალე გაგრძელდა და როგორც ერთ-ერთი ოქმით დასტურდება, სამუშაო ნორმალურად წარიმართა.

ტროპიკული სადგურის, ბუღვარის და მოზარდთა პარკის კოლონადების პროექტები ერთ პიროვნებას ეკუთვნის, მათი ნახაზები მართლაც იტალიიდან ჩამოიტანეს, ამიტომ პროექტების შედგენა და მშენებლობის წარმართვა შეეძლო მხოლოდ ევროპაში განათლებულ არქიტექტორსა და მშენებელს, ეს პიროვნება კი მაშინდელ ბათუმში პავლე ნადარეიშვილი იყო.

საარქივო ფონდებში ინახება აგრეთვე ბუღვარის კოლონადებზე შესრულებულ სამუშაოთა ნუსხა, რომელსაც ხელს აწერენ „პრორაბი“ კირაკოსიანი და ბუღალტერი ტულუში. აშკარაა, რომ პ. ნადარეიშვილმა მის მიერვე დაპროექტებული ამ მნიშვნელოვანი ობიექტის სამუშაოთა მწარმოებლად მოიწვია ყოფილი მოსწავლე, ტექნიკოსი ბ. კირაკოსიანი, რომელსაც შეცდომით მიაწერეს ობიექტის დაპროექტებაც და მშენებლობის მართვაც.

ამ შეცდომას ერთგვარად ასწორებს პავლე ნადარეიშვილის ვაჟის, ცნობილი ექიმის გურამ ნადარეიშვილის წერილი, სადაც ნათქვამია: „ზღვისპირა პარკის კოლონადები პავლე ნადარეიშვილის დაპროექტებული და აშენებულია, თუმცა, სამწუხაროდ, კოლონადების ავტორად და აღმშენებლად მოიხსენიებენ ინდუსტრიული ტექნიკუმის კურსდამთავრებულს, მამაჩემის ერთ-ერთ მოსწავლეს, ბოგდან კირაკოსიანს.

...ავებდით 37 წელს სხვა მრავალ ნიჭიერ, ინტელიგენტ ადამიანთან ერთად მამაჩემიც დახვრიტეს, როგორც „ხალხის მტერი“. მისი ყველა კვალი გააქრეს, ხოლო გაკეთებული საქმე, მათ შორის კოლონადების მშენებლობა, სხვებს მიაწერეს. მე ეჭვქვეშ არ ვაყენებ ბ. კირაკოსიანის პიროვნებას და პროფესიონალიზმს, მე მხოლოდ ჭეშმარიტების დადგენას მოვითხოვ. 1931 წელს (როცა დაიწყო კოლონადების მშენებლობა), მისი ასაკი (19 წლის), კვალიფიკაცია (საშუალო ტექნიკური განათლება) და გამოცდილება (ერთი წელი) შეუძლებელს ხდის მის ავტორად მოხსენიებას.

ბ.კირაკოსიანი ჩვენი სახლის მახლობლად ცხოვრობდა, მას ხშირად ვხვდებოდით. იგი სიყვარულით და სითბოთი იხსენიებდა „პაველ დიმიტროვიჩს“ (მამაჩემს), რომ იგი დიდი ინჟინერი და მასწავლებელი იყო და დიდი ამაგი ჰქონდა ამსზე, მისი ხელდასმით გახდა „დესიატნიკი“ და თუ რამ იცოდა, მის დამსახურებად თვლიდა... კირაკოსიანი წესიერი ადამიანი იყო, ამიტომ ცოცხალი რომ ყოფილიყო, თავად შეწუხდებოდა ამ გაუგებრობის გამო, რაც კოლონადების ავტორობას ეხება”.

დიახ, ბატონო გურამი ჭეშმარიტების დადგენას თხოულობს. მართლაც ერთის შეხედვით უბრალო ობიექტი თითქოს არ იმსახურებს ამდენ ხმაურს, მაგრამ იგი, მადლობა ღმერთს, გადაურჩა ჩეკისტების მსახვრალ ხელს, კვლავ თავის ადგილას დგას და ქალაქის ემბლემად იქცა. ამიტომ, თუ გვსურს ჩვენგან წასული ადამიანების ხსოვნას პატივი ვცეთ, არ დაუუკარგოთ ამაგი, ან კიდევ სხვას არ მივაკუთვნოთ პლაგიატის სახელი, „უნდა აღდგეს ჭეშმარიტება და ბედის უკუღმართობით დამალულმა სიმართლემ ბოლოს და ბოლოს გამარჯვება იხეიმოს“-ო, - წერს ბატონი გურამ ნადარეიშვილი.

იტალიიდან პროექტების ჩამოტანასაც თავისი ისტორია აქვს, ისტორია რომანტიკული და ტრაგიკული, ამიტომ თავს უფლებას მივცემ მკითხველს მივაწოდო ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ.

1928 წელს სსრკ ჯანსახკომმა ერთა ლიგის სანჰიგიენური სექციისაგან მიიღო საგზურები კურსებისა, რომლებიც ტარდებოდა ევროპის ქვეყნების მსხვილ ქალაქებში. 1930 წელს სამი საგზური საქართველოში გამოგზავნეს, რომლებიც დაურიგდათ თბილისის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს ივანე კონიაშვილს, საქართველოს ჯანსახკომის კოლეგიის წევრს ივანე ფრაგულიანს და ბათუმის ტროპიკული სადგური დირექტორს ივანე მჭედლიძეს. „სამი ივანე“ -

იტალიაში გაემგზავრა, დაათვალიერეს კურორტები, გაეცნენ მათთვის საინტერესო სამედიცინო დაწესებულებებს და სპეციალისტებს.

სორენტოში ყოფნისას ისინი შეხვდნენ ოჯახთან ერთად მეოფ მაქსიმ გორკის, რომელმაც ძალზე გაიხარა და ოთხი დღით უმასპინძლა; თავის მხრივ ხელიც შეუწყო სტუმრებს გაცნობოდნენ საკურორტო ადგილებს. გადაიღეს მრავალი ფოტოსურათი; მოგზაურობის დროს ექიმებს რამდენიმე შენობა და ქალაქში განლაგებული ხელოვნების ნიმუშები მოეწონათ და გორკის დახმარებით შეძლეს მათი ნახაზების წამოღება. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ესკიზები გადასცეს არქიტექტორებს, კერძოდ, ბათუმის მთავარ ინჟინერს პავლე ნადარეიშვილს, რომელმაც ისინი შეუხამა ადგილობრივ პირობებს და შექმნა პროექტები. 1931 წელს დაიწყო ამ პროექტების განხორციელება. ასე გაჩნდა ქალაქ ბათუმში ტროპიკული ინსტიტუტის შენობა (1937 წ.), ბუღვარის (1934 წ.) და პიონერთა (ეხლანდელი 6 მაისის პარკის) პარკის შესასვლელის (1939 წ.) კოლონადები.

1937 წელს ივანე მჭედლიძე, ხოლო 1938 წელს ივანე კონიაშვილი და არტაშეს გეურქოვი დააპატიმრეს და დახვრიტეს, ხოლო ივანე ფრანგულიანი გადარჩა. რეპრესირებული ხელით გაკეთებული კეთილი საქმეები ბურუსში მოექცა. ამ თემაზე ან საერთოდ აღარავინ ლაპარაკობდა, ან მათ დამსახურებას სხვას მიაწერდნენ. ასეთი ბედი ეწია იტალიიდან ქართველი ექიმების ი. კონიაშვილის და ი. მჭედლიძის მიერ ესკიზების ჩამოტანას და ბათუმში ამ ობიექტების დამპროექტებლის და მშენებლის, ასევე რეპრესირებული პავლე ნადარეიშვილის მიერ აგებულ უნიკალურ შენობებს.



დადგა დრო სამართლიანობის ზეიმისა. წინაპრებს არ უნდა დაუუკარგოთ თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის გაწეული ამაგი, მით უმეტეს იმ ადამიანებს, ვინც რეპრესიებს, ძალმომრეობას და უსამართლობას შეეწირა. ეს ჩვენი მოქალაქეობრივი და ადამიანური ვალია.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. „შავი ზღვის სანაპიროს და დასავლეთ კავკასიის მეორე სამხარეთმცოდნეო ყრილობის დადგენილებები და რეზოლუციები“, ბათუმი, 1925 (რუსულ ენაზე);
2. ასსცსა ფ. 10, ან.1, საქმე #19, ფურც. 12.

Who built colonnades?

Summary

In recent years, many “owners” blame colonnades for themselves. According to one of the versions, projects were delivered from Italy by Artashe Geurkov, the secretary of regional committee by that time. According to archival data, the author argues that this construction was developed and built by Pavle Nadareihvili.

აჭარის საარქივო სამმართველო ფოტოლოკუმენტებში









საარქივო სამმართველოს ლოგო

საარქივო სამმართველოს უფროსის 2014 წლის 31 იანვრის №10 ბრძანებით დამტკიცდა საარქივო სამმართველოს ლოგო.

საარქივო სამმართველოს ლოგო წარმოადგენს გეომეტრიულ ფიგურას, რომელზეც გამოსახულია ვერძი - სიმბოლო ოქროს საწმისის და ზოგადად დაცული წერილობითი ფორმა კოლხთა ოქროს მოპოვების წესისა. მთლიანობაში ლოგო აღიქმება, როგორც მზე და ზღვის ტალღები, სიმბოლო - აჭარის და ზოგადად დასავლეთ საქართველოსი. ლოგო წარმოადგენს სინთეზს, როგორც ძველისა და ახლის, აბსტრაქტულისა და რეალურის, ასევე მითოსისა და სიმანდილისა.

გეომეტრიული ფიგურის ქვემოთ ამოტვიფრულია წარწერა „აჭარის საარქივო სამმართველო“.

ლოგო გადაწყვეტილია ორ ფერში - მუქი ოქროსფერი და ლურჯი.

შესრულებულია გიორგი გოგიბერიძის მიერ.



სარჩევი

1. მილოცვები.....	3
2. თამაზ ფუტკარაძე, ნატო ქიქავა - საარქივო სამმართველო - 90.....	7
3. მაია რურუა - ისინი ქმნიდნენ საარქივო დარგის ტრადიციებს...	37
4. ელგუჯა ჩაგანავა - აჭარის საარქივო სამმართველოს მიერ 2013 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.....	61
5. ფრიდონ ქარდავა - პავლე ინგოროყვა - ლოდი, რომელ შეურაცხევებს მაშენებელთა	69
6. თამაზ ფუტკარაძე, გურამ სალაძე - შტრიხები რასიუ ბერიძის ბიოგრაფიისათვის (საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით)	77
7. ქეთევან იაკობაძე, მზია სურმანიძე - სოფიის (ბულგარეთი) სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ	85
8. ციცი ცინცაძე - ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის ზოგიერთი საკითხი (საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით)	89
9. რამაზ სურმანიძე - ვინ ააშენა კოლონადები?.....	93
10. ფოტოდოკუმენტები	99
11. საარქივო სამმართველოს ლოგო	103



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge